საქართველოს [illegible] ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

კვირა, 15 აგვისტო 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 185 (1730)

დღიური

— საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისრად დაინიშნა ამხ. მიქოიანი.
— სპარსეთში დაიწყო ქურთების აჯანყება.
— საფრანგეთ - გერმანიის ფოლადის მრეწველთა შორის მიღწეულია შეთანხმება.
— პარიზში გაიმართა მანიფესტაცია სიძვირის წინაალმდეგ.
— ნორვეგიის ქაღალდის მრეწველობის 13 ათასმა მუშამ გაფიცვა გამოაცხადა.
— საფრანგეთი და ბელგია შეთანხმდენ ურთიერთ ვალების გადახდის შესახებ.
— ბელგიაში შემოღებულ იქნა გადასახადი უცხოელ მოქალაქეებზე.

„კომუნისტი"-ს
შემდეგი ნომერი გამოვა
ოთხშაბათს, 18 აგვისტოს

ჩვენი რიგები შეურყეველია
(„პრავდას" მოწინავე)

ჩვენი პარტიული რიგების დისციპლინისა და მთლიანობის შერყევის ცდამ უკვე მოგვცა პირველი თავისი შედეგი. პარტიისაგან ყველაზე უფრო მოწყვეტილი ელემენტები დისკუსიით გათამამებულნი, მივიდნენ პარტიის ლენინურ საფუძვლების სრულ უარყოფამდე და ამით თავიანთი თავი პარტიის გარეშე დააყენეს.

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილებით, იაკობ ოსოვსკი გამორიცხულია საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგებიდან. ოსოვსკის პიროვნებაზე არ ღირდა შეჩერება, რომ საქმეს დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა არა ჰქონდეს.

პარტიის ორგანომ, რომელსაც ლენინის აზრით ეკისრება მოვალეობა, რომ „ყურადღებით ადევნოს თვალი იმ გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს პარტიის განხეთქილება და წინასწარ მიიღოს ზომები მის თავიდან ასაცილებლად", ამ ორგანომ შეუთავსებლად სცნო ბოლშევიკურ პარტიაში ყოფნა და ამავე დროს რევოლიუციისა და სოციალისტურ აღმშენებლობის ძირითად საკითხებზე პარტიის შეხედულებათა საწინააღმდეგო აზრების ქადაგობა ლეგალური და არალეგალური გზით.

ეჭვი არ შეიძლება შევიტანოთ იმაში, რომ ოსოვსკის შეხედულებანი, რომლებიც მან განავითარა წერილში „პარტია მე-14 ყრილობისათვის" და გააღრმავა შემდეგში შენიშვნების დართვით, ვერ პოვებენ ჩვენს პარტიაში ვერავითარ გამოძახილს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ განვმარტოთ ის გაკვეთილები, რომლებიც ამ საქმიდან გამომდინარეობენ.

ჩვენი პარტია არასოდეს არ იყო პარტიული პოლიტიკის საკითხებზე თავისუფალი მსჯელობის წინააღმდეგი. პირიქით, ამ საკითხების შესახებ მსჯელობა დაშვებული იყო და დაშვებულია მანამ, სანამ პარტიას არ მიუღია განსაზღვრული დადგენილებები.

ყველა სხვაგვარად მოაზროვნეს არ კიცხავს პარტია. კომუნისტების მილიონიან არმიაში, რომელიც უდიდეს ქვეყანას ხელმძღვანელობს ურთულეს პირობებში, არ შეიძლება არ წარმოიშვას უთანხმოება, სხვადასხვა გვარი შეხედულებანი ამა თუ იმ საკითხის შესახებ. მაგრამ ამ უთანხმოებასთან ერთად საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრს ყოველთვის ახსოვს, რომ იმ ბოლშევიკური პარტიის წევრია, რომელიც იბრძვის პროლეტარიატის დიქტატურისა და კომუნიზმისათვის, ასეთია ვალდებულება, რომელსაც ნებაყოფლობით, ვისიმე მხრით ძალდაუტანებლად იღებს თავისთავზე ბოლშევიკურ რიგებში შემსვლელი—ლენინელი.

ასეთია უთანხმოების საზღვარი, რომლის იქით იწყება რაოდენობიდან თვისებაზე გადასვლა და რომლითაც სხვაგვარად მოაზროვნე ხდება ბურჟუაზიულ ანუ წვრილ-ბურჟუაზიულ დემოკრატათ. ჩვენს პარტიაში ადგილი არ აქვთ იმათ, რომელიც პროლეტარიატის პოზიციიდან მისი კლასიური მტრების პოზიციაზე გადადის. პარტიის წევრი არ შეძლება იყოს ის, რომელიც რევოლიუციის ძირითად საკითხებში მეორე ინტერნაციონალის პლატფორმაზე სდგას.

არაა ღირსი კომუნისტის სახელის ის, ვინც ლიკვიდატორულ შეხედულებებს იცავს პარტიის შესახებ. საკავშირო კომპარტიიდან (ბ) უნდა გავიდეს ის, ვინც მას სთვლის კაპიტალისტურ წარმოებელის წარმომადგენლად. პარტიიდან უნდა გავიდნენ ისინი, ვინც პარტიას ბურჟუაზიულ დემოკრატიის პოზიციებისაკენ მოუწოდებს.

ჩვენ შეგვიძლია მოვიგონოთ ლენინის მშვენიერი სიტყვები იმ ნაწარმოებიდან, რომელიც ჩვენი პარტიის აღმშენებლობის პრინციპებს ასაბუთებს. „ჩვენ მივდივართ ძნელად სავალ გზაზე მჭიდროდ შეჯგუფებული, მაგრად ხელი-ხელ ჩაკიდებულნი. ჩვენ ყოველმხრივ მტრებით ვართ გარსშემორტყმული. ჩვენ შევერთდით თავისუფლად, მიღებული გარდაწყვეტილების თანახმად, სახელდობრ იმისათვის, რომ ვებრძოლოთ მტრებს და არ დავიხიოთ ახლო მდებარე ჭაობისაკენ, რომლის მკვიდრნი ჩვენ იმთავითვე გვკიცხავდენ იმისათვის, რომ განსაკუთრებულ ჯგუფად გამოვეყავით, ავირჩიეთ ბრძოლის გზა და არ შემარიგებელი გზა. და აი, ზოგიერთი ჩვენგანი გაჰკივის: „წავიდეთ ჭაობისაკენ!" როცა მათ არცხვენენ, ისინი უპასუხებენ: „რა ჩამორჩენილი ხალხი ხართ. როგორ არა გრცხვენიათ, რომ გვიკრძალავთ იმის თავისუფლებას, რომ უკეთესი გზისაკენ მოგიწოდოთ".

ჰო, დიახ, ბატონებო, თქვენ გაქვთ თავისუფლება არა მარტო მოგვიწოდოთ, არამედ წახვიდეთ, საითკენაც გნებავთ, თუ გინდ ჭაობისაკენაც. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თქვენი ნამდვილი ადგილი სწორედ ჭაობშია, და მზადა ვართ აღმოგიჩინოთ შეძლებისდაგვარად დახმარება ჭაობში გადასახლებისათვის. მაგრამ მაშინ ხელი გაგვიშვით, ხელს ნუ გვქიდებთ, ნუ სვრით დიად სიტყვას „თავისუფლება"-ს ვინაიდან ჩვენც ხომ გვაქვს თავისუფლება—წავიდეთ იქით, საიდკენაც გვსურს და თავისუფლება გვაქვს ვებრძოლოთ არა მარტო ჭაობს, არამედ იმათაც, ვინც ჭაობისაკენ იბრუნებს პირს".

თავის ჭაობიან პოზიციაზე ოსოვსკი მარტო არაა. ჩვენს პარტიაში უკანასკნელ ხანებში გამოაშკარავებულმა უთანხმოებამ გვიჩვენა, რომ წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგია, რომელიც სოციალისტურ თანდათანობითი აღმშენებლობის გზიდან უხვევს, ყველაზე უფრო ნაკლებ სიმტკიცის მქონე ამხანაგების შეგნებაში პოულობს თავის გამოსახულებას. ამ ჯგუფის წარმოშობა, თავისთავად დამახასიათებელია სწორედ ეხლანდელი გარდატეხის მომენტისათვის, როდესაც ჩვენ უდიდესი სიძნელით, აუარებელი დაბრკოლებებით აღმშენებლობითი პერიოდიდან გადავდივართ ახალის აშენებისაკენ, სოციალიზმის იდეის ნამდვილ განხორციელებისაკენ.

ამითვე აიხსნება წვრილ-ბურჟუაზიული პანიკიორობის მომხრეთა უკიდურესი სიმცირე. პროლეტარული მასა, თავის დიდ უმრავლესობით ინსტინქტიურად გრძნობს მატერიალური ბაზის ზრდას სოციალისტურ აღმშენებლობისათვის. მთელი პარტია, იშვიათი გამონაკლისით აღვსებულია აღმშენებლობის ენტუზიაზმით, თუმცა სავსებით ითვალისწინებს იმ სიძნელეთ, რომელიც მას შეხვდება ეკლებით მოცულ გზაზე.

ოსოვსკი გამორიცხულია იმიტომ, რომ იგი დაექანა ლენინის მოძღვრების პირდაპირი ღალატისაკენ, პროლეტარულ საქმის გამცემლობისაკენ.

მისი იდეოლოგიური აღსასრული მრისხანე გაფრთხილებას წარმოადგენს ყველა მერყევი ელემენტისათვის. ამავე დროს ეს გაკვეთილი მოგონებას წარმოადგენს იმათთვის, ვინც გადაიხარა შემთხვევით, ან შეცდომით.

იმ მომენტებში, როცა პროლეტარული საქმის ბედი სწყდება, მთელი პარტია, როგორც ერთი კაცი დადგება რევოლიუციის მონაპოვართა სადარაჯოზე, თავისი მთლიანობის სადარაჯოზე.

გადმოცემულია ტელეგრაფით
მოსკოვი, 14 აგვისტო.

სატყეო მეურნეობის მტკივნეული მხარეები

სატყეო მეურნეობა თვალსაჩინო დარგია ჩვენი ქვეყნის საერთო მეურნეობაში. სწორედ ამიტომ მას უნდა ექცეოდეს განსაკუთრებული ყურადღება. იმაზე, თუ რამდენად საღ ნიადაგზე დავაყენებთ ჩვენ ტყის მოვლა-მოშენებისა და გამოყენების საქმეს, ბევრადაა დამოკიდებული საბჭოთა საქართველოს ეკონომიური წარმატების საქმე.

რა მდგომარეობა გვაქვს ჩვენ დღეს ამ მხრივ? პირველყოვლისა ტყის მოვლა-მოშენებაზე. აქ აღსანიშნავია ერთი უმთავრესი გარემოება, რომელიც საზოგადოთ იმის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს, თუ რამდენად ცოტა გაგვიკეთებია ჯერჯერობით ამ მხრივ. ვლაპარაკობთ ჩვენი ტყეების მოწყობა-გამოკვლევაზე. უკანასკნელ დრომდე საბჭოთა საქართველოს ტყეების მთელი არედან, რომელიც დაახლოებითი გამოანგარიშებით უდრის 1.600 ათას დესეტინაზე მეტს, მოწყობილი და გამოკვლეულია 30 პროცენტი ტყის არე. ე. ი. მთელი რაოდენობის ერთ მესამედზედაც ნაკლები.

ასეთი მდგომარეობა ადვილი გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მძიმე მატერიალურ პირობებს, რომელშიაც უხდებათ საქმის წარმოება ჩვენს სატყეო მუშაკებს. აქედან გამომდინარეობს სატყეო მეურნეობის მთავარი ნაკლოვანებანი, როგორც მაგალითად შტატის სიმცირე, ტყის კვალიფიციურ მუშაკთა ნაკლებობა, შედარებით დაბალი ხელფასი, და სხვა. ცხადია, თუ ჩვენ არ გვეყოლება, როგორც რიცხვით საკმაოდ, ისე სათანადო ცოდნით აღჭურვილი ტყის მეურნეები, არ შეგვეძლება სატყეო მეურნეობის ისე ფართედ დაყენება, როგორც ამას საჭიროება მოითხოვს.

ტყე აღურიცხავია, გზები მათში თითქმის არ არის, მიმოსვლის საშუალებანი ტყის მუშაკებს არა აქვთ, რომ შესაფერისი ზედამხედველობა იქონიონ ჩაბარებულ სიმდიდრეზე, ტყის მავნებლებს, როგორიცაა ჯოგი (განსაკუთრებით ცხვრის ფარა და თხა), მატლეულობა და სოკოები საჭირო წინააღმდეგობა ვერ ეწევა, არაა საკმაოთ ფართედ დაყენებული ტყის საცდელი საქმე და მრავალი სხვა. ასეთია ჩვენი სატყეო მეურნეობის საჭირ-ბოროტო სადღეისო საკითხები, რომელნიც ითხოვენ შესაფერ პასუხის გაცემას.

ყოველივე ამას თან ერთვის იმ ორგანოების სისუსტე, რომელნიც თავიანთ ყოველდღიურ მუშაობით დაკავშირებულნი არიან სატყეო მეურნეობის საქმესთან. მხედველობაში გვყავს ჩვენი დამსჯელი და სასამართლო ორგანოები. საქმე ის არის, რომ სხვა უბედურებასთან ერთად სატყეო მეურნეობას დიდათ აფერხებს ტყის თვითნებური გაჩეხვა. აქ ზარალი არც ისე უმნიშვნელოა. თავისებური, ანუ, საგანს რომ სახელი დავარქვათ, ქურდულად ტყის გაჩეხვა, თითქმის არაფერ ბოროტ-მოქმედებათ მიაჩნიათ.

ტყეებისათვის ეს მავნე ჩვეულება მემკვიდრეობით მივიღეთ ჩვენ ძველ წყობილებისაგან. მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც ემხრობა სახელმწიფო ტყის ფონდები, ეს ძველი ჩვეულება მექანიკურად დღესაც გადმოაქვს ჩვენს ტყეებზე. წინათ ისინი ხშირად იძულებულნი იყვნენ ასე მოქცეულიყვნენ, მაგრამ დღეს ასეთ საქციელს ვერაფრით გავამართლებთ. ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეები ყველგან გამოყოფილია და გადაცემულია გლეხებზე, გარდა ამისა, სოფლის ღარიბ მოსახლეობას; შესაძლებლობის ფარგლებში საშუალება ეძლევა შეღავათიან ფასებში შეიძინოს ტყის ნედლი მასალა, როცა ის მას საკუთარ მეურნეობისათვის ესაჭიროება.

მიუხედავათ ამისა, მაინც ბოლო არ ეღება ტყის თვითნებურად გაჩეხვას. 1924—25 წლის განმავლობაში 7.643 ოქმი შესდგა ტყის თვითნებურ მოჭრაზე. სახელმწიფომ ამით იზარალა 163.000 მანეთი. საქმე სასამართლოებში გადაიცა და მთელი ამ თანხიდან ანაზღაურებულია მხოლოდ 13.000 მანეთი. მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ეს ცნობები შეეხება აღმოჩენილ შემთხვევებს, ხოლო ტყის თვითნებური მოჭრის რამდენი მაგალითი გამოეპარა მხედველობიდან ჩვენ სატყეო ადმინისტრაციას, ეს არავინ უწყის.

ეს ციფრები აშკარად ღაღადებენ, რომ სატყეო მეურნეობას თვითნებურ გაჩეხვისაგან დაცვის მხრივ ვერ უწევს შესაფერის დახმარებას ვერც დამსჯელი და სასამართლო ორგანოები და ვერც სოფლის საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ასეთია მოკლედ ტყის დაცვა-კეთილმოწყობის საქმე. მაგრამ არც ტყის ექსპლოატაციის საქმეა უკეთეს მდგომარეობაში.

აქ პირველყოვლისა ერთ მთავარ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ტყის დამმზადებელ ორგანიზაციათა თუ კერძო პირთა სიმრავლე, რასაც მეტი არევ-დარევა შეაქვს, ისედაც მოუწესრიგებელ ტყის ექსპლოატაციის საქმეში. ტყის დამუშავებას ეწევიან ტრესტები, რკინის გზა, ალმასკომი და კერძო მოიჯარადრეები. იმიტომ რომ ჩვენი სატყეო ადმინისტრაცია მოისუსტებს, თუ იმიტომ, რომ თვით ეს დამმზადებლები ნებსით თუ უნებლიეთ ვერ ეკიდებიან მათ მიერ აღებულ საქმეს სათანადო კეთილსინდისიერებით, ჩვენ თითქმის ყოველ ცალკე შემთხვევაში ვდგებით ასეთ ფაქტის წინაშე: ტყის დამმზადებელი სჭრის იმაზე მეტს, რამდენიც პირობის ძალით მას ეკუთვნის.

ზოგჯერ ეს გადამეტება ზომიერების გრძნობას უკან სტოვებს და ამნაირად უთავბოლოდ და სახელმწიფოსათვის უსარგებლოდ ნადგურდება ტყე. იჭრება ღალიანი და უღალო ხე, ერთმანეთში ირევა საშეშე და საშენი მასალა. განსაკუთრებით ემჩნევა ეს კერძო მოიჯარადრეებს.

ასეთ პირობებში ტყის გეგმიან ექსპლოატაციაზე ლაპარაკი ზედმეტია. კონტრ-აგენტები ნაკლებათ დაგიდევენ ძირზე-ხმელ, წაქცეულ თუ ნაწილობრივად დაშავებულ ხეების გამოტანას. გამორკვეულია, რომ ასეთი მასალა სანახევროთ მაინც ვარგებული გამოდის და თან ტყესაც უხდება მათგან გაწმენდა.

ამასთან ერთად კონტრ-აგენტები ნაკლებად ზრუნავენ ტყეებში გზების გაყვანაზე იმ ფარგლებში მაინც, რომელშიაც ამას მოითხოვს მათი საექსპლოატაციო ინტერესები. აკეთებენ გზებს, რომლებზედაც „ცოდვით" და წამებით ძლივს ჩამოაქვთ საჭირო მასალა, რის შემდეგ გზა იმდენად უარესდება, რომ აღარც გზად ვარგა და აღარც ტყეთ. ამავე დროს მათ გაკეთებაში ათეული ათასი მანეთი იხარჯება.

საჭიროა ამგვარ უთავბოლობას დასასრული მიეცეს. მით უფრო, რომ ტყის დამმზადებლების როლში უმთავრესად სახელმწიფო ორგანოები გამოდიან, რომელნიც მოვალენი არიან ანგარიში გაუწიონ სატყეო მეურნეობის ინტერესებსაც.

ასეთია მოკლეთ ტყის დაცვა-კეთილმოწყობის და ექსპლოატაციის მთავარი მტკივნეული ადგილები, რომელნიც უნდა გახდენ განსაკუთრებული ყურადღების საგნად არა მარტო სატყეო მეურნეობის მუშაკებისათვის, არამედ ყველა იმათთვის, ვისაც კი რაიმე პირდაპირი თუ არაპირდაპირი დამოკიდებულება აქვს ჩვენი ქვეყნის ამ უაღრესი მნიშვნელობის ეკონომიურ საუნჯესთან.

მ. ლ—ძე.

ევროპის სახელმწიფოთა კავშირი ანუ „პან-ევროპა"
(წერილი ავსტრიიდან)

4—7 ოქტომბერში ვენაში გაიმართება „პირველ პან-ევროპიულ კონგრესის" სხდომები, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ ავსტრიის, უნგრეთის, ჩეხო-სლოვაკიის, საფრანგეთისა, ინგლისის, ჰოლანდიის, სკანდინავიის და გერმანიის დელეგაციები.

ეს იქნება პაციფისტების ყრილობა, ყრილობა ავსტრიელ პაციფისტ გრაფ კუდენგოვე-კალლერგის იდეიის მომხრეთა, რომელიც ევროპის ხალხთა შერიგებას ქადაგებს ევროპის კონტინენტის სახელმწიფოთა კავშირის — „პან-ევროპიული კავშირის" საშუალებით.

ამ გეგმის გამოსავალი წერტილია თავისთავად სამართლიანი აზრი, რომელიც ამბობს, რომ მსოფლიო ომის დამაგვირგვინებელმა სამშვიდობო ხელშეკრულებათა სისტემამ თავიდან კი არ აგვაშორა, პირიქით, ხელახლად შექმნა ახალი ომების უდიდესი საფრთხე ევროპაში. ამ საფრთხის აშორება გრაფ კუდენგოვე-კალლერგის უტოპიური საშუალებით სურს: „პან-ევროპიული კავშირის" შექმნით, რომელმაც თანდათან უნდა განახორციელოს ევროპის კონტინენტის პოლიტიკური და სამეურნეო გაერთიანება „ევროპის შეერთებული შტატების" სახით. „პან-ევროპიული გეგმის" ავტორის აზრით, ასეთი გაერთიანება სწრაფად გადასწყვეტდა ყველა იმ პრობლემებს, რომლებიც ქმნიან სამხედრო საფრთხეს.

კუდენგოვე-კალლერგი სცნობს, რომ მსოფლიო ომამდე მხოლოდ ერთი ასეთი პრობლემა იყო, სახელდობრ საფრანგეთ-გერმანიის დავა ელზას-ლორენის შესახებ; ეხლა იგი ცამეტ საკონფლიქტო პრობლემებს ითვლის, სახელდობრ: მემელის, ვილენის, დანციგის, ზემო-სილეზიის, დასავლეთ-უკრაინის, ჩეხოსლოვაკიის გერმანული ოლქების, ჰუნგრეთის საზღვრების, სამხრეთ-ტიროლის, იტალია - სამხრეთ-სლავიის ურთიერთობის, ალბანეთის საკითხს, მაკედონიის საკითხს, ბესარაბიის და ავსტრიის გერმანიასთან შეერთების საკითხს.

როგორი სახე უნდა ჰქონდეს „პან-ევროპიულ კავშირს", რომელიც მოწოდებულია ამ პრობლემების გადასაწყვეტად? კუდენგოვე - კალლერგი უპასუხებს: ამჟამად მსოფლიოში სახელმწიფოთა ხუთგვარი დაჯგუფება არსებობს —პან-ამერიკული კავშირი, საბჭოთა კავშირი, ბრიტანეთის იმპერია, პან-აზიური კავშირი, რომელიც ეხლა იქმნება და ბოლოს კონტინენტალური ევროპა, რომელიც კუდენგოვე-კალლერგის „პან-ევროპიულ კავშირის" სახით სურს გააერთიანოს. იგი სავსებით ივიწყებს, რომ ამ დაჯგუფებათაგან რეულურად არსებობს მხოლოდ საბჭოთა კავშირი და ბრიტანეთის იმპერია; მაგრამ ამ შემთხვევაში საინტერესოა არა ეს, არამედ სულ სხვა: ამ ჩამოთვლიდან ცხადია, რომ „პან-ევროპიულ კავშირში" მას არ შეყავს არც ინგლისი და არც საბჭოთა კავშირი.

ინგლისი,—იმიტომ, რომ „მისი კავშირი დომინიონებთან და კოლონიებთან შეუძლებელს ქმნის, რომ მისი ისტორიული მსვლელობა საერთო-ევროპიული გზით წარიმართოს", საბჭოთა კავშირი კი,—მთელ რიგ მიზეზთა გამო: ჯერ ერთი, საბჭოთა კავშირი ევროპიული სახელმწიფო კი არაა, არამედ „ევროპიულ-აზიური" სახელმწიფოა, რომლის განვითარების გზა განსხვავდება ევროპის გზისაგანო; მეორე, არ შეიძლება შეთავსებულ იქმნას საბჭოთა სისტემა და პარლამენტარიზმი. (ამასთანავე, კუდენგოვე-კალლერგი არაფერს არ ამბობს იმის შესახებ, თუ როგორ უთავსდებიან ერთმანეთს პარლამენტარიზმი და იტალიის ფაშიზმი ან ესპანეთის დიქტატურა); მესამე, საბჭოთა კავშირი—იმპერიალისტური სახელმწიფოა, რომელსაც აქვს იმპერიალისტური მისწრაფებანი, თუმცა არა ევროპის, არამედ აღმოსავლეთის მიმართულებით. (კუდენგოვე - კალლერგს ამასთანავე ავიწყდება, რომ სწორედ დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოები აწარმოებენ მტაცებლურ იმპერიალისტურ პოლიტიკას აღმოსავლეთში, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი აღმოსავლეთის ქვეყნებთან თანასწორუფლებოვან ურთიერთობის ხაზს ატარებს უცვლელად); მეოთხე, დაბოლოს, საბჭოთა კავშირის სოციალური წყობილება სავსებით ეწინააღმდეგება ევროპის სახელმწიფოთა წყობილებასო. საგულისხმოა, რასაკვირველია, არა იმდენად ეს არგუმენტები, არამედ მათგან გამომდინარე დასკვნები. ეს დასკვნები ნიშნავს საბჭოთა კავშირის ევროპისაგან იზოლიაციას, განცალკევებას, სხვა სიტყვებით, კუდენგოვე-კალლერგის გეგმა წარმოადგენს ანტისაბჭოთა კავშირის გეგმას, რომელიც პაციფისტური ნიღაბით არის დაფარული.

მართალია, კუდენგოვე - კალლერგი თავის უკანასკნელ გამოსვლაში სცდილობს, რა თავისი პოზიცია სხვაგვარი სახით დაგვიხატოს. 31 ივლისს, გაზეთ „ნოიეს ვინერ ტაგებლატტში" მან გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც „ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად" ამბობს, რომ „პან-ევროპიული საკითხის" გადაწყვეტის დროს „მხედველობაში უნდა იქმნას მიღებული ის ისტორიული, სამეურნეო და კულტურული კავშირი, რომელიც აერთებს ინგლისს და რუსეთს დანარჩენ ევროპასთან. ამიტომ, „პან-ევროპიული" მოძრაობა ინგლისს და რუსეთს აძლევს შესაძლებლობას, რომ მათ თვითონ გადასწყვიტონ საკითხი, თუ როგორი სახით შეუძლიათ მათ ამ კონტინენტალურ კავშირთან შეერთება. მაგრამ კუდენგოვე-კალლერგი კვლავ იმეორებს, რომ ინგლისისა და საბჭოთა კავშირის განსაკუთრებული მდგომარეობა შეუძლებელს ხდის მათ კავშირში შესვლას, და კავშირს მხოლოდ ის დარჩენია, რომ მათთან დაიჭიროს თანამშრომლობითი ურთიერთობა „დასავლეთ-აღმოსავლეთ ლოკარნოს საფუძვლებზე".

ეს ახალი გამოსვლა არსებითად არაფერს არ სცვლის „პან-ევროპიელების" ძირითად პოზიციაში. მათი გეგმა—კონტინენტალურ ევროპიულ კავშირის გეგმა, რომელმაც ერთი მხრით წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს ინგლისის მძლავრ ზეგავლენას კონტინენტალურ მეურნეობაზე, მის პოლიტიკას და მეორეს მხრით, იზოლიაცია მოუხდინოს, განაცალკევოს საბჭოთა კავშირი. და თუ ინგლისთან ურთიერთობაში მართლაც სურთ „მხედველობაში მიიღონ ისტორიული, სამეურნეო და კულტურული კავშირი",—მაშინ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში, რასაკვირველია, პირველ რიგში დადგებოდა მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეთავსდენ ერთ ჭერ-ქვეშ, თუ როგორ ეწინააღმდეგება ერთი-მეორეს საბჭოთა და კაპიტალისტური სოციალური წყობილება.

ასეთია „პან-ევროპის" ძირითადი იდეები. რაც შეეხება მათი განხორციელების საშუალებებს, ამის შესახებ ლაპარაკობს ის მემორანდუმი, რომელიც გრაფმა კუდენგოვე - კალლერგმა წარუდგინა ერთა ლიგას ნახევარი წლის წინედ. ამ მემორანდუმში იგი იძლევა წინადადებას, რომ ერთა ლიგა დაიშალოს „კონტინენტალურ სექციებად", უპირველეს ყოვლისა, ბრიტანულ, ამერიკულ და კონტინენტალურ - ევროპიულ სექციებად, და შემდეგ სახელმწიფოთა კონტინენტალურ დაჯგუფების პრინციპი იქმნას აღიარებული. ყოველ კონტინენტალურ ჯგუფს წარედგინოს საერთო საგარანტიო ხელშეკრულობა, შეიქმნას „ერთა ლიგის ევროპიული ჯგუფი" და გადაეცეს მას წმინდა—ევროპიული საკითხები. დაბოლოს, შემუშავებულ იქმნას ამ ჯგუფისათვის ხელშეკრულობა, რომელიც მშვიდობიან თანამშრომლობის პოლიტიკურ გარანტიებთან ერთად გაითვალისწინებს საბაჟო საზღვრების სისტემატიურ მოსპობას „პან-ევროპის" წევრთა შორის.

თავისთავად ცხადია, რომ ყოველივე ეს—უტოპიაა, მაგრამ უტოპიებიც კი გამოსახავენ განსაზღვრულ ჯგუფთა სურვილებს და მისწრაფებებს. კუდენგოვე-კალლერგის უტოპიაში ჰპოვა თავის გამოსახულება კონტინენტალურ ევროპის ბურჟუაზიის იმ ნაწილის სულისკვეთებამ, რომელსაც თავისი მდგომარეობის გადარჩენა სურს ანტი-საბჭოთა ბარიერის შექმნით და ინგლისის გავლენის მოსპობის გზით.

კ. გრუბერ.

ვენა, 1 აგვისტო.

ხელმოწერილია პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სარკინიგზო შეთანხმება

მოლაპარაკება ოსმალეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ წარმატებით მიმდინარეობს

საბერძნეთის, რუმინეთის და სამხრეთ-სლავიის კოლექტიური ნოტა ბულგარეთის მთავრობისადმი

ორშაბათს ლონდონში შესდგება მემაღაროების სადელეგატო კონფერენცია

პროფინტერნის მიმართვა ინგლისის მემაღაროებისადმი

ახალგაზრდობის კომინტერნის მოწოდება მთელი ქვეყნის მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობისადმი

გაფიცვა ინგლისში

მუშების დათხოვნა მემაღაროებისადმი სოლიდარობისათვის

პარიზი, 13 აგვისტო. დღეს მეწარმოებლებმა დაითხოვეს ბევრი მუშა, რადგან მათ მონაწილეობა მიიღეს 24 საათის გაფიცვაში. ინგლისის მემაღაროეთა სოლიდარობის აღსანიშნავათ.

მთავრობა ემზადება

ლონდონი, 13 აგვისტო. პრესა ფიქრობს, რომ მომავალი სადელეგატო კონფერენცია დაავალებს ფედერაციის აღმასკომს განაახლოს მოლაპარაკება და ფრთხილად მიუთითებს იმაზე, რომ მთავრობა ემზადება ამისათვის. პრესის სიტყვით ბალდუინს თათბირი ჰქონდა მინისტრებთან და სანახშირო კომისიის წევრებთან.

48 საათის მუშაობა კვირაში

ლონდონი, 13 აგვისტო. სამხრეთ-უელსის მაღაროების ტეხნიკურ მუშათა პროფკავშირმა ხელი მოაწერა მაღაროს მეპატრონეებთან შეთანხმებას, რომელსაც საფუძვლად უდევს 48 სამუშაო საათი კვირაში. ეს პროფკავშირი არაა მრავალრიცხოვანი და აერთიანებს მხოლოდ იმ მუშებს, რომლებიც მაღაროების უშიშროების მეთვალყურეობას ეწევიან. ამგვარად დადებული შეთანხმება არა სცვლის მდგომარეობას.

მემაღაროეთა ბელადების აგიტაცია

ლონდონი, 13 აგვისტო. სამთამადნო მუშათა ფედერაციის ბელადები განაგრძობენ აგიტაციას, რომლის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ 16 აგვისტოს სადელეგატო კონფერენციამ დაავალოს ფედერაციის აღმასკომს, განაახლოს მოლაპარაკება შემდეგ საფუძვლებზე: 7 საათის სამუშაო დღე, საერთო ეროვნული ხელშეკრულება, ხელფასის საერთო-ეროვნული მინიმუმი, მაღაროების რეორგანიზაციის გატარება და საარბიტრაჟო კომისიის დაარსება სამუშაო ხელფასის საკითხის გადასაწყვეტად.

ვარლის განცხადება

ლონდონი, 13 აგვისტო. აღმასკომის მემარჯვენე წევრი ვარლი, ნოტინგამშირში სამთამადნო მუშათა მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში შეეხო ნოტინგამშირისა და დერბშირის მაღაროს მეპატრონეთა წინადადებას თათბირის მოწვევის შესახებ და განაცხადა: „თუ დავკარგეთ იმედი საერთო-ეროვნული მასშტაბით შეთანხმებისა, მაშინ ზედმეტი არ იქნება გავიგოთ, თუ რა წინადადებას მოგვცემს მაღაროს მეპატრონენი ადგილობრივ. თუ მათი წინადადება ყურადღების ღირსი იქნება, იგი უნდა გადაეცეს ფედერაციას და ვსთხოვთ უკანასკნელს, რომ ეს წინადადება დაედოს საფუძვლად შეთანხმების მოთხოვნილებას ეროვნული მასშტაბით".

დახმარება ინგლისის სამთამადნო მუშებს

ბერლინი, 14 აგვისტო. გერმანიის სამთამადნო მუშების კავშირმა მოწოდებით მიმართა კავშირის წევრებს, დაეხმარონ ინგლისელ ამხანაგების გაფიცვას.

უოკერის წერილი

მოსკოვი, 14 აგვისტო. საბჭოთა კავშირის სასოფლო - სამეურნეო მუშათა კავშირის ცეკამ მოწოდებით მიმართა ყველა ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო მუშებს, რომ დახმარება აღმოუჩინონ ინგლისის სამთამადნო მუშებს. ამ მოწოდების საპასუხოდ სას.-სამ. მუშათა კავშირის ცეკამ სას.-სამეურ. მუშათა ეროვნული კავშირის გენერალური მდივნისაგან—უოკერისაგან მიიღო წერილი. წერილში უოკერი სწერს:

„ფრიად ვაფასებ თქვენს მოქმედებას, რომელიც სამთამადნო მუშებისადმი დახმარებაში გამოიხატა. **დიდათ გმადლობთ ყოველივე იმისათვის, რაც გააკეთეთ და აკეთებთ. იმედი მაქვს, რომ დადგება დღე, როდესაც ჩვენ გვექნება შესაძლებლობა საქმით დავამტკიცოთ ჩვენი მადლობა".**

ახალი საფაბრიკო კანონი

ლონდონი, 13 აგვისტო. ინგლისის მინისტრთა საბჭომ მიიღო პროექტი ახალი კანონისა პროფკავშირების შესახებ. ეს კანონ-პროექტი შემდეგში მდგომარეობს:

პროფკავშირის ფონდები, რომელთა დანიშნულებაა მუშებისათვის დახმარების აღმოჩენა, ავადმყოფობისა, ინვალიდობისა და უმუშევრობის შემთხვევაში, უნდა გამოცალკევებულ იქნას გაფიცვის ფონდებისაგან, რომ შესაძლებელი შეიქმნეს ამ თანხაზე ყადაღის დადება იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოყენებულ იქნა „შეთქმულების მოხდენის მიზნით". პროფკავშირებსა და მწარმოებლებს შორის შეთანხმება დაცული იქნება კანონით, და ასეთი შეთანხმების დამრღვეველნი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში. პროფკავშირებსა და მწარმოებლებს შორის დადებულ შეთანხმების დარღვევის ნიადაგზე წარმოშობილ საქმეების გარჩევისათვის წესდება უფრო გამარტივებული პროცედურა.

გაფიცვის გამოცხადების წინ პროფკავშირების წევრებს შორის სავალდებულო საიდუმლო კენჭის ყრის გატარების საკითხში მთავრობის წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა. სავალდებულო საიდუმლო კენჭის ყრის პრინციპი აღიარებულია მთავრობის ყველა წევრების მიერ, მაგრამ „შუბლმაგრები" მაინც მოითხოვენ, რომ კენჭის ყრის ორგანიზაცია მიენდოს შრომის სამინისტროს, ხოლო მთავრობის უფრო ზომიერი წევრები შესაძლოდ სთვლიან, რომ თვით პროფკავშირებს „ანდონ" კენჭის ყრის გატარება.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სარკინიგზო შეთანხმება

ვარშავა, 13 აგვისტო. პოზნანში ხელი მოაწერეს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სარკინიგზო შეთანხმებას, რომლითაც შემოღებული იქნება საქონლის პირდაპირი გაგზავნა პოლონეთიდან საბჭოთა კავშირში და უკან.

მდგომარეობა ბალკანეთზე

სამხრეთ-სლავიის, რუმინეთის და საბერძნეთის ნოტა ბულგარეთისადმი

ვენა, 13 აგვისტო. სამხრეთ-სლავიის ოფიციალური ცნობის თანახმად სამხრეთ-სლავიის, რუმინეთის და საბერძნეთის ელჩებმა სოფიაში გადასცეს ბულგარეთის მთავრობას კოლექტიური ნოტა, რომელიც შეიცავს შემდეგ მოთხოვნილებებს: ბულგარეთის მთავრობამ უნდა მიუთითოს თავის საზღვრების მცველ ორგანოებს, რათა უკანასკნელებმა სასტიკად დაიცვან ბულგარეთსა და სამხრეთ-სლავიას შორის დადებული ხელშეკრულებები. **ბულგარეთის მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები, რათა აღკვეთოს კომიტაჯების მოქმედება და მონახოს უკანასკნელ შეტაკებათა დამნაშავენი.**

ნოტაში აღნიშნულია, რომ ამ მოთხოვნილებათა შეუსრულებლობას ნოტის გამგზავნი სახელმწიფოები ჩასთვლიან მეგობრულ ურთიერთობის აღდგენის ჩაშლათ. მოთხოვნილებანი შეეხება იმ თავდასხმებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა როგორც მაკედონიის სამხრეთ-სლავიის ნაწილში, ისე დობრუჯის რუმინულ ნაწილში.

ამავე დროს **სამხრეთ-სლავიის ელჩმა გადასცა ბულგარეთის მთავრობას ცალკე ნოტა, რომელშიც მოითხოვს სამხრეთ-სლავიის იმ ემიგრანტ მოქალაქეების გაცემას, რომელნიც კომიტაჯების რიცხვში იმყოფებიან.**

რუმინეთის და ავსტრიის პრესა აცხადებს, რომ მიუხედავათ უკანასკნელ ხანებში მდგომარეობის გამწვავებისა, სამხრეთ-სლავიის, საბერძნეთის და რუმინეთის ნოტას არ აქვს ულტიმატუმის ხასიათი. პრესა ნოტის გაგზავნას მიაწერს ზეგავლენას ინგლისის და იტალიის მხრივ.

საუბარი ოსმალეთის ელჩთან

ბაქო, 14 აგვისტო. ბაქოში ჩამოვიდა ოსმალეთის ელჩი სპარსეთში მემდუხ-შეფკეტი. ამ.-კავკ. დეპეშ. სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში მან განაცხადა:

„ვსარგებლობ ჩემი შვებულებით და განზრახვა მაქვს ჩავიდე მოსკოვში; თუ დრო მომცემს საშუალებას, ჩაველ ლენინგრადშიაც, საიდანაც წავალ ოდესაში, შემდეგ ანგორაში". მემდუხ-შეფკეტი. შეეხო რა ოსმალეთის საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხს, სთქვა:

„ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის თანდათან მეგობრულ ხასიათს იღებს, რაიც ნათლად მტკიცდება მოსკოვსა და პარიზში დადებულ საგარანტიო ხელშეკრულებით. **მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ, რომელიც სწარმოებს ანგორაში, წარმატებით მიმდინარეობს.**

ოსმალეთის ურთიერთობა სპარსეთთან, რიზა-შახის ხელისუფლების სათავეში ჩადგომის შემდეგ, მეგობრულ ხასიათს იღებს. ამას წინედ სპარსეთთან დადებულ იქნა მეგობრობისა და საგარანტიო ხელშეკრულება, ისეთივე როგორიც დაიდო საბჭოთა კავშირთან. ამ მოკლე ხანში დაიდება აგრეთვე საბაჟო, საკონსულო და სხვა კონვენციები. ეჭვი არაა, რომ ყველა ეს ხელშეკრულებები ხელს შეუწყობენ მშვიდობიანობის დამყარებას აღმოსავლეთში და საშუალებას მისცემს მეზობელ ქვეყნებს, რომ დამშვიდებული შეუდგენ შრომას საკუთარ კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

ბალტიის სახელმწიფოები და საბჭოთა კავშირი

კოვნო, 13 აგვისტო. ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა პრესის წარმომადგენლებთან განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკება საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ მიმდინარეობს იმ მიმართულებით, როგორც ბალტიის სხვა სახელმწიფოებთან.

შემდეგ მინისტრმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების საქმე თანდათან წინ მიდის; ამასთანავე მიღებულია მხედველობაში მემელის ოლქისა და სავაჭრო ეკონომიური წრეების ინტერესები.

პროფინტერნის აღმასბიუროს მიმართვა ინგლისელ მემაღაროებისადმი

მოსკოვი, 14 აგვისტო. პროფინტერნის აღმასბიურომ ინგლისის მემაღაროებს მიმართა დეპეშით, რომელშიაც მიესალმება მათ მიერ სამღვდელოების წინადადების უარყოფას. პროფინტერნის აღმასბიურო თავის დეკლარაციაში აღნიშნავს, რომ ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვა კრიტიკულ პერიოდს განიცდის. ჩვენ ვხედავთ პროფმოძრაობის ისტორიაში უმაგალითო გამცემლობას გენერალურ საბჭოს, ამსტერდამის ინტერნაციონალისა და მასში შემავალ ორგანიზაციების მხრით. გენსაბჭოს გამცემლობის ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითია ინგლის-რუსეთის კომიტეტის უკანასკნელი სხდომა პარიზში. გაფიცულ მემაღაროებს გარს არტყია ერთის მხრით ამსტერდამის ინტერნაციონალის, გენსაბჭოს გამცემელი ბელადები და მეორეს მხრით ინგლისისა და მთელი ქვეყნის ბურჟუაზიის ძლიერი ფრონტი.

მხოლოდ პროფინტერნის მხრით ეღირსან მორალურ და ნივთიერ დახმარებას ინგლისელი მემაღაროენი. ისინი ბოლომდე მიიღებენ ამ დახმარებას.

პროფინტერნის აღმასბიურო მოუწოდებს საერთაშორისო პროლეტარიატს, რომ დაუღალავად განაგრძოს შემოწირულებათა შეგროვება, ვინაიდან ინგლისელი მემაღაროენი თავისი სისხლით იცავენ მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესებს.

ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი, 14 აგვისტო. ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომმა მიმართა მთელი ქვეყნის მუშურ-გლეხურ ახალგაზრდა პროლეტარიატის პირველი შიაც ნათქვამია, რომ ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეს 5 სექტემბერს ახალგზრდა პროლეტარიატის პირველი სიტყვა მიძღვნილი იქნება ინგლისის მებრძოლი პროლეტარიატისადმი. ამსტერდამის ინტერნაციონალს, მთელ საერთაშორისო სოც-დამოკრატიას და ინგლისის კონსერვატორებს სწადიათ კისერი მოუგრიხონ არა მარტო თავის ქვეყნების მუშებს, არამედ პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს—საბჭოთა კავშირს. პილსუდსკის საშუალებით ისინი ამზადებენ ახალ თავდასხმას საბჭოთა კავშირზე. მთელს მსოფლიოში ბურჟუაზია გააფთრებული ენერგიით ემზადება ახალი ომისათვის. მთელი ქვეყნის მუშურ - გლეხური ახალგაზრდობა მზად უნდა იყოს ყოველ წუთში. ჩვენ მზადა ვართ, ნათქვამია მოწოდებაში, ხმა აღვიმაღლოთ ომის, ცარიზმის და ეკონომიური გაჭირვების საწინააღმდეგოთ. ახალგაზრდობა მთლიანი ფრონტით მთელი ქვეყნის ახალგაზრდა მუშებთან ერთად საერთაშორისო ახალგაზრდობის დღეს ჩაატარებს კომკავშირის რიგებში ახალგაზრდა მებრძოლთა მიღების კამპანიას, მოუწოდებს მათ იბრძოლონ ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტი

ხიკსისა და პერსელის წერილი

ლონდონი, 13 აგვისტო. გაზეთ „ტრედიუნიონ-იუნიტეში" გამოქვეყნებულია ჯორჯ ხიკსისა და პერსელის წერილი ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტის შესახებ.

არკვევს რა კომიტეტის დაარსების გამომწვევ მიზეზებს, წერილი ამბობს:

„საბჭოთა კავშირის შეკავშირებული მუშები, რომლებიც ენტუზიაზმითა და რევოლიუციონური ცეცხლით არიან აღსავსე, ამჟამად თავიანთ რევოლიუციონური გამარჯვებით და სიმშილის გასაოცარის დაძლევით, უნდა შევიდნენ საერთაშორისო პროფმოძრაობაში. ეხლა ამის საჭიროება უფრო მეტია, ვიდრე ოდესმე იყო. ინგლის-რუსეთის კომიტეტის მნიშვნელობა დღითი-დღე იზრდება. ყოველი დღე სულ უფრო და უფრო აუცილებელს ხდის ინგლისისა და რუსეთის მუშათა მჭიდრო სოლიდარობას და მთელი საერთაშორისო პროფმოძრაობის, მათ რიცხვში საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობის მჭიდრო კავშირს. ეს კავშირი განხორციელებულ უნდა იქნას პროფკავშირთა ძლიერი ინტერნაციონალის შექმნით. კაპიტალისტების შეტევა მუშების წინააღმდეგ ძლიერდება და უსასტიკეს და გამძაფრებულ ხასიათს იღებს ინგლისში კიდევ უფრო თვალსაჩინოა ეს ბრძოლის გამწვავება.

პარიზში კომიტეტის სხდომაზე გაკეთებულ განცხადებათა შესახებ (ხიკსი და პერსელი ამბობენ, რომ მათ გულწრფელად აქვთ იმედი, რომ ის უთანხმოება, რომელსაც შეიცავენ ეს განცხადებანი, სულ მოკლე ხანში იქნება მოგვარებული.

კომიტეტის ნაყოფიერი, დიდი და მეტად მნიშვნელოვანი მუშაობა, ნათქვამია წერილში, უნდა გაგრძელდეს. ღრუბლებით არის მოცული ჰორიზონტი. ტყუილად კი არ ქმნიან კაპიტალისტური სახელმწიფოები, და კერძოთ ინგლისი, საბჭოთა რესპუბლიკების მეზობელ ქვეყნებში აგრესიული ომის პირობებს. აქ, ინგლისში სამთა-მადნო მუშების ბრძოლა მხოლოდ შესავალია სხვა სამრეწველო და პოლიტიკური ბრძოლისა, რომლის შედეგები არავის არ შეუძლია გაითვალისწინოს.

რუსეთის მუშებმა დიდი დახმარება აღმოუჩინეს ინგლისის მემაღაროებს. ამას არ დავივიწყებთ არასოდეს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტის მომავალი კონფერენცია შექმნის მუშაობის ახალ, უფრო ინტენსიურ პერიოდს.

უოკერის წერილი

ლონდონი, 13 აგვისტო. გაზეთ „ტრედიუნიონ იუნიტე", რომელმაც დაბეჭდა ხიკსისა და პერსელის წერილი ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის შესახებ, აქვეყნებს აგრეთვე წერილებს კუკისა, სმიტისა და უოკერის, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირის მდივნად არის დანიშნული და ამავე დროს გენერალურ საბჭოს წევრია.

სეთის მთლიანობის კომიტეტის შესახებ აქვეყნებს აგრეთვე წერილებს კუკისა სამიტისა და უოკერის, რომელიც სასოფლ-სამეურნეო მუშათა კავშირსი მდივნად არის დანიშნული და ამავე დროს გენერალურ საბჭოს წევრია.

უოკერი სწერს: „რაც შეეხება მემაღაროების მოქმედებას, მე ჩემი სოლიდარობა უნდა განუცხადო მათ, ვინაიდან ისინი იბრძვიან ყველა მუშათა საქმისათვის". უოკერი ხაზს უსვამს რუსეთის მუშათა მშვენიერ პასუხს მემაღაროეთა მოწოდებაზე და აცხადებს: „რუსეთის მუშები მოქმედებენ, ჩვენი ქვეყნის პროფკავშირთა მრავალი მუშა კი მხოლოდ ლაპარაკობდა".

ფოლადის მრეწველთა „მთლიანი ფრონტი"

ფოლადის მრეწველთა შეთანხმება

პარიზი, 12 აგვისტო, პარიზში ჩამოსული გერმანელი მრეწველები ტისსენი და კრუპპი ამთავრებენ მოლაპარაკებას საფრანგეთის სამეტალურგიო მრეწველობის წარმომადგენლებთან. მიღწეულია შეთანხმება, რომლის ძალითაც გერმანიაში ლორენიდან შეტანილ უნდა იქნას 1.400.000 ტონა რკინა. შეთანხმების მიხედვით უნდა მოეწყოს კარტელი პროდუქტების გასაღებისათვის. შეთანხმება შევა ძალაში საფრანგეთისა და გერმანიის მთავრობების დამტკიცების შემდეგ. იუწყებიან, რომ მოლაპარაკებაში ნაწილობრივად მონაწილეობა მიიღეს ინგლისის დელეგატებმაც.

ფოლადის ტრესტი

ბერლინი, 14 აგვისტო. პარიზში შემდგარი მოლაპარაკება ფოლადის ტრესტის დაარსების შესახებ კეთილსასურველად გათავდა; მხოლოდ შეთანხმებაზე ჯერ ხელი არ მოუწერიათ.

საფრანგეთ-გერმანიის დროებითი ხელშეკრულება

ბერლინი, 14 აგვისტო. ამას წინათ პარიზში ხელ მოწერილი საფრანგეთ გერმანიის ხელშეკრულება დაამტკიცა რეიხსტაგის სპეციალურმა კომისიამ და შევიდა ძალაში.

ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება

ლონდონი, 13 აგვისტო. იმ ხმების შესახებ, რომ საფრანგეთს განზრახვა აქვს მიაღწიოს ინგლისთან ვალების საკითხში დადებულ ხელშეკრულების გადასინჯვას, „დეილი ნიუზის" დიპლომატიური კორესპონდენტი აცხადებს, რომ ინგლისის საზოგადოებრივი აზრი უარყოფს ყოველივე აზრს იმ შეთანხმების გადასინჯვისა, რომელიც კაიოსა და ჩერჩილს შორის დაიდო.

პოლონეთში

ხმები პოლონეთის ფინანსთა მინისტრის გადადგომის შესახებ

ვარშავა, 13 აგვისტო. პოლიტიკურ წრეებში დადის ხმები ფინანსთა მინისტრის კლარნერის მოსალოდნელ გადადგომის შესახებ. კლარნერი ილაშქრებს ბიუჯეტით გაუთვალისწინებულ ხარჯების და, კერძოთ, აფიცრებისათვის ჯამაგირების მომატების წინააღმდეგ.

ხორტის სამეფოში

კომუნისტების დევნა

ვენა, 13 აგვისტო. უკანასკნელ დღეებში ჰუნგრეთის პოლიცია აწარმოებს მასიურ ჩხრეკას კომუნისტების დაპატიმრების მიზნით. პოლიციამ დააპატიმრა 18 კაცი ისეთი ბრალდებით, თითქოს ისინი სოციალისტურ მუშათა პარტიის სახელით ეწევიან კომუნისტურ აგიტაციას.

ღამის ცნობები

ამხ. მიქოიანის დანიშვნა

მოსკოვი, 14 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ცაკმა დაადგინა გაანთავისუფლოს ამხ. კამენევი ვაჭრობის სახალხო კომისრის მოვალეობიდან და ვაჭრობის სახალხო კომისრად დაინიშნოს საბჭოთა კავშირის ცაკის წევრი ანასტასი ივანეს ძე მიქოიანი.

საფრანგეთ - ბელგიის შეთანხმება

ბერლინი, 14 აგვისტო. საფრანგეთსა და ბელგიის შორის მოხდა შეთანხმება ვალების საკითხის შესახებ. საფრანგეთმა უნდა გადაუხადოს ბელგიას 150 მილიონი ფრანკი.

ჰოჰენცოლერნების ქონების საკითხი

ბერლინი, 14 აგვისტო. პრუსიის მთავრობამ განაცხადა, რომ ის მზათ არის განიხილოს კომპრომისის შესაძლებლობა ჰოგენცოლერნების საკუთრების საკითხის შესახებ მათ წარმომადგენელთან ერთად.

რეპრესიები პრესის წინაალმდეგ

პეკინი, 13 აგვისტო. პეკინში გრძელდება რეპრესიები პრესის წინაალმდეგ. „ში-ჩი-შიბაოს" დაპატიმრებულ რედაქტორს — ჩენ-პინს სამხედრო სასამართლომ სამუდამო ციხე მიუსაჯა.

კონფლიქტი სტოკჰოლმის ქაღალდის სამრეწველოში

სტოკჰოლმი, 13 აგვისტო. ქაღალდის წარმოების მრეწველთა და მუშებს შორის მოლაპარაკება შეწყვეტილია. კვირიდან შეწყდება მუშაობა ქარხნებში. კონფლიქტში მონაწილეობას იღებს 12,000 მუშა.

მანიფესტაცია სიძვირის წინაალმდეგ

პარიზი, 13 აგვისტო. მერის აკრძალვის მიუხედავათ 6.0000 მუშამ ნანტში მოაწყო საპროტესტო მანიფესტაცია სიძვირის წინაალმდეგ. მანიფესტაცია გაფანტა პოლიციამ, რომელიც არაჩვეულებრივ სიმკაცრეს იჩენდა.

მადნების ნაციონალიზაცია

ბერლინი, 14 აგვისტო. მექსიკიდან მიღებული ცნობით მექსიკის მთავრობამ გამოაქვეყნა ახალი კანონის შინაარსი, რომლის ძალით მეპატრონეებს ერთმევათ ყველა მაღაროები და ნავთის ჭები, რომლებიც უცხოელების საკუთრებას შეადგენს. უცხოელებს აქვთ კონცესიის უფლება, მხოლოდ მთავრობის ზრდა მხედველობის ქვეშ.

ვანდერველდე იმუქრება

პარიზი, 13 აგვისტო. ბრიუსელის სოციალისტური პარტიის ფედერაციის სხდომაზე მემარცხენე ფრთის მოთხოვნილების განხილვის დროს სოციალისტურ მინისტრთა მთავრობიდან გამოსვლის შესახებ, ვანდერველდემ განაცხადა: დეპუტატობას თავს დავანებებ, რადგან უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მემარცხენე ფრთის წინადადებას. ზელადებმა მოახერხეს კენჭის ყრის გადადება ერთი კვირით.

გადასახადი უცხოელებზე

ბერლინი, 14 აგვისტო.. ბერლინში დღეიდან იწყება უცხოელებზე სპეციალური გადასახადის კანონის განხორციელება. გადასახადი ხდება იმ უცხოელებს, რომლებიც მოდიან იმ ქვეყნებიდან, სადაც ვალიუტა განმტკიცებულია.

საწარმოვო აქციის კურსის გადიდება

ლონდონი, 13 აგვისტო. სანახშირო კონფლიქტის საკითხის დაჩქარებით მოწესრიგების იმედმა საშინლად ასწია საწარმოო აქციების ფასი ლონდონის ბირჟაზე.

ვულკან „ლაკბატანის" ამოხეთქა

ბაქო, 14 აგვისტო. საღამოს 11 საათზე სადგურ პუტას მახლობლად ვულკანმა ლაკბატანმა ამოისროლა ცეცხლის უზარმაზარი სვეტი, რომელმაც გაანათა მთელი ქალაქი და მის ახლოს მდებარე მიდამოები. ვულკანის ამოხეთქვის მნახველნი გადმოგვცემენ, რომ ვულკანს აქვს რამოდენიმე საჟენი ძაბრისებური თავი. ცეცხლის სვეტი თანდათან კლებულობს. ვულკანიდან ჩუხჩუხით გადმოდის გამდნარი ლავა.

გენერალური საბჭო. ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოხსენების შესახებ

ლონდონი, 14 აგვისტო. გენერალურმა საბჭომ განიხილა ინგლის-რუსეთის მოხსენება და გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა: გენერალური საბჭო იწონებს თავის წარმომადგენლების მოქმედებას პარიზის თათბირზე. გადადგმული იქნება ნაბიჯი ახალი თათბირის მოსაწვევად მომავალ კვირაში.

ინგლისის მთავრობა არ თმობს თავის პოზიციებს

ლონდონი, 14 აგვისტო. ინგლისის მთავრობის წრეები აცხადებენ, რომ მთავრობას არა აქვს განზრახვა დასთმოს თავისი პოზიცია სანახშირო წარმოებისათვის სუბსიდიის მიცემის საკითხში. არავითარ შემთხვევაში სუბსიდიის ვადა არ გაგრძელდება.

პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე

კოვნო, 14 აგვისტო. ვილნოს რაიონში, ლიტვის მოსაზღვრე ხაზზე მდგომარეობა წინანდებურად სერიოზულია. პოლონეთის რეგულიარული ჯარის გადმოყვანა საზღვარზე გრძელდება. სანაპირო გარნიზონი და სანაპირო დამცველი რაზმი გაძლიერებულია ორჯერ მაგ. 81 ფეხოსან პოლკში იყო 875 კაცი, ეხლა—კი ჯარის კაცთა რიცხვი ადის 1689-მდე. ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი სხვა სამხედრო ნაწილებშიაც. ჯარის მოგროვება სანაპირო ხაზზე მცხოვრებლებში იწვევს დიდ აღშფოთებას; განსაკუთრებით—კი ლიტოველები—შეწუხებული არიან ჯარების ცუდი მოქცევით.

ქურთების აჯანყება

თეგერანი, 14 აგვისტო. სპარსეთის ქურთისტანში, ქერმენშახის რაიონში—გამოჩნდა სალარ-ედ-დოვლე, რომელმაც აუჯანყა ქურთების ზოგიერთი ტომები სპარსეთის მთავრობის საწინააღმდეგოთ. მთავრობამ გაგზავნა ჯარები ამ რაიონში. დაიწყო შეტაკება.

გერმანელ მუშათა მეორე დელეგაციის მიმართვა ლენინგრადის მუშებისადმი

მოსკოვი

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ, გერმანიის მუშათა მეორე დელეგაციის წევრები სიამაყისა და დიდი სიხარულის გრძნობით ვართ აღსავსენი იმ ძმური სიყვარულის გამო, რომლითაც მივვიღეთ თქვენს წრეში. ამხანაგებო, თქვენ ფართოდ გააღეთ ყველა კარები, თქვენს უხვ მასპინძლობას საზღვარი არა ჰქონდა. ეს პირველი შთაბეჭდილება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ყოველთვის დარჩება ნათლად ჩვენს მეხსიერებაში. ჩვენ წამოვედით გერმანიიდან მუშათა დავალებით იმისათვის, რომ გაგვეგო სიმართლე თქვენი ქვეყნის ეკონომიურ, პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობის შესახებ.

ბევრს ჩვენთაგანს ყოველგვარი საშუალებით უშლიდენ ხელს ჩვენი პროფკავშირების და პარტიის ბიუროკრატიული ზედა-ფენები. მაგრამ ჩვენი ნებისყოფა, რომელიც მთელი გერმანიის მუშათა კლასის ნებისყოფად გადაიქცევა, უფრო ძლიერი იყო.



კერბერი
გერმანელ მუშათა მეორე დელეგაციის თავმჯდომარე

ჩვენ საშუალება მოგვეცა ლენინგრადში დავრწმუნებულიყავით, რომ თქვენ სამოქალაქო ომის უმძიმეს წლების შემდეგ სასწრაფოდ შეუდექით აღმშენებლობას. ყველა წარმოებებში ჩვენ გაოცებით უკვირდებოდით თქვენს ენერგიულ მუშაობას და ზრუნვას ქვეყნის ეკონომიური კეთილდღეობის აღსადგენად. ამასთანავე, ჩვენ ვნახეთ ის დაბრკოლებანიც, რომელიც თქვენ უნდა სძლიოთ სანიმუშო წარმოების შექმნის დროს. ნელ-ნელა,—ჩვენ ამაში დავრწმუნდით,—თქვენ თავიდან იშორებთ უდიდეს დაბრკოლებებს, რომლებიც ხელს უშლიან თქვენი მეურნეობის ზრდას. დაძველებულ ფაბრიკებს და მათ მოწყობილობას, რომელიც თქვენ მიიღეთ, როგორც ცუდი მემკვიდრეობა კაპიტალიზმისა და სამოქალაქო ომისაგან, თანდათან სცვლით და ანახლებთ. ყოველ სახელოსნოში ვნახეთ თქვენი ტეხნიკური წარმატებანი. ერთდაიმავე სახელოსნოში დაძველებულ დაზგასთან ერთად თქვენ დასდგით ახალი მანქანები და ყოველი ხელახლად მოწყობილი სახელოსნო, ყოველი ცეხი მიისწრაფის უმაღლეს ტეხნიკურ მიღწევებისაკენ.

მაგრამ ყველაზე უფრო აღგვაფრთოვანა იმ მეგობრულმა, შეთანხმებულმა მუშაობამ და მჭიდრო ამხანაგურმა ურთიერთობამ, რომელიც არსებობს თქვენს ქარხნებში წითელ დირექტორებსა და მუშებს შორის. ამ ფაქტმა გაგვაოცა ჩვენ ყველანი, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო წარმოებათა და დაწესებულებათა მუშები. ყველა ჩვენ მიერ დათვალიერებულ წარმოებებში ჩვენ დავრწმუნდით, რომ თქვენ, მუშები, მართლაც ნამდვილი ბატონ-პატრონები ხართ თქვენი ფაბრიკებისა და ქარხნებისა. თქვენი სოციალური და სანიტარულ - ჰიგიენური დაწესებულებანი წარმოების მუშებისათვის, სანიმუშოა. შეუდარებელია თქვენი ენერგია მუშათა და გლეხთა კულტურული დონის ასაწევად.

იმ სიცრუისა და ცილისწამების შემდეგ, რომელიც ვრცელდება გერმანიაში თქვენი პროფკავშირების შესახებ, ჩვენ მეტად განცვიფრებული ვიყავით თქვენი პროფკავშირების გაცხოველებული მოქმედებით, კავშირის ყოველი წევრის აქტიურობით, თავისუფალ დამოკიდებულებით, კრიტიკისა და აზრის თავისუფლებით.

ჩვენ რომ ლენინგრადის გარდა არაფერი გვენახა საბჭოთა კავშირში, ესეც კი სრულიად საკმაო იქნებოდა იმისათვის, რომ დამშვიდებული სინდისით გვეთქვა ჩვენ გერმანელი მუშებისათვის, რომ სიცრუე და სიყალბეა ის, რომ თითქოს თქვენი პროფკავშირები მუშათა შევიწროების იარაღია.

შემდეგ, ყოველივე ნახულის მიხედვით ჩვენ ვაცხადებთ: ჩვენ უკვე ეჭვი აღარ შეგვდის იმაში, რომ ქალაქისა და სოფლის მშრომელთ მართლაც შეუძლიათ სახელმწიფო ხელისუფლების არა მარტო შენარჩუნება, არამედ თავისი სახელმწიფოს აშენებაც.

ამხანაგო—მუშებო! ჩვენ ეხლა არა მარტო შევისწავლით თქვენს ცხოვრებას, არამედ ვისწავლით თქვენგან. თქვენ, რომლებიც დიდი ხანი იყავით გერმანიის მუშათა კლასის მოწაფენი, ისტორიის ნებით გახდით ჩვენი მასწავლებლები. ყოველივე ამას გამოვამჟღავნებთ გერმანიაში ყველა მუშებისა და მოსამსახურეების წინაშე. ჩვენ კიდევ ერთხელ გიცხადებთ გულითად მადლობას იმ პატივისცემისათვის, რომლითაც მიგვიღო წითელმა არმიამ და ფლოტმა. წითელი არმიისა და ფლოტის ნამდვილმა ინტერნაციონალურმა სულმა სიხარულით აავსო ჩვენი გული.

გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთის აღმშენებლობას!

გაუმარჯოს რუსეთისა და გერმანიის მუშათა კლასის ერთად მუშაობას!

გაუმარჯოს პროფკავშირთა მთლიან საერთაშორისო ფრონტს!

ამხ. მიქოიანის დანიშვნა

მოსკოვი, 14 აგვისტო. ვაჭრობის სახალხო კომისრად ახლად დანიშნული ამხ. მიქოიანი დაიბადა თბილისის გუბერნიაში 1895 წლის 25 ნოემბერს მუშის ოჯახში. პარტიაში შევიდა 1915 წელს და 1917 წელში ის მუშაობს პარტიის თბილისის კომიტეტის მდივნის თანამდებობაზე. 1918 წელში მიქოიანი კომისარია თურქების საწინააღმდეგო ფრონტზე. 1919 წელში თურქების მიერ ბაქოს დაპყრობის დროს მიქოიანი ტყვეობიდან ანთავისუფლებს დატყვევებულ ბოლშევიკებს შაუმიანს, ჯაფარიძეს და სხვებს. მათთან ერთად ეს დაატყვევა ინგლისის სარდლობამ კრასნოვოდსკში და რაღაც ბედნიერი შემთხვევის გამო გადარჩა 26 კომუნარის ხვედრს დახვრეტას.

1919 წლის მაისში ინგლისის სარდლობის მიერ ბაქოს ოკუპაციის დროს მიქოიანი ხელმძღვანელობდა ბაქოს მუშების გაფიცვას. ის დაიჭირეს, მაგრამ გაფიცვის კომიტეტთან ერთად მან მოახერხა გაქცევა ბაქოდან და განაგრძობდა არალეგალურ მუშაობას. როცა ის კავკასიის არალეგალური საოლქო კომიტეტის წევრი იყო, იმან ნავით თავი დააღწია დენიკინის ფრონტს და მივიდა ასტრახანში პარტიის ცენტ. კომიტ. მოხსენების გასაკეთებლად. კავკასიაში პარტიის მშენებლობის და საორგანიზაციო საქმეების შესახებ, მთელ რიგ საკითხების გადასაჭრელად. ამის შემდეგ იგი ბრუნდება ბაქოში არალეგალური მუშაობისათვის. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ 1920 წელში პარტიის ც. კ. დანიშნა ის ნიჟნი ნოვგოროდში, სადაც ის მუშაობდა საგუბერნიო მდივნის თანამდებობაზე—1922 წ.—1923 წლამდე. 1923 წლიდან უკანასკნელ ხანამდე ის მუშაობდა ჩრდილოეთ კავკასიის საოლქო პარტიული ორგანიზაციის მდივნად. მე-11 ყრილობაზე მიქოიანს ირჩევენ ც. კ. წევრობის კანდიდატად, შემდეგ ის აირჩიეს საკავშირო კომპარტიის წევრად. ამჟამად ის საკ. კომპარტიის ც. კ. პოლიტბიუროს კანდიდატია. 1919 წლიდან მიქოიანი მუდმივი წევრია სრ. რუსეთის ცენ. აღმ. კომიტეტის და აგრეთვე საბჭოთა კავშირის ცენ. აღ. კომიტეტისა.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

შემნახველი სალაროების შუამავლობა

მოსკოვი, 14 აგვისტო. კავშირის ფინ. სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა საკავშირო რესპუბლიკების ყველა ფინ. სახ. კომისარიატებს, სამფინგანებს და სახ. შრომის შემნახველ სალაროებს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შემნახველ სალაროების შუამავლობის პოპულიარიზაციას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეტანის საქმეში და თავის დროზე მოამზადონ შემნახველი აპარატები ამ ოპერაციის შესრულებისათვის.

ნავით მოგზაურობა კოპენჰაგენიდან—ლენინგრადამდე

ლენინგრადი, 14 აგვისტო. კოპენჰაგენიდან ჩვეულებრივ ნავით ჩამოვიდა ლენინგრადში სამი დანიელი. მათ შორის 1 კომუნისტი და 2 კომკავშირელი. მთელი გზა კოპენჰაგენიდან—ლენინგრადამდე მათ გაიარეს 32 დღის განმავლობაში.

ნორჩ პიონერთა ც. ბიუროს გაფართოებული პლენუმი

მოსკოვი, 14 აგვისტო. სექტემბერში მოსკოვში მოწვეულ იქნება ნორჩ პიონერთა ცენტრალურ ბიუროს გაფართოებული პლენუმი. პლენუმზე მონაწილეობას მიიღებენ პიონერთა 40 ორგანიზაციის წარმომადგენლები.

საგადასახადო შეღავათები

მოსკოვი, 14 აგვისტო. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ მთელი რიგი საგადასახადო შეღავათებისა მისცეს იმ დაწესებულებებსა და წარმოებებს, რომლებსაც თვითონ ბავშთა კომისიები ხელმძღვანელობენ უშუალოდ, და აგრეთვე ბავშთა დამცველ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

რა ხდება უცხოეთში

„ზავი" მრეწველობაში

(წერილი ინგლისიდან)

უკანასკნელ ხანებში „ზავი" მრეწველობაში და კლასთა „თანამშრომლობა" ბურჟუაზიული პრესის მთავარ სალაპარაკო თემათ გადაიქცა. ამ იდეების პროპაგანდა საგრძნობათ გაძლიერდა. ფართოდ გავრცელდა აგრეთვე მოგებაში მუშების მონაწილეობის მიღების პროპაგანდაც. ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივად, ამერიკის მაგალითზე მიუთითებენ. მთელი ეს მოძრაობა მიმდინარეობს ამერიკანიზაციის დროშის ქვეშ, მიუხედავათ იმისა, რომ ის მეთოდები, რომელთა პროპაგანდას ეწევიან, ინგლისში უფრო ადრე იყო შემოღებული ვიდრე ამერიკაში.

კლასთა „თანამშრომლობას" ინგლისში ქადაგებენ მას შემდეგ, რაც არსებობს ინგლისის კაპიტალიზმი. მრეწველობის ზოგიერთ დარგებში ამ იდეამ ასე თუ ისე ღრმა ფესვები გაიდგა. ამ დარგს ეკუთვნის გაზის, წუმწუმას, ქიმიური, თამბაქოს, საპნის და მრეწველობის ზოგიერთი სხვა დარგები. ამ მოძრაობის გაძლიერება ბურჟუაზიაში და მისი სიმტკიცე „ახალი" მეთოდების გატარებაში ამჟამად აიხსნება უმთავრესად კლასობრივ წინააღმდეგობათა გამძლიერებით ინგლისში.

მაგრამ ინგლისის კაპიტალიზმის დაცემა თითქმის შეუძლებლად ხდის ყველა ამ გეგმების განხორციელებას. მითითება შეერთებულ შტატებზე სავსებით შემცდარია. ვინაიდან წინაალმდეგ ინგლისის მრეწველობის მდგომარეობისა, ამერიკის კაპიტალიზმის განვითარება ჯერ არ შეჩერებულა. და რომც მოხერხდეს ამ გეგმების დაუყოვნებლივ განხორციელება, ამით კლასობრივი წინააღმდეგობანი არამც თუ შესუსტდებოდენ, არამედ, პირიქით, გაძლიერდებოდენ. და ეს გასაგებიცაა არის. კლასთა „თანამშრომლობას" ასაბუთებენ იმით, რომ საჭიროა შრომის ნაყოფიერების გადიდება. ისმება კითხვა: სად იშოვის ინგლისი ახალ ბაზრებს თავის პროდუქციის გასასაღებლად, როდესაც ძველებიც შეუმცირდა და კარგავს იმათ. აშკარაა, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდებამ უნდა გამოიწვიოს ახალი უმუშევრობა, გააძლიეროს კლასობრივი ბრძოლა.

რაც შეეხება „თანამშრომლობის" სისტემის განხორციელებას პრაქტიკულად, ისმება მეორე კითხვა: როგორ იქნეს აცილებული თავიდან „თანამშრომლობის" გადაქცევა მასხარობათ იქ, სადაც იგი არსებობს უკვე?

საილიუსტრაციოდ მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს. ცნობილმა საპნის სინდიკატმა „ლევერმა", რომელიც თავიდანვე ანხორციელებს მუშების მონაწილეობას მოგებაში, წრეულს არ გასცა დივიდენდი მუშათა აქციებზე. თუმცა კომბინატის დივიდენდი 5.500.000 გირვანქა სტერლინგს უდრიდა, მიუხედავათ ამისა, კომბინატის გამგეობამ საჭიროთ სცნო იმ 220.000 გირვ. სტერლინგის „გადარჩენა", რომელიც მუშებს ეკუთვნოდა, როგორც წილი მოგებაში.

კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა ამ მხრივ ლანკაშირისა და იორკშირის საფეიქრო მრეწველობაში. იქ მუშათა მონაწილეობა მოგებაში დიდი ხანია რაც შემოღებულია. მაგრამ, კრიზისის გამო,უკანასკნელი წლების განმავლობაში ფაბრიკებმა უარი სთქვეს „თანამშრომლობაზე", რომელიც ახლა ტარდება იქ, როგორც გამონაკლისი.

ყველაზე ძველ და ყველაზე მსხვილ ორგანიზაციას ინგლისში, რომელიც ქადაგობს კლასთა „თანამშრომლობის" სისტემას, წარმოადგენს „შრომითი თანამშრომლობის ასოციაცია", დაარსებული 1884 წ. 42 წლის განმავლობაში ასოციაცია მრავალრიცხოვან კონფერენციების, მიტინგების, სხვადასხვაგვარი ლიტერატურის საშუალებით ავრცელებდა კლასთა „თანამშრომლობისა" და მოგებაში მუშების მონაწილეობის იდეებს.

ეს ასოციაცია ეკუთვნის „თავისუფალი" ორგანიზაციების ტიპს, ე. ი. მას არ აქვს მტკიცედ განსაზღვრული სტრუქტურა. ცალკე წევრები ყოველწლიურად იხდიან განსაზღვრულ ანარიცხს, არა ნაკლებ 5 შილინგისა. წარმოებები და ორგანიზაციები თვითონ აწესებენ თავისთვის ისეთ გადასახადს, როგორსაც საჭიროდ თვლიან, იშვიათად 50 გირვ. სტერლინგზე მეტს წელიწადში. ფულადი ანგარიშები ქვეყნდება ასოციაციის სამთვიურ ჟურნალში „კოპარტნერშიპ". უკანასკნელ წლებში ასოციაციის შემოსავალი არ აღემატებოდა 2.000 გირვ. სტერლინგს.

ასოციაციას ყავს ორი თავმჯდომარე ლორდი სესილი და ვ. ა. ეპლტონი. ეპლტონი ერთერთი უძველესი და უკიდურესი რეაქციონერია ინგლისის პროფმოძრაობაში. ოდესღაც იგი დიდ როლს თამაშობდა. ლორდ სესილის თავმჯდომარეობას უფრო დეკორატიული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან საზეიმო შემთხვევებში სიტყვების წარმოთქმისა და ქაღალდებზე ხელის მოწერის გარდა იგი არაფერს აკეთებს ასოციაციისათვის.

ასოციაციის „საბჭო" შესდგება 43 წევრისაგან, რომელთა შორის არიან: ლორდი ბალფური, მარკიზი გარრინგტონ, ვინჩესტერის ეპისკოპოზი, ეკონომისტი გეორგ პეშ, პარლამენტი ყოფ. მუშათა დეპუტატი შეკლტონი (ახლა დიდი თანამდებობა უჭირავს შრომის სამინისტროში) და „ეკონომისტის" რედაქტორი ლეიტონი.

ასეთ „თვალსაჩინო" პიროვნებებთან ერთად „საბჭოში" შედიან პროფმოძრაობის ისეთი ძველი მოღვაწეები, როგორიც არის მადისონი და ალექსანდრე უილკი იმ ლიბერალურმუშური პოლიტიკური სკოლის წარმომადგენლები, რომელიც წინ უძღოდა მუშათა პარტიის დაარსებას. ამ საოცარ „საბჭოში" შედის აგრეთვე ტრედიუნიონების ორი წარმომადგენელი ბენ-ტერნერი და პაულტონი. ეს ჭრელი დაწესებულება იშვიათად იკრიბება და თავისი თავმჯდომარის მსგავსად უფრო დეკორატიულ როლს თამაშობს, ვინემ ნამდვილს.

ასოციაციის ნამდვილ ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს აღმასკომი, რომელიც 25 კაცისაგან შესდგება. აღმასკომის წევრთა უმრავლესობა სრულიად უცნობი ხალხია. მხოლოდ აღმასკომის ორი წევრი მადისონი და პაულტონი ცნობილია ნაციონალური მასშტაბით.

„თანამშრომლობის" პროპაგანდამ, რომელსაც ასოციაცია აწარმოებს, რაიმე მნიშვნელოვან შედეგებს ვერ მიაღწია.ეს ნათელი შეიქნება ჩვენთვის, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ასოციაციის შემოსავალი წელიწადში არ აღემატება 2000 გირვ. სტერლინგს, რაც ინგლისისათვის უმნიშვნელო თანხაა. ასოციაციის ჟურნალი იბეჭდება მხოლოდ 2000 ცალის რაოდენობით. შემთხვევიდან შემთხვევამდე იბეჭდება აგრეთვე ფურცლები პამფლეტები. მაგრამ ამ გამოცემებს დიდი მნიშვნელობა არა აქვთ, მათ ავრცელებენ მხოლოდ ასოციაციის წევრებს შორის.

ასოციაციის პროპაგანდას ხელს უწყობენ უმთავრესად ის წარმოებები, რომლებიც „თანამშრომლობის" პრინციპს ანხორციელებენ. ახეთი წარმოებების უმრავლესობა თვითონ სცემს საკუთარ ჟურნალებს, რომლებიც ვრცელდება მხოლოდ ამ წარმოებების პერსონალს შორის.

„თანამშრომლობის" სისტემის პროპაგანდა სწარმოებს აგრეთვე მემაღაროეთა შორის. თუმცა ლოკაუტის ახლანდელ პირობებში ეს დაცინვათ მოსჩანს,, მაგრამ მაინც სამუელის კომისიამ განსაზღვრული წინადადებები წამოაყენა ამ მიმართულებით. მემაღაროები მხოლოდ დასცინიან ამ წინადადებებს. ერთი მემაღარო ამის გამო ტრედიუნიონ უნიტი"-ში შემდეგს სწერდა: ოჯახური მყუდროება, მონაწილეობა მოგებაში, ვანები, საბინაო პირობების გაუმჯობესება და სხვადასხვა. რა საშინელი დაცინვაა! ამით თვალებს გვიხვევენ, რომ გაგვიგრძელონ სამუშაო დღე და შეგვიმცირონ ხელფასი". ახლანდელი კონფლიქტის დროს ერთმა სანახშირო კომპანიამ კიმბერლენდში წინადადება მისცა სამთა-მადნო მუშებს შემოღებული ყოფილიყო „თანამშრომლობის" სისტემა. მაგრამ მემაღაროებმა არ კი განიხილეს, ისე უარყვეს ეს წინადადება.

ასეთი „მიღწევები" აქვს „თანამშრომლობის" სისტემის პროპაგანდას.

ა. ტეილორი.

ლონდონი, 3 აგვისტო.

პარტიული ცხოვრება

ცენტრ. საკონტრ. კომისიის დადგენილება ოსოვსკის წერილის შესახებ

მოსკოვი, 14 აგვისტო. დღეს „პრავდაში" გამოქვეყნებულია ცენტრ. საკონტროლო კომისიის შემდეგი დადგენილება ოსოვსკის წერილის „პარტია მე-15 ყრილობისათვის" შესახებ:

„ოსოვსკი იაკობ ალექსის ძე, დაბადების წელი—1898, საკავშირო კომპარტიაში (ბ) შევიდა 1918 წელს; 1917—1918 წლამდე გერმანიის დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ფრთის წევრი იყო. ექსტერნათ დაამთავრა რეალური სასწავლებელი, დადიოდა ზომბარტის უმაღლეს ეკონომიურ კურსებზე ბერლინში. ამჟამად მუშაობს „ცენტროსპირტში" ეკონომისტის თანამდებობაზე.

წარსულში ოსოვსკის ბრალი ედებოდა შემდეგ საქმეებში: 1922 წლის აგვისტოში ცენტ. საკონტროლო კომისიამ გამოიტანა დადგენილება: „იმის გამო, რომ ოსოვსკი უარს აცხადებს მობილიზაციის გამოწვეულ ათას წევრთან ერთან წავიდეს პროვინციაში, წინადადება მიეცეს ოსოვსკის გაემგზავროს ორი კვირის განმავლობაში დანიშნულ ადგილას, წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულ იქნას პარტიიდან". 1923 წლის მარტში ოსოვსკი გამორიცხულ იქმნა ნიჟეგოროდის გუბკომის ბიუროს წევრობიდან. ცენტ. საკონტრ. კომისიის პარტკოლეგიამ 1924 წ. 31 იანვარს იგი აღადგინა პარტიის წევრის უფლებებში და გამოუცხადა მას მკაცრი საყვედური წინასწარი გაფრთხილებით.

1926 წ. 10 აგვისტოს „ცენტროსპირტის" უჯრედის ბიურომ უჯრედის აქტივთან ერთად განიხილა რა ოსოვსკის წერილი, დაადგინა: გამორიცხულ იქნას ოსოვსკი საკავშირო კომპარტიის რიგებიდან. მოსკოვის საკონტრ. კომისიამ, ამა წლის 11 აგვისტოს მოისმინა რა თავის სხდომაზე ეს საქმე, დაადგინა. დადასტურებულ იქნას უჯრედის ბიუროს დადგენილება და გამორიცხულ იქნას ოსოვსკი საკავშირო კომპარტიის რიგებიდან, როგორც მისთვის უცხო ელემენტი.

ცენტრ. საკონტროლო კომისიის სამდივნოს წინადადებაზე ამა წლის 11 აგვისტოს სხდომაზე, რომ მას გადაჭრით უარეყო თავის წერილში გამოთქმული ანტიპარტიული შეხედულებანი, ოსოვსკიმ შეიტანა განცხადება სათაურით: „პრავდას" რედაქციაში", რომელიც შეიცავს პოლემიკას მის წინააღმდეგ გამოსულ პარტიულ თვალსაზრისის დამცველ ამხანაგების მიმართ, მაგრამ არ შეიცავს მის წერილში გამოთქმულ შეხედულებებისა გადაჭრით უარყოფას.

ყოველივე ზემოხსენებულის მიხედვით, ოსოვსკის თანდასწრებით წერილის შინაარსის დაწვრილებით განხილვის შემდეგ, ცენტრ. საკონტრ. კომისიის სამდივნომ გამოიტანა გადაწყვეტილება ოსოვსკის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ.

სრ. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტ. საკონტროლო კომისიის სამდივნო გაეცნო რა ოსოვსკის წერილს „პარტია მე-15 ყრილობისათვის", რომელიც დაურიგდათ ცაკას და ცენტ. საკონტ. კომისიის ივლისის პლენუმის წევრებს და რომელიც ამჟამად მისივე თანდართულ შენიშვნებით უკვე გახდა საერთო პრესის კუთვნილებად, აგრეთვე „ცენტროსპირტის" უჯრედების ბიუროს და მოსკოვის საკონრ. კომისიის დადგენილებებს და მოისმინა რა აგრეთვე ოსოვსკის ახსნა - განმარტება, აუცილებლად სთვლის სათანადოთ შეაფასოს ეს მენშევიკურ-ლიკვიდატორული დოკუმენტი.

საკონტროლო კომისიის სამდივნო აღნიშნავს, რომ ამ დოკუმენტში ოსოვსკი ძირითად საკითხებზე (საბჭოთა სახელმწიფო, ხასიათი, პროლეტარიატის დიქტატურა, მუშათა კლასის და გლეხობის ურთიერთობა, პარტიის და სახელმწიფოს ურთიერთობა) ანვითარებს ისეთ შეხედულებებს, რომელნიც წარმოადგენენ ამ საკითხზე ბურჟუაზიულ და მენშევიკურ შეხედულებების დაცვას ამ საკითხზე.

ოსოვსკი მე-2 ინტერნაციონალის ყველა პარტიებთან სრული თანხმობით ქადაგებს საბჭოთა კავშირში პროლეტარიატის დიქტატურის შენარჩუნების შეუძლებლობას, რადგან მისი აზრით ის არის ქვეყანა უმეტეს წილად გლეხური მოსახლეობით და შეუძლებელია მასში საკავშირო კომუნისტური პარტიის მტკიცე კლასობრივი ხაზის გატარება.

ოსოვსკი პროლეტარიატის დიქტატურის და მისი ავანგარდის სრ. საკ. კომპარტიის (ბ) ბუნებაზე თავისი ბურჟუაზიული შეხედულების დამტკიცებისა და დაფარვის მიზნით ყველა ჩვენი მტრებივით ცილს წამებს მუშათა კლასს და მის პარტიას იმის მტკიცებით, თითქოს საკავ. კომპარტია თავისი სახით იძულებული იყოს დაიცვას ქვეყნის არსებული ინტერესები და, მათ რიცხვში, კაპიტალისტურ მწარმოებელთა ინტერესებიც, თითქოს ჩვენი ქვეყნის ერთად-ერთი ლეგალური პარტიის სახით, წვრილ-ბურჟუაზიას ჰყავდეს და არ შეეძლება არ ჰყავდეს თავისი ინტერესების დამცველი რადგან ჩვენ ქვეყანაში სჭარბობს წვრილი ბურჟუაზია; თითქოს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი მისთვის უცხო სამეურნეო ფორმების მსახური გამხდარიყოს და სხვა.

პროლეტარიატის რევოლიუციის მტერთა გეგმებისა და მისწრაფების მაგვარად, რომლებიც იმედს ამყარებენ პროლეტარიატის დიქტატურის ლიკვიდაციაზე მუშათა კლასის პარტიის—საკავშირო კომპარტიის (ბ) დაშლით, ოსოვსკი ქადაგობს, რომ საკავშირო კომპარტიამ (ბ) ეხლავე უნდა უარყოს თავისი მთლიანი და დაუშვას ფრაქციათა თავისუფლება საკავშირო კომპარტიის (ბ) შიგნით, და აცხადებს, „პარტიულ აღმშენებლობის პრინციპის უსაფუძვლობას, რომელიც ერთად-ერთი პარტიის აბსოლუტურ მთლიანობას ემყარება".

ოსოვსკი ქადაგებს, რომ პარტიამ მომავალში სხვა პოლიტიკურ პარტიების (მენშევიკებისა და ესერების) შექმნისა და აღორძინების კურსი უნდა აიღოს.

ოსოვსკი აცხადებს, რომ საკავშირო კომპარტია (ბ) უნდა გადაყენებულ იქმნას კომინტერნის ხელმძღვანელობისაგან, ყოველ შემთხვევაში მისი გავლენა უნდა შემცირდეს, რასაც ესწრაფიან ყველა ჩვენი მტრები.

ცენტრ. საკონტროლო კომისიის სამდივნო სცნობს, რომ ოსოვსკის ეს შეხედულებები ბურჟუაზიის იდეოლოგიის გამოხატულებას წარმოადგენენ, რომლებიც შეუთავსებელია პროლეტარიატის იდეოლოგიისა, ჩვენი პარტიის პროგრამისა და საკავშირო კომპარტიის საფუძვლებთან, და იღებს რა მხედველობაში, რომ ოსოვსკიმ არ შეასრულა საკავშირო კომპარტიის (ბ) წინადადება, გამოსულიყო აშკარად და გადაჭრით უარეყო ეს ანტიპროლეტარული შეხედულებები, ცენტრ. საკონტ. კომისიის სამდივნო ადგენს: გამორიცხულ იქნას ოსოვსკი საკავშირო კომპარტიის რიგებიდან.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მდივანი **იანსონი.**

რატომ მოიკოჭლებს კომკავშირზე ხელმძღვანელობა

პარტუჯრედის მუშაობაში კომკავშირზე ხელმძღვანელობა ერთი მნიშვნელოვანი ამოცანათაგანია. ამავე დროს, ჩვენ ვხედავთ, რომ პარტუჯრედების დიდ უმრავლესობაში ეს ხელმძღვანელობა არ არის დაყენებული საღ ნიადაგზე. უმეტეს შემთხვევაში პარტიისა და კომკავშირის უჯრედების ურთიერთობა წმინდა ფორმალურ ხასიათს ღებულობს.

გამოჰყოფს პარტუჯრედი თავის წარმომადგენელს კომკავშირზე ხელმძღვანელობისათვის და ამით თავისი მოვალეობა შესრულებულათ მიაჩნია. პარტუჯრედის ბიურო ხშირად არ კითხულობს რას აკეთებს მისი წარმომადგენელი კომკავშირში, რამდენად კმაყოფილია ამ ამხანაგით კომკავშირის უჯრედი და სხვა.

ხსნის თავის მხრივ კომკავშირზე მიმაგრებულიც შესაფერისად ხსნის ამ მდგომარეობას. ის მუშაობს სრულიად დამოუკიდებლად, ყველა საკითხებს თითონვე, სწრის ერთი სიტყვით მთელი პარტუჯრედის მაგივრობას სწევს.

სინამდვილეში ამგვარი ხელმძღვანელობა ღებულობს ერთგვარ ბრძანებლობის, ან უადგილო მეურნეობის ხასიათს კომკავშირზე. ეს მით უფრო გასაგებია, რომ მიკედლებული ამხანაგები ხშირად ვერ ერკვევიან ახალგაზრდათა მოძრაობის საკითხებში, არ იცნობენ კომკავშირის ლიტერატურას, მოკლეთ—არ არიან სათანადო პოლიტიკურ ცოდნით აღჭურვილნი.

აქეთ აიხსნება ის გარემოება, რომ კომკავშირის უჯრედები ბევრჯერ სჩივიან მიმაგრებულ პარტიულ ამხანაგების შეუფერებლობაზე და მოითხოვენ ამ ამხანაგის მათგან მოხსნას.

ასეთი მდგომარეობა, რასაკვირველია, ნორმალურად ვერ ჩაითვლება უნდა ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო კომკავშირის უჯრედებზე მიმაგრებულ პარტამხანაგების „თავისი ჭკუით" მუშაობას. საჭიროა კომკავშირზე ხელმძღვანელობაში სჩანდეს პარტიის სახე და ხელი მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ვიქნებით ჩვენ უზრუნველყოფილი სწორი ხელმძღვანელობით ახალგაზრდობაზე.

ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექციოდეს კომკავშირზე მისამაგრებელ ამხანაგის პოლიტიკურ ცოდნას, საერთო განვითარებას და პირად თვისებებსაც. ამ უკანასკნელზე ბევრადაა დამოკიდებული ამხანაგური ატმოსფერის შექმნა კომკავშირთან მუშაობაში, რაიც განსაკუთრებით აუცილებელია ამ მუშაობის წარმატებით წარმოებისათვის.

გარდა ამისა პარტუჯრედებმა უნდა განდევნონ პრაქტიკიდან მიმაგრებულ ამხანაგების ხშირი შეცვლა. საჭიროა რომელიმე ორგანიზაციაზე მიკედლებულ ამხანაგს მიეცეს დრო და საშუალება შეეთვისოს დაკისრებულ მუშაობას და შეისწავლოს ის. ეს კი, როგორც ვიცით ხშირად ასე არ ხდება.

ყველა ამ ნაკლულევანებათა აღმოფხვრით, ჩვენ შეგვიძლია პარტუჯრედების [illegible] კომკავშირზე ხელმძღვანელობა საღ ნიადაგზე დავაყენოთ და ახალი კადრების კომუნისტურად აღზრდის საქმეს [illegible] ვაუწიოთ.

შ. კარანიძე.

რა უნდა გაკეთდეს

(გურია)

გურიაში ამჟამად სადელეგატო კრება დაარსებულია 35 თემში, რომელი აერთიანებს 500 დელეგატ ქალს. ამათგან, გარდა მცირე გამონაკლისისა, ყველა გლეხი ქალებია. სადელეგატო კრებებზე სისტემატიურად სწარმოებს მეცადინეობა. დელეგატი ქალები აგრეთვე მხურვალე მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა კამპანიების გატარებაში. საკმაო ყურადღება ექცევა ახალგაზრდა ქალებს შორის მუშაობას. დაარსებულია 13 ერთწლიანი ჭრა-კერვის სკოლა. ამ სკოლიდან კომკავშირს დღითი-დღე ემატება ახალგაზრდა გლეხი ქალები.

გურიაში არსებობს ერთი საბავშო ბაღი და ერთიც საბავშო სახლი, სადაც იზრდება უპატრონო ბავშები. უნდა აღინიშნოს, რომ პრესაში მონაწილეობა და ჟურნალი „მშრომელი ქალი" (ყოფილი „ჩვენი გზა") გავრცელება ძალიან ცუდ პირობებშია. გურიის ქალთა განყოფილებამ ვერ შესძლო ამ საკითხის სათანადოთ მოგვარება, რაც უთუოდ ნაკლათ უნდა ჩაეთვალოს მას.

ს. ჩ.

როგორ [illegible]

(ზუგდიდის მ.)

ამ ბოლო ხანებში უჯრედებში შემჩნეული დეფექტები თანდათან იქნა გამოსწორებული; უჯრედებზე მიმაგრებული ამხ.-ბი და ინსტრუქტორები ხშირად ახდენენ უჯრედების მუშაობის გამოკვლევას და თავის დროზე ეძლევათ მითითებები ამა თუ იმ შეცდომების გამოსასწორებლად. ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან იქნა გაუმჯობესებული პარტხელმძღვანელობის მეთოდი უჯრედებზე, რაც გამოიხატება ინსტრუქტორების და მიმაგრებული ამხანაგების საშუალებით ცოცხალი კავშირის განმტკიცებაში.

სხდომების გაშინაარსება სხვადასხვა ადგილობრივი პარტიული საკითხების გარჩევით, ამ ბოლო ხანებში ეტყობა ზრდა პარტ. ორგანიზაციას ა. კომკავშირის და უღარიბესი გლეხობის ხარჯზე. პარტდისციპლინის დარღვევას ამ ბოლო ხანებში უჯრედებში ადგილი არ ქონია. უღარიბესი გლეხთა ჯგუფების ჩამოყალიბება ჩატარებულია, მაგრამ მომავალში საჭიროა პარტორგანიზაციების მეტი ყურადღება უღარიბესი ჯგუფებთა და საშუალო გლეხთა აქტივის შორის მუშაობის გასაძლიერებლად.

მეურნეობის დარგში მაზრაში შენდება დიდი საჭერხი ქარხანა, განზრახულია ამ მოკლე ხანში შამგონში ქაღალდის ქარხნის აგება. მალე ამუშავდება სპირტის ქარხანა, აგურის და კრამიტის გაუმჯობესებული ქარხნები. მიღებულია ზომები, რათა რკინისგზის შტო შეყვანილი იქნეს ზუგდიდში.

გარდა ამისა გაუმჯობესებულია აგროდახმარების საქმე გლეხებისათვის, მოგვარებულია გლეხებზე მიწოდება გაუმჯობესებული თესლების, კულტურული მცენარეების, ეწყობა სამეურნეო კოლექტივები და სხვა. კოოპერატიულ დარგში ემჩნევა კოოპერატივის დუქნების ქსელის გაფართოება სოფლად და ფართე მასები კოოპერატივებში თანდათან ებმიან.

იანეთელი.

უვარგისი მუშაობა

(სიღნაღის მ.)

აფენ-ლელიანის თემკომში შედის 9 კომუჯრედი, რომელიც აერთიანებს 63 კომპარტიის წევრს და 33 კანდიდატს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ უჯრედებს შორის არის 4, რომელშიც ირიცხება სამ-სამი კომპარტიის წევრი. ეს გარემოება აფერხებს უჯრედის მუშაობას, რადგან მათ არა ჰყავთ გამოცდილი პარტმუშაკები. ყოფილა შემთხვევა, რომ ორი თვის განმავლობაში უჯრედების სხდომები არ მომხდარა.

ხელმძღვანელობა თემკომის მიერ ძალიან ცუდათ არის დაყენებული. უჯრედები თავისი ძალებით აწარმოებდენ მუშაობას, თემკომიდან თითქმის ახსნა-განმარტებას და სხვა მითითებებს არ ღებულობდენ. ცხადია, რაკი თემკომის ხელმძღვანელობა უჯრედის მუშაობაზე არ იყო, უჯრედებიც თავისებურად აწარმოებდენ მუშაობას.

სხდომებს მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი ეძლეოდა, კრებები უშინაარსო, უსიცოცხლო იყო. არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი და საკითხები არ ირჩეოდა. ოქმი მხოლოდ ცნობისათვის იწერებოდა.

თემკომის და უჯრედების ხელმძღვანელობა კომკავშირზე, ქალთა სადელეგატო კრებებზე, ურთიერთ წარმომადგენლობა, გაერთიანებული კრებები და სხვა არ იყო შემოღებული კომკავშირში და ქალთა სადელეგატო კრებებზე არაფერი კეთდება. კომფრაქციები არც ერთ ორგანოებში არ არის ჩამოყალიბებული. მე-14 პარტყრილობის დადგენილებებზე უჯრედების არც ერთ წევრს არა აქვს წარმოდგენა. მათი შესწავლა-დამუშავება არ სწარმოებს არ სწარმოებს აგრეთვე პარტაღმზრდელობითი და პოლიტგანმანათლებელი მუშაობაც, რის გამო უჯრედებში ხშირია შემთხვევები პარტდისციპლინის დარღვევისა. უჯრედის წევრები არ ესწრებიან არც უჯრედის, არც საბჭოს სხდომებს და არც საზოგადოების საერთო კრებებს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორიც არის გლეხკომი, საკრედიტო ამხანაგობები, სრულიად მოწყვეტილნი არიან კომუჯრედების გავლენას. საკრედიტო ამხანაგობის საბჭოს აფხა-ლელიანის თემში აგერ ორი წლის განმავლობაში ერთხელაც არ მოუწვევია წევრთა საერთო კრება და ანგარიშები არ ჩაუბარებია.

შეუწყნარებელია ასეთი დიდი შემადგენლობის თემკომის უმოქმედობა. უკანასკნელ ხანებში სიღნაღის მაზრკომმა მიაქცია ყურადღება ამას და ინსტრუქტორის მიერ გამოკვლეულ იქნა თემკომის მუშაობა.

გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ საჭიროა დაუყონებლივ ჩატარებული იქნას მთელი რიგი გადამჭრელი ღონისძიებები. მაზრკომი ამ მხრივ აცხოველებს მუშაობას.

გ. ჯ—შვილი.

უყურადღებოდ მიტოვებული უჯრედი

(საყულია, ქუთ. მ.)

სამი წელი არის, რაც ქუთაისის მაზრის სოფელ საყულიაში არსებობს ახ. ლ. კ. კ. უჯრედი, მთელი ამ ხნის განმავლობაში კომკავშირის უჯრედს აკლია ხელმძღვანელობა, როგორც მაზრკომიდან, ისე ადგილობრივი უჯრედიდან: ასეთი გარემოება თავის დაღს ასვამს ახ. ლ. კ. კ. უჯრედის საქმიანობას.

უჯრედს დიდი ყურადღება უნდა ექცეოდეს მაზრკომიდან, როგორც ხელმძღვანელის მიკედლებით, ისე ლიტერატურის და ჟურნალ-გაზეთების მიწოდებით. მაგრამ ყოველივე ეს დღემდის ოცნებათ არის ქცეული.

უჯრედს შეიძლება წელიწადში ერთხელ გამოეცხადოს მაზრკომის მიერ გაგზავნილი ინსტრუქტორი.

კომკავშირს აქ არ ყავს მიმაგრებული პარტწევრი. შეიძლება ასეთი არის გამოყოფილი კომპარტიის უჯრედიდან, მაგრამ ის ერთხელაც არ დასწრებია კომკავშირის კრებებს. ყველა ასეთი უყურადღებობა და გულგრილობაა ძალიან ძლიერ მოქმედობს კომკავშირის მუშაობაზე საყულიაში.

ა. დეისაძე.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა გარშემო

(ამხანაგობათა გამგეობების, საბჭოების და სარევიზიო კომისიების საყურადღებოდ)

რა არის იმის მთავარი მიზეზები, რომ ანაბრები ს. ს. საკრ. ამხ-ბებში აქამდე ძალიან მცირედ იყო მიზიდული?—რაში მდგომარეობს ამხ-თა ხელმძღვანელების სადღეისო უმთავრესი ამოცანები?—დღეს შეუძლებელია იმისი მტკიცება, რომ გლეხობის ზოგიერთ ფენებში და ადგილობრივ ორგანიზაციებში არა აქვს ადგილი თავისუფალ თანხების დროებით დაგროვებას.—მთავარი სიძნელე ანაბარების მიზიდვის საქმეში დღეს გლეხობისა და ორგანიზაციებისადმი მიდგომის საკითხის და მუშაობის პრაქტიკულ გეგმის გამომუშავებაშია და არა საანაბარო მასალების აბსოლიუტურ უქონლობაში სოფლად.—ამხ-თა ხელმძღვანელები უნდა გახდენ ნამდვილი სოფლის ფინანსისტებად და ადგილობრივ გამონახონ წყაროები ამხ-თა საშუალებების გასაძლიერებლად ანაბარების სახით.—რა პრაქტიკულ ღონისძიებებს (ანაბარების მიზიდვის მეთოდებს) უნდა მიმართონ მათ ამ მიზნის განსახორციელებლად?—სისტემატიური მუშაობის აუცილებლობა ანაბარების გასაძლიერებლად.—მომავალში. სესხებისა და ბევრ სხვა შეღავათების მიცემის დროს, ბანკი უპირატესობას მისცემს იმ ამხ-ბებს, რომელთაც მნიშვნელოვანად გაზარდეს გლეხთა და ორგანიზაციათა ანაბრები.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა ხელმძღვანელ ორგანოების მუშაობაზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ამ ორგანოების დიდი უმეტესობა სერიოზულად არ აფასებს ანაბრების გაძლიერების მნიშვნელობას ამხანაგობებისათვის და არ იჩენს სათანადო ინიციატივას მათი განვითარებისათვის.

თავისი მოვალეობა მათ ისე აქვთ გაგებული, თითქოს ბანკში ან მის განყოფილებებში სიარულით, სესხის მოთხოვნით, მისი მიღებით და დარიგებით გლეხებზე იფარგლებოდეს ეს მოვალეობა, რაც, აშკარად უნდა ითქვას, არის წმინდა „ჩინოვნიკური" და კოოპერაციის მოღვაწესათვის არა-საკადრისი მიდგომა საქმისადმი.

აქამდე თითქმის არ არის გაგებული, რომ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა, როგორც კოოპერაციის ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი, უნდა იყოს წევრთა თვითმოქმედების საფუძველზე დამყარებული დაწესებულება და მისი თითოეული ხელმძღვანელი თუ წევრი ვალდებულად უნდა სთვლიდეს თავს, ერთმანეთის დახმარების მიზნით, გააკეთოს ის, რის გაკეთება მას შეუძლია თავის ამხანაგობისათვის.

კერძოდ, თითქმის არ არის გაგებული, რომ ეს ამხანაგობები დაარსებულია არა მხოლოდ ბანკიდან მიღებული სესხების დასარიგებლად, არამედ უმთავრესად გლეხთა თუ ადგილობრივ ორგანიზაციათა თავისუფალი ფულადი საშუალებათა დაგროვების მიზნით და სახელმწიფოს მიერ მათ გამოსაყენებლად (ბანკის საშუალებით მიღებულ თანხებთან ერთად) კოოპერატიულად შეკავშირებულ გლეხთა მეურნეობის ყოველგვარ საჭიროებისათვის.

შესაძლებელია ზემოაღნიშნული ყველაფერი სწორადაც იყოს გაგებული, მაგრამ ამხ-ბათა ხელმძღვანელებმა თავი იმართლონ მით, რომ:

1) აქამდე ჩვენი გლეხობის მეურნეობა განიცდიდა უაღრეს დაქვეითებას გარეშე და შინაურ ომების გამოწვეულ და ყველასათვის ცნობილი მიზეზების გამო;

2) ამხ-ბათა ხელმძღვანელები ჯერ კიდევ არ იყვნენ სათანადოთ გამოცდილნი იდეურ და ტეხნიკურ ხელმძღვანელობისათვის ანაბრების და სხვა ოპერაციების წარმოებისა და ჯეროვანად დაყენების საქმეში;

3) თვით ამხანაგობები მეტად ახალგაზრდანი იყვნენ გლეხობის დიდი უმეტესობა არ იყო მათ მიზნების და არსებობის უნარიანობას ღრმად გაცნობილი.

4) ზემო-აღნიშნულისა გამო, გლეხობას გადაჰქონდათ ახალ ამხანაგობებზე ის უნდობლობა და გულცივობა, რომელმაც მასში მაგრად გაიდგა ფესვები წინეთ არსებულ წვრილ კრედიტის დაწესებულებისადმი, იქ შეტანილ ანაბრების დაკარგვისა გამო, და ამიტომ ახალ ამხანაგობებში ანაბარის შეტანის ხალისი არ ჰქონდა და მას და სხვადასხვა.

ყველა ამ მიზეზებით თავის მართლება და სრულებით კანონიერადაც შეიძლებოდა აქამდე; დღეს მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა:

1) ამხანაგობებს აქვს საშუალოდ 1 წლის (დამეტისაც) გამოცდილება და უკვე ახალგაზრდათ ვერ ჩაითვლებიან:

2) ხელმძღვანელებმაც საკმარისი გამოცდილება და ცოდნა მიიღეს ამ ხნის განმავლობაში იდეური და პრაქტიკული:

3) სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობაზე განსაკუთრებული ყურადღების მიქცევით და მის აღორძინებაზე მეტად მნიშვნელოვანი თანხების დახარჯვით გლეხის მეურნეობა დღეს, საერთოდ, თვალსაჩინოდ არის გაუმჯობესებული და

4) სწორედ იმიტომ, რომ სახელმწიფოს თანხები თავსდებოდა და ახლაც თავსდება გლეხის მეურნეობაში საკრედიტო ამხანაგობათა მეშვეობით, (მაშასადამე, სახელმწიფო ენდობა ამხანაგობებს) არ უნდა ჰქონდეს დღეს შეგნებულ გლეხობაში ადგილი უნდობლობას და გულცივობას ამ ამხანაგობებისადმი, რომლებმაც მას საგრძნობი სამსახური გაუწვია.

ასეა თუ ისე, ყოველ შემთხვევაში ახლა, ამხანაგობათა წელიწადი და წელიწად ნახევრის არსებობის შემდეგ უნდა მოხდეს გადამწყვეტი ხასიათის გარდატეხა ამხანაგობათა ხელმძღვანელების მუშაობაში და ახალი გზის აღება გლეხთა და ორგანიზაციათა ანაბრების გაძლიერების მხრივ ე. ი. საკითხი ადგილობრივ მოსახლეობის და ორგანიზაციათა თავისუფალი ფულადი საშუალებათა მიზიდვის შესახებ ამხანაგობაში, ანაბარების და აგრეთვე პაების სახითაც, უნდა გახდეს ამხანაგობათა ხელმძღვანელების მუშაობაში უმთავრეს და პირველ რიგის ამოცანად.

დღეს ყველასათვის უდავოა, რომ გლეხობას ყოველ შემთხვევაში დრო გამოშვებით მაინც, აქვს თავისუფალი ფული, რომელსა, იგი ინახავს, მაგ. „შავი დღისათვის"; ან თანდათანობით აგროვებს თავის მეურნეობისათვის საჭირო ისეთი საგნების შესაძენათ, როგორც არის: ხარ-კამეჩი, ძროხა, იარაღ-მანქანები, ბეღელი, კასრები, ქვევრები, საბძელი და სხ. ან იმარაგებს რაიმე სამომხმარებლო ან საოჯახო საგნების შესაძენად—(მაგ. ტანისამოსი, ფეხსაცმელი, ხორბალი და სხ.)

ეს სწორედ ისეთი საგნებია, რომლის შეძენას ერთბაშად, უმეტეს შემთხვევაში, გლეხი შესძლებს მხოლოდ მაშინ, თუ მან წინასწარ და თანდათანობით მოიმარაგა საკმარისი თანხა.

ჩვენი ადგილობრივი დაწესებულებები და ორგანიზაციები (თემაღმასკომები, თემსაბჭოები, სკოლები, გლეხკომები, სხ. და სხ. დარგის კოოპერატივები და სხ.) არ არის, სამწუხაროდ, ისევე, როგორც ჩვენი გლეხობა,—დიდი თანხების მქონე, ეს ყველამ ვიცით; მაგრამ იმათაც აქვთ დრო გამოშვებით, ზოგან მუდმივათაც ცოტაოდენი თავისუფალი თანხები; სამი-ოთხი ასეთი დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომ გახდეს ამხანაგობის მოანაბრეთ, ეს იქნება დიდი მიღწევა ამხანაგობისათვის. მათგან შემოტანილ ანაბრების ნაწილი მაინც თითქმის მუდამ დარჩება ამხანაგობაში, ვინაიდან რამოდენიმე ორგანიზაცია ძვირად თუ მოითხოვს უკანვე ერთ და იმავე დროს თავიანთ ანაბრებს სრულად; ერთს მათგანს ფული დასჭირდება ერთ დროს, მეორეს—მეორე დროს და ასე, ამგვარად, რაც უფრო მეტი იქნება მონაბრე ორგანიზაციათა რიცხვი, მით უფრო ხელსაყრელ პირობებში იქნება ჩაყენებული ამხანაგობა ანაბრებით სარგებლობის საქმეში.

მაშასადამე, შეუძლებელია დღეს მტკიცება იმისა, რომ სოფლად არ არის ჯერ მომზადებული ნიადაგი ანაბრების ოპერაციის გაძლიერებისათვის. სრულებით პირიქით. ზემო-აღნიშნული დანიშნულების თანხები, რომლებსაც „ინახავს" ან „აგროვებს" გლეხობა, და დროებით თავისუფალი თანხები ორგანიზაციებისა თუ ისინი მიზიდულ იქნა ამხანაგობებში ანაბრების სახით, შეუქმნის ამხანაგობებს ძვირფასს წყაროს, რომლის საშუალებით ისინი გააცხოველებენ თავიანთ მუშაობას, ფინანსიურად გააჯანსაღებენ თავიანთ მდგომარეობას, თვალსაჩინო კვალს დაამჩნევენ გლეხობის მეურნეობას სესხებით და შეუმსუბუქებენ სასოფლო-სამეურნეო ბანკსაც მის მძიმე და რთულ ამოცანების ასრულებას, ვინაიდან ეს თანხები შექმნიან ამხანაგობებში, უმეტეს შემთხვევებში, ვადიან ანაბარებს, ე. ი.სწორედ ისეთი სახის ანარიცხებს, რომლის განვითარებისაკენ მუდმივად უნდა იყოს მიმართული ამხანაგობათა ხელმძღვანელების მთელი ენერგია.

მთავარი სიძნელე, მაშასადამე, მდგომარეობს არა იმაში, ვითომც სოფლად არ იყოს მომზადებული ნიადაგი ანაბრების ოპერაციების გაძლიერებისათვის, არამედ იმაში, თუ როგორ უნდა მიუდგნენ ამხანაგობათა ხელმძღვანელები ანაბრების მიზიდვის საკითხს; როგორ მიუდგნენ გლეხობას და ორგანიზაციებსაც, რომ ისინი დასთანხმდნენ ანაბრების სახით ამხანაგობებში თავიანთ დროებით თავისუფალ თანხების მოთავსებაზე.

ამისათვის მათ უნდა ჰქონდეთ წინასწარ შემუშავებული, აწონ-დაწონილი გეგმა მუშაობისა, ე. ი. გეგმა ისეთი პრაქტიკულ ღონისძიებებისა, რომელთა განხორციელება შესაძლებლად გახდის ანაბრების მიზიდვის გაფართოებას.

უპირველესად ყოვლისა, ამხანაგობათა ხელმძღვანელები, მათ შორის განსაკუთრებით გამგეობის წევრები, როგორც ამხანაგობათა ფინანსისტები, — ე. ი.ისეთი პირები, რომელთა უმთავრეს მოვალეობას შეადგენს ამხ-თა ფულადი საშუალებების გაფართოვება და გამონახვა ადგილობრივ წყაროებისა, საიდანაც ეს გაფართოვება შესაძლებელია, უნდა იყვნენ ზედმიწევნით გაცნობილნი ფულის ტრიალის საქმეს ადგილობრივად და გლეხების სხ. და სხ. ამ მიზნით მათ უნდა ყური უგდონ და მუდამ ფულს: თავის სამუშაო ძალის ან მეურნეობის უნდა იცოდნენ: 1) ვინ და რა მიზნით აგროვებს ფულს? 2) ვინ და საიდან ღებულობს ფულს: გაყიდვით, თუ სხვა რაიმე გზით?

როდესაც ხელმძღვანელები ამ საკითხებს გაცნობილნი არიან, მათ შეუძლიათ ანაბრების მიზიდვის მიზნით მიმართონ შემდეგ ღონისძიებებს.

პირად მოლაპარაკების საშუალებით სხ. და სხ. ფენების გლეხებთან შეხვედრის დროს,—როგორც ამხ-ბის შენობაში, ისე სახლში, გზაში ან სხ. და სხ. კრებებზე გააცნონ ისინი ამხ-ბის მუშაობის ყოველ მხარეს და მისცენ კონკრეტული დარიგებები; მაგ. როგორ მუშაობს ამხ-ბა; საიდან შოულობს იგი თანხებს; როგორ სწარმოებს ამ თანხების მოხმარება; როგორ ინახება ფული და საბუთები; რა მიღწევები აქვს ამხ-ბას, რა საჭიროება აქვს და რა დაბრკოლებები ეღობება მას წინ და სხ.

თუ მოსაუბრე დაინტერესდა ამხანაგობის მუშაობით, შემდეგ უნდა გააცნონ მას აგრეთვე; ანაბრების მიღებ - გაცემისა და სარგებლის დარიცხვის წესები; მათი საიდუმლოთ შენახვა ამხ-ში; მათი საზოგადოებრივი მნიშვნელობა; მათი უზრუნველყოფა სასოფლო - სამეურნეო ბანკის მხრივ და სხ. ამ უკანასკნელ საკითხის ყოველ მხრივათ და მარტივათ გაშუქებას გლეხობისათვის უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ამოცანები, რომელსაც ისახავს ბანკი ანაბრების დაზღვევის შემოღებით და დაზღვევა კრედიტის მნიშვნელობა უნდა გახდეს გლეხობისათვის სრულებით ადვილათ და ამომწურავათ გასაგებ საკითხად, ხოლო ამხ.-ბებისათვის დამზღვევი კრედიტი უნდა გახდეს უმთავრეს ღერძათ ანაბრების მიზიდვის საქმეში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე პროპაგანდას ანაბრების შემოტანის შესახებ ქალებისაგან, ახალგაზრდობისაგან, რომელთაც, ცნობილია, ხშირად აქვთ მომარაგებული წვრილ-წვრილი თანხები რაიმე მათთვის საინტერესო და განსაზღვრულ მიზნებისათვის.

ბაასი ისე უნდა იყოს მიმართული, რომ მოსაუბრე დარწმუნდეს, რომ ანაბრის შეტანა ამხანაგობაში მართლაც სასარგებლოა მისთვის, და საამისო რჩევაც უნდა მიეცეს მას.

თუ გლეხი წევრია ამხ-ბისა და მაზედ ირიცხება სესხი, რჩევა მიეცეს მას, სესხის გადახდის გასაადვილებლად, წინასწარ და ნაწილ-ნაწილად დააგროვოს ამხ-ბაში ანაბრის სახით სესხის ნაწილი მაინც; განსაკუთრებით მიზანშეწონილი და სასარგებლო იქნება ეს წესი ღარიბგლეხისთვის, რომელსაც უჭირს ერთბაშად სესხის მთლიანად გადახდა.

თუ გლეხი წევრი ამხ-ბისა, სესხი მასზედ არ ირიცხება, მაგრამ იგი თხოულობს მას, სესხის მიღება უნდა დაუკავშირდეს მის მიერ ანაბარის შემოტანას, ე. ი. რჩევა მიეცეს მას, წინასწარ სესხის მიღებისა, შემოიტანოს ამხ-ბაში ანაბარის სახით მოთხოვნილ სესხის ნაწილი—დაახლოებით 25 პროცენტამდე. უკანასკნელ მოთხოვნით უნდა უნდა მივმართოთ წევრს დიდი წინდახედულობით და მხოლოდ მაშინ, როდესაც ამხ-ბის ხელმძღვანელი დარწმუნებულია, რომ გლეხს აქვს მომარაგებული თანხა, რომელსაც იგი თხოულობს სესხს, რომ შესძლოს განხორ[illegible] ცვლილებისა თავის მეურნეობაში. (საქონლის, იარაღ-მანქანების, შენობების შეძენა და სხ.)

ასეთ მონაბრე გლეხს, სხვა გლეხებთან შედარებით თანასწორ პირობებში,—ე. ი. როდესაც მისი და სხვა სესხის მთხოვნელ გლეხების ქონებრივი მდგომარეობა, საჭიროება სესხში, სესხის დანიშნულება, პირადი თვისებები და სხ. თითქმის ერთი და იგივეა,—უნდა მიეცეს უპირატესობა სესხით დაკმაყოფილების საქმეში; და მხოლოდ მაშინ, როდესაც გლეხს არა აქვს არავითარი საშუალება შეიტანოს ანაბარი ამხ-ში, ანაბარების მიხედვით სესხის მიცემის უპირატესობაზე შეუძლებელია ლაპარაკი, და ეს უპირატესობა განისაზღვრება სხვა მომენტებით: სესხის მთხოვნელთა სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, სესხში საჭიროების, სესხის დანიშნულების, პირადი თვისებების შედარებით, აწონ-დაწონით და სხ.

თუ გლეხი თავის მეურნეობის ნაწარმის გასაღებას აწარმოებს ამხ-ბის მეშვეობით, რჩევა მიეცეს მას, ამხ-ზე გადმოცემულ ნაწარმისათვის კუთვნილ თანხის ნაწილი დროებით დასტოვოს ამხ-ბაში ანაბრის სახით და განემარტოს, რომ მაშინ, როდესაც ცალკე გლეხი ამ მცირე თანხით ბევრს ვერაფერს გააკეთებს თავის მეურნეობაში, ამხ-ბა,—თუ იქ ასეთ მცირე თანხებს ბევრი გლეხი დასტოვებს, შესძლებს მათგან მნიშვნელოვან თანხის შექმნას და მის გამოყენებას გლეხობისავე სასარგებლოდ.

როდესაც გლეხი საქონლის გასაღებას აწარმოებს ამხ-ბასთან შეთანხმებით—კოოპერატიულ საფუძვლებზე—და მისი საქონლის არა-ადგილობრივ, არამედ უცხო ბაზარზე, გაყიდვის შემდეგ მას ეკუთვნის წინასწარ გათვალისწინებული წილი მოგებიდან, უნდა ვურჩიოთ, რომ ნაწილი მისაღები თანხიდან დასტოვოს ამხ-ბაში ანაბრის სახით.

ეკონომიური დაინტერესება გლეხებისა ანაბრების საქმეში უნდა სწარმოებდეს არა-მხოლოდ სარგებლის დარიცხვით ანაბრებზე და სამიზნო სესხების გაცემის დროს უპირატესობის მინიჭებით, არამედ მისი საწარმოვო, გასაღებისა და მომარაგების უმოკლეს საჭიროებათა შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილებითაც ამხ-ბაში შემოსულ ანაბრების ანგარიშზე.

გლეხ-მონაბრეთა შორის, ზემოაღნიშნულ საჭიროებების დაკმაყოფილებების დროს, უპირატესობა უნდა ეძლეოდეს შედარებით უფრო მუდმივ მონაბრეებს, ე. ი. ისეთ გლეხებს, რომლებსაც შეუწყვეტელი კავშირი აქვთ დაჭერილი ამხ-ბასთან ანაბრების წარმოებაში, და მათი ანაბრებიდან ცოტა თუ დიდი რაოდენობის ნაშთი მუდმივად რჩება ამხ-ბაში; ხოლო მაშინ, როდესაც ზემოაღნიშნული სახის ანაბრები შემოაქვს გლეხობის ორ უმთავრეს ფენებს—ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხებს, მათი საჭიროებათა დაკმაყოფილება ანაბრების ანგარიშზე სწარმოებს არა მარტო ამ ანაბრების სახის (ვადა, ნაშთის მუდმივობა და რაოდენობა) მიხედვით, არამედ იმავე დროს გლეხის ქონებრივი მდგომარეობის და მისი საჭიროების გადაუდებლად დაკმაყოფილების აუცილებლობის მიხედვითაც, ე. ი. ღარიბ გლეხს,—თუ იგი მუდმივი მონაბრეა, მისი საჭიროების დაკმაყოფილების საშუალება მას არსაიდან მოეპოვება და გადადება ამ საჭიროების დაკმაყოფილებისა მოუტანს მას გამოუსწორებელ ზარალს,—უნდა მიეცეს უპირატესობა იმგვარივე მონაბრე—საშუალო და გინდ ღარიბ-გლეხების წინაშე, რომლებსაც ასეთი გადაუდებელი საჭიროება არ ადგას კარზე.

ანაბრების გაძლიერების მიზნით უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება გლეხობის იმ ნაწილსაც, რომელშიც აქვს უმთავრესად ადგილი თავისუფალ თანხების დაგროვებას, ე. ი. შეძლებულ გლეხობას, რომლის უმეტესობა ჯერ[illegible] ამხ-ბათა გარეშე სდგას, ხოლო მცი[illegible] მისი, რომელიც ამხ-ბებში წევრად არის ჩაწერილი, ან სულ არ სარგებლობს ანდა მეტად მცირედ და მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში სარგებლობს სესხებით ამხ-ბებიდან შედარებით იმ ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხებთან, რომელთა მეურნეობის დახმარება არის სას.-სამ. საკრედ. ამხ-ბათა უმთავრესი ამოცანა.

სწორედ იმიტომ, რომ შეძლებული გლეხობა ნაკლებად ან სრულებითაც არ სარგებლობს სესხებით ამხ-ბებიდან,—მაშასადამე, იგი არ არის ეკონომიურად დაინტერესებული ამხ-ბათა არსებობაში, რომელთა ყველა საკუთარი და ნასესხი საშუალებები თავსდება სესხების სახით მხოლოდ ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობის მეურნეობაში,—მათ არა აქვთ მიმზიდველობითი ძალა მისთვის, მას არა აქვს ამხ-ბებში წევრად ჩაწერის და იქვე თავისი დროებით თავისუფალი ფულის შეტანის ხალისი.

ამით ამხ-ბები მოკლებულნი არიან ერთ-ერთ შესაძლებლობას გააძლიერონ თავიანთი საკუთარი საშუალებები პაების და შესასვლელ გადასახადების სახით, ერთის მხრივ,—მიზიდული საშუალებები ანაბრების სახით—მეორე მხრივ.

ანაბრების გაძლიერების საკითხის გადაჭრისა, მათ გაფართოებისათვის აუცილებელ პრაქტიკულ ღონისძიებების ძებნის დროს, უყურადღებობა გლეხობის ზემო-აღნიშნულ ნაწილის თავისუფალი თანხების მიზიდვის საკითხისადმი იქნებოდა დიდი შეცდომა: თუ სოფლად ფულს ვეძებთ, უნდა მივმართოთ ისეთ წრეებსაც, სადაც ყველაზე უფრო აქვს ადგილი ფულის ტრიალს და თავისუფალი თანხების დაგროვებას.

მაგრამ, რადგანაც უმეტესობა ამ გლეხობისა, როგორც აღვნიშნეთ, ამხ-ბათა გარეშე სდგას და მისი ჩათრევა ამხ-ბებში,—როგორც პაიების და შესასვლელ გადასახადების, ისე ანაბარების გაძლიერების მიზნით,—შეუძლებელია, თუ ეკონომიურად არ იქნა დაინტერესებული ამხ-ბათა არსებობაში და მათი მეშვეობით ანაბარების წარმოების საქმეში—ამიტომ შესაძლოა, მისგან ანაბარების მიზიდვის საკითხის გადაწყვეტის დროს, მივიღოთ სახელმძღვანელოდ შემდეგი დებულება: შეძლებულ გლეხებისგან ანაბარების სახით მიზიდულ თანხების ფარგლებში და ანაბრების ოპერაციებში მათი მონაწილეობის მუდმივობის და ზომის (რაოდენობის) მიხედვით მიეცეს მათ დახმარება სესხებით მათი მეურნეობის უმოკლესს საწარმოვო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. გარდა ამისა რამდენადაც შესაძლებელი იქნება, უნდა გაეწიოთ მათ დახმარება; ავანსებით—მათი მეურნეობის ნაწარმის გასაღების დროს სესხებით—მათი მეურნეობისათვის საჭირო საგნებით მომარაგების დროს,--ცხადია,თუ გასაღება და მომარაგება სწარმოებს ამხ-ბათა მეშვეობით,ე.ი. ხანამ ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხობის მეურნეობა საკმაოდ არ დაიტვირთება სესხებით, შეძლებულ გლეხობას დახმარება გაეწევა მხოლოდ განსაზღვრულ ხასიათის მეურნეობრივ საჭიროებებზე და უმთავრესად მათგანვე შემოსულ ანაბრებიდან. ეს დახმარება კი მით უფრო მეტი იქნება, რამდენადაც მეტი და მუდმივი ხასიათის იქნება მათი ანაბრები ამხ-ბებში,—მაშასადამე, რამდენათაც მეტს მუდმივ კავშირს დაიჭერენ ისინი ამხ-ბებთან და მეტს მონაწილეობას მიიღებენ ამხ-ბებში ანაბრების შეტანით.

როდესაც შეძლებულ გლეხობაზე არის ლაპარაკი, ეს არ უნდა იქნეს ისე გაგებული, თითქოს აქ ჩვენ სახეში გვქონდეს სოფლის „კულაკური" ელემენტები: კულაკები არის სოფლის ისეთი პირნი, რომელნიც ჩარჩულ-მევახშურ-ვაჭრულ საქმეს და პოლიტიკას აწარმოებენ სოფლად ან ეწევიან თავისივე მეზობლის-გლეხობისავე აშკარა ან ფარულ ექსპლოატაციას. ასეთი ელემენტების წევრად მიღება ამხ-ბებში, როგორც ყველამ ვიცით, [illegible] შებეულია და, ცხადია, [illegible] ხმარება სესხებით თუ გინდ მაშინაც, როდესაც მათ, თუმცა ისინი არ არიან წევრნი ამხ-ბების, ანაბრები კი შეაქვთ იქ.

აქედან გამომდინარეობს, რომ ანაბრების მიღება თვით კულაკებისაგანაც სრულებით დასაშვებია და სასარგებლოც იქნება ამხ-ბებისათვის, მაგრამ ეს რომ შესაძლებელი გახდეს, ისინი უნდა ეკონომიურად დაინტერესებულ იქნენ არა წევრად ჩაწერის და სესხების მიცემის დაპირებებით, არამედ და მხოლოდ სარგებლის დარიცხვით მათგან შემოსულ ანაბრებზე და ამ ანაბრების საიდუმლოდ შენახვის, ხელუხლებლობის და დროზედ დაბრუნების უზრუნველყოფით.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებათ ანაბრების მიზიდვის საქმეში უნდა ჩაითვალოს ამხ-ბათა ხელმძღვანელების პირადი და მეურნეობრივ თვისებებზე ყურადღების მიქცევა და მათი სათანადო დონემდე აღწევა. ამხ-ბათა ხელმძღვანელები უნდა ცდილობდენ, რომ დამოკიდებულება გლეხობის ყველა ფენებისადმი მუდამ ამხანაგური და სამართლიანი იყოს, და არავითარ შემთხვევაში არ ჰქონდეს ადგილი მიკერძოებას, გულცივობას მათი მხრივ ამხ-ბათა საქმეებისადმი არ უნდა ჰქონდეს ადგილი. პირიქით, მათ ყოფაქცევას, აქტივობას, ინიციატივას, ენერგიას და სიყვარულს ამხ-ბათა საქმეებისადმი თითით საჩვენებელ მაგალითად უნდა სთვლიდეს ყველა, ვისაც მათთან საქმის დაჭერა უხდებათ.

ხელმძღვანელებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა ამხანაგობას ჰქონდეს ოპერაციების წარმოებისათვის გამოსადეგი და განცალკევებული ბინა, ყოველ შემთხვევაში ცალკე ოთახი, სადაც მუდამ უნდა იყოს დაცული წესრიგი და სასტიკი სისუფთავე.

ამხ-ბმა, ყველამ გამოუკლებლივ, უნდა გაიჩინოს რკინის სალაროები, სადაც შეინახება ნაღდი თანხები, საფასენი და საბუთები, და არავითარ შემთხვევაში ამ თანხების ჯიბეებში ტარებას გამგეობის რომელიმე წევრის მიერ არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

ანაბრების შემოტან-გატანის ოპერაციების საიდუმლოება სასტიკათ უნდა იქნეს დაცული ხელმძღვანელების და თანამშრომლების მიერ, და სოფელში ცნობის გატანა მომბარებელთა შესახებ შეუგნებლობის მაჩვენებელ და ანაბრების მომსპობ მოვლენათ უნდა იქნეს მიჩნეული.

სრულებით ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ანგარიშების, ოპერაციების და საერთოდ ყველა საქმეების წარმოება სათანადო სიმაღლეზე უნდა იდგეს.

ყველაფერი ის, რაც ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ დებულებებს, უფრო აღრმავებს გულცივობას და ერთგვარ უნდობლობას ამხ-ბისადმი გლეხების მხრივ და, ამგვარად, სათავეშივე აღრჩობს ანაბრების გაძლიერების ყოველგვარ შესაძლებლობას და მართლაც ვინ მიიტანს ანაბარს უხეშ, უსამართლო, უინიციატივო ხელმძღვანელთან, რომელსაც ბინა ან სალარო არა აქვს, რომელსაც ანგარიშ და საქმის წარმოება უთავბოლოთ აქვს დაყენებული?—არავინ.

პირიქით, თუ ზემოაღნიშნული ყველაფერი წესრიგზეა, ეს შთაუნერგავს გლეხობას პატივისცემის გრძნობას ამხ-ბისა და მათ ხელმძღვანელებისადმი და თანდათანობით გააღრმავებს მასში შეგნებას, რომ ამხ-ბები მისი დაწესებულებებია, რომელსაც სრული უაზრობაა ნდობით არ მოეპყრას და სხვ.

წევრთა საერთო კრებების უფრო ხშირი, ვიდრე აქამდე, მოწყობით ამხ-ბათა ხელმძღვანელებმა უნდა მისცენ წევრებს ფართო ინფორმაცია ამხ-ბათა მუშაობის შედეგების—მიღწევებისა და დაბრკოლებების—შესახებ და გახ[illegible] პროპაგანდა-აგიტაცია იმ მიმართულებით, რომელიც ზევითაა ჩამოთვლილი.

ყველა ასეთ კრებებზე, რომელიც უნდა ჩატარდეს ანაბარების გაძლიერების ლოზუნგებით, მიზანშეწონილი იქნება მოწვეულ იქნეს ბანკიდან ან მის განყოფილებებიდან ინსპექტორი და აგრეთვე ადგილობრივი, კულტურული, ავტორიტეტით და საყოველთაო ნდობით აღჭურვილი, ძალები, მოხსენებების გასაკეთებლად სასოფლო-სამეურნეო კრედიტისა და, კერძოთ, ანაბარების მნიშვნელობაზე სოფლის მეურნეობის მომავალ განვითარებისათვის.

საერთო სასოფლო კრებებზე, იმავე ძალების გვერდით და მათი დახმარებით, ხელმძღვანელებმა უნდა მისცენ გლეხობის ფართო მასას, მოფიქრებული მოხსენებების სახით, ვრცელი ინფორმაცია იმავე კრედიტისა და ანაბრების მნიშვნელობაზე.

ზემოაღნიშნული ღონისძიებები უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში სისტემატიურად და ენერგიულად ამხ-თა გამგეობის, საბჭოების და სარევიზიო კომისიების ყველა წევრების მიერ; ასეთი მუშაობის წარმოება შესაძლებელია, თუ არა ყოველდღიურად, ყოველ შემთხვევაში, მუდამ, როდესაც ხელმძღვანელებს თავისუფალი დრო აქვთ; მხოლოდ ასეთ მუშაობას შეუძლია მოუტანოს ამხანაგობებს დადებითი შედეგები: მნიშვნელოვანად გააძლიეროს ახლო მომავალში ანაბრები და აღზარდოს გლეხობაში ერთგვარი ჩვეულება მათ შემოტანაზე ამხ-ბებში.

ღონისძიებები, რომლებითაც შესაძლებელია ანაბრების გაძლიერება, არ ამოიწურება ზემოაღნიშნულით: ადგილობრივ პირობებს თავისებურებამ შესაძლოა უჩვენოს ინიციატივის მქონე და ენერგიულ ხელმძღვანელებს, ზემოაღნიშნულ ღონისძიებებთან ერთად ან მათ გარეშე, სხვა პრაქტიკული ღონისძიებებიც და უფრო მიზანშეწონილი მიდგომა გეზი გლეხობის და სხ. და სხ. ფენებისა და ორგანიზაციებისადმი, იმაში დასარწმუნებლად, რომ ანაბარების შეტანა ამხ-ბებში და ამ ნიადაგზე უკანასკნელებთან მუდმივი კავშირის დაჭერა სრულებით ეთანხმება მათ ინტერესებს და, მაშასადამე, სასარგებლოა მათთვის მათივე ეკონომიური ინტერესების თვალსაზრისით.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი იმედოვნებს, რომ ანაბარების დამზღვევ კრედიტის შემოღება, ფართო ინფორმაცია მის ღონისძიებებთან ერთად, რომელიც ზევით დაწვრილებით იყო ჩამოთვლილი, გააადვილებს ანაბარების მიზიდვის საქმეს ამხ-ბებში, რაც, როგორც ზევითვე აღინიშნა, უნდა გახდეს ამიერიდან ამხ-ბათა ხელმძღვანელების მუშაობაში უმთავრეს და პირველ რიგის ამოცანად.

ამხ-ბებში ანაბარების გასაძლიერებლად ასეთი დიდი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, როგორც არის დამზღვევ კრედიტის შემოღება ბანკს არ შეუძლია აქედანვე ამხ-ბათა, ხელმძღვანელობა, რომ მომავალში სესხებისა და ბევრ სხვა შეღავათების შესახებ საკითხების გადაწყვეტის დროს, იგი უპირატესობას მისცემს იმ ამხ-ბებს, რომელნიც მნიშვნელოვნად შესძლებენ ანაბრების გაძლიერებას, მაშასადამე, სახელმწიფოს თანხებს მიუმატებენ ადგილობრივ საშუალებებს და, ამგვარად, გვერდში ამოუდგებიან ბანკს საერთო და დიდი საქმის (ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების) განხორციელებაში.

ანაბარების დაზღვევის პირობებს და აგრეთვე იმ წესებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ამხ-ბებმა მიზიდულ ანაბარების მოხმარების დროს, მკითხველები დაწვრილებით გაეცნობიან შემდეგ წერილში.

ბანკის მუშაკი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებული

ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილების ორგანო

ახალ გზით

კოწია სულაქველიძის რედაქტორობით

კვირა, 15 აგვისტო 1926 წ.

გაზ. „კომუნისტი“-ს ორკვირეული დამატება

№ 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკოში

24 დღე გაგრძელდა უნგრეთის რევოლიუციონური მოძრაობის ხელმძღვანელთა პროცესი. 24 დღის განმავლობაში ასამართლებდა მათ ყალბი ფულის მკეთებელთა, სისხლის სამართლის დამნაშავეთა შაიკისაგან შემდგარი ბეტლენის ფაშისტური სასამართლო. ის, რაც ვერ მოასწრო ადმირალ ხორტიმ 1919 წ. ნოემბრის დღეებში, უნგრეთის 1 საბჭოთა რესპუბლიკის დაცემის დროს, ეხლა მოყავთ სისრულეში 58 რევოლიუციონერის გასამართლებით და დასჯით. ამ ხანად უნგრეთის რეაქციას შედარებით უფრო ხელსაყრელი მომენტი აქვს შერჩეული ავაზაკური გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად.

ბეტლენ-ხორტები ამ პროცესით ფიქრობენ ორი საქმის ერთად გაკეთებას: ერთის მხრივ მათ უნდათ უკან არ ჩამორჩენ საერთაშორისო რეაქციის მებრძოლ რიგებს მუშათა კლასის წინაალმდეგ, მეორეს მხრივ ისინი ფიქრობენ ყალბი ფრანკების დამზადებით შექმნილი სკანდალით დაცემული ავტორიტეტის აღდგენას ბ. პუანკარე-ბირკენხედების წინაშე. პროცესის მსვლელობაში სავსებით გამოაშკარავდა, რომ რაკოშის, ვეიდენბერგის და სხვებს სჯიან არა იმიტომ, რომ მათ რაიმე კონკრეტი დანაშაული მიუძღვით, თუ გინდ, ფაშისტური საზოგადოების წინაშე, არამედ იმისათვის, რომ ისინი არიან კომუნიზმის იდეის მატარებელნი, ბურჟუაზიული საზოგადოების კლასიური მოწინაალმდეგენი. ამ საიდუმლოებას ვერ მალავს თვით ბ. პროკურორიც, როდესაც ის აცხადებს თავის საბრალმდებლო სიტყვაში: „კლასიური ბრძოლის ხსენება უნგრეთში—ეს სახელმწიფოს მოღალატეობა არის“-ო.

ამ პროცესში გამოაშკარავებული ფაშისტური სასამართლოს „კანონიერების“ ნამდვილი შინაარსი—პირველი არ არის; ბუდაპეშტში გამოტანილი განაჩენი მშრომელი ხალხისათვის მებრძოლთა მიმართ—მოულოდნელი, მაგრამ არა ნაკლებ საგულისხმოა ისიც, თუ სოც. დემ. ლიდერებმა ეხლაც, ამ პროცესის დროსაც, რამდენათ პირნათლად შეასრულეს თავისი მოვალეობა ბურჟუაზიული საზოგადოების, რეაქციის წინაშე, თავისი პროვაკაციული გამოსვლებით. აი, ეს ხალხი, რომლებმაც 1919 წ. ნოემბერში ხელი დაიბანა დამარცხებულ რევოლიუციონურ მასის სისხლში, რომლებიც მშრომელთა საფლავების უკან დამალულნი, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო გამშრალი ქუჩებზე დაქცეული სისხლი, პატიებას თხოვდენ და ერთგულებას ეფიცებოდენ თავიანთ „ყვითელი“ გაზეთების ფურცლებზე „უზენაეს მმართველს“ ბ. ხორტის, ეხლა აშკარად გამოდიან ამავე ხორტის დავალებით და პროვოკაციას ეწევიან სასამართლოს წინაშე, რომ ბრალდებული კომუნისტები თითქოს მოსკოვის აგენტები იყონ და უკანასკნელი კი ყველგან გამოდიოდეს რევოლიუციონურ პოზაში(!)

ეს ლაჩრები ისე გათამამებულან და დაიმედებულან ფაშისტური ხიშტის „ძლიერებით“, რომ დავალების აღებასაც კი ჰპირდებიან ბ. ხორტის კომუნისტების წინაალმდეგ უშუალო ბრძოლის წარმოებაში.

ავიწყდება ამ ხალხს, რომ რევოლიუციონური მოძრაობის განვითარებას და კაპიტალიზმის ისტორიული სიკვდილისაგან გადარჩენას ვერავინ შეაჩერებს მათი დახმარებითაც; ავიწყდებათ, რომ ფაშიზმი—ეს არის კაპიტალისტური წარმოების დაშლისაგან, წარმოების პროცესს მოწყვეტილი და ქუჩაზე განდევნილი პარაზიტული ბანდა.

ბუდაპეშტის პროცესი—რაკოშის და სხვების დასჯით, ვერ შეაჩერებს იმ ღრმა საზოგადოებრივ პროცესს, რომელსაც შედეგად მოსდევს კაპიტალისტური წყობილების კომუნისტურ წყობილებით შეცვლა.

ამის მაჩვენებელია ის ძლიერი ნებისყოფა და მტკიცე შეგნება ჰუნგრეთის მუშათა კლასისა, რომელიც გამოაშკარავდა რაკოშის და სხვების სახით; ამის თავდებია ის თავგანწირვა და გამარჯვების იმედის რწმენა, რომელიც ახასიათებდა მათ მოწოდებას მშრომელი ხალხის მიმართ განაჩენის გამოტანის წინა წუთებში. და შორს არ იქნება ის დრო, როდესაც ჰუნგრეთის გამარჯვებული პროლეტარიატი კვლავ აღადგენს საბჭოების ხელისუფლებას და გაანთავისუფლებს ჰუნგრეთის ხალხს ფაშისტური ბანდების ბატონობისაგან. ბუდაპეშტის პროცესი, სოც.-დემ. ლიდერების ღალატი და გამცემლობა და პროცესზე გამოტანილი „კანონიერი“ განაჩენი უფრო დააჩქარებს მუშათა კლასის გამოფხიზლებას, გაზრდის მის რევოლიუციონურ სულს და ორგანიზაციულ ძლიერებას.

ჰუნგრეთის რეაქციის და მისი მენშევიკური ლაქიების განკითხვის დღე უთუოდ დადგება.

კ.

ვისთან ურჩევნია საქართველოს

ჭკვიანი ადამიანი ბრძოლის დროს ყოველთვის მოკავშირეს ეძებს და ზურგის გამაგრებაზე ზრუნავს. ცხადია, მენშევიკებსაც უნდა ეფიქრათ მეგობარზე, რომელიც მათ მხარს დაუჭერდა კომუნისტების წინაალმდეგ ბრძოლაში. ასეთი მეგობარი იყო ევროპის „დემოკრატია“ დაწყებული მეორე ინტერნაციონალის მრევლიდან და გათავებული პუანკარესა და ლოიდ ჯორჯის მთავრობით. მაგრამ საქმეს მოხერხებულათ უნდოდა მოგვარება. ქართველი მუშა და გლეხი ასე ადვილად არ აიღებდა იარაღს რუს მუშისა და გლეხის წინაალმდეგ. იმ რუს მუშა-გლეხის წინაალმდეგ, რომელთანაც მთელი საუკუნის განმავლობაში ებრძოდა თვითმპყრობელობას. საქმის უფრო უმტკივნეულოდ მოგვარებისათვის მენშევიკებმა წამოაყენეს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი და შეუდგენ ახალგაზრდა სახელმწიფოს ორიენტაციის ძებნას, რომლის დროს კურსი პირდაპირ აღებული იქნა დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებზე. ცხადია, ეს მოგონებული ფანდი იყო, რომლითაც მენშევიკებმა ორ რამს მიაღწიეს. პირველი—საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით საშუალება მიეცათ მათ, რომ მიეღოთ რეალური დახმარება საბჭოთა რუსეთის წინაალმდეგ ბრძოლისათვის, როგორც მეორე ინტერნაციონალიდან, ისე ყოველგვარ კონტრრევოლიუციონურ ძალებიდან რომელნიც განწყობილი იყვენ წითელი რუსეთის წინაალმდეგ. მეორე—მათ შესძლეს საკუთარი „დემოკრატიის“ ამხედრება საბჭოთა რუსეთის წინაალმდეგ.

თვითმპყრობელურ რეჟიმისადმი სიძულვილი მენშევიკებმა გაანზოგადეს და რუსეთი, როგორც ასეთი, საქართველოს ეროვნულ მტრად გამოაცხადეს.

ასეთი საშუალებით ჟორდანიას მთავრობამ შესძლო სამი წელი ებატონებია საქართველოში. მაგრამ საბოლოოდ საქმეს ვერც ამან უშველა. საქართველო კვლავ გახდა რუსეთის მოკავშირე; ნოეთა მთავრობის მაგიერ საქართველოში დამყარდა საბჭოთა წესწყობილება. საბჭოთა საქართველომ წინაალმდეგ ნოე ჟორდანიას მტკიცებისა საბჭოთა რუსეთის ორიენტაცია მიიღო და თავისი ისტორიული მომავალი ნათლად და ჭეშმარიტად გაარკვია. მაგრამ ნიადაგი ძალზე მოწამლული აღმოჩნდა მენშევიკების სამი წლის მოღვაწეობით.

ეროვნული ფარი, რომელიც ასე მოხერხებულად აიფარეს მენშევიკებმა კომუნისტების წინაალმდეგ ბრძოლაში, შედარებით გამძლე აღმოჩნდა და ამ ნიღაბ ქვეშ ხუთი წლის განმავლობაში ნოე რამიშვილის მთავრობამ ბევრი საბედისწერო ნაბიჯი გადაადგმევინა მის მიმდევრებს საქართველოში.

მაგრამ სინამდვილემ დასძლია ოცნება. ხუთი წლის სინამდვილემ ნათელი გახადა ის გარემოება, რომ მენშევიკების ბრძოლა კომუნისტების წინაალმდეგ არის მხოლოდ ბრძოლა მენშევიკურ ძალაუფლებისათვის და აგებულია პარტიულ ჟინიანობაზე, რისი გამართლებაც შეუძლებელია საღი ეროვნული მოტივებით.

ხუთი წლის პრაქტიკამ სრულებით ნათელი გახადა, რომ ეროვნული საკითხი სრულებით გადაჭრილია საქართველოში და გადაჭრილი საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების სასარგებლოდ?

მეორე ილიუზია იყო საქართველოს მისწრაფება „კულტუროსან“ დასავლეთ ევროპისაკენ.

აიღო რა ჟორდანიამ კურსი დასავლეთ ევროპის „დემოკრატიაზე“, რათა მასთან ყოფილიყო „ჭირში და ლხინში“ ბოლშევიკების წინაალმდეგ, იგი შეუდგა იმის მტკიცებას, რომ საქართველოს ბუნებრივ მოკავშირეთ მეოცე საუკუნეში შეიძლება გამოვიდეს მხოლოდ დასავლეთი ევროპა და მისი დემოკრატია რომ საქართველო დღეს ბუნებრივათ ესწრაფვის დასავლეთ ევროპის კულტურას და ორიენტაციას, რო რუსეთი მას ვეღარ აკმაყოფილებს და სხვა. აი ის ორი ფანტაზია, რომელიც ასე მაჯლაჯუნასავით დააწვა თავზე ჟორდანიას სამწყსოს და რომლისგანაც ნაწილი დღესაც ვერ განთავისუფლებულა.

დავიწყოთ პირველიდან. თურმე მენშევიკური საქართველო აბსოლიუტური დამოუკიდებელი ყოფილა.

გაუსინჯოთ კბილი ამ მტკიცებას.

განა დღეს შეიძლება კიდევ ლაპარაკი იმაზე, რომ მენშევიკური საქართველო სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო ან და შეიძლება იგი ასეთად ყოფილიყო? ამ ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებულმა დოკუმენტებმა განა ნათელი არ გახადა ის მდგომარეობა, რომ საქართველო დამოუკიდებელი არ იყო? დღეს, როდესაც ინგლისიც აღარ არის სრულიად დამოუკიდებელი, დღეს, როცა ლამის საფრანგეთიც კი ამერიკის კოლონიათ იქცეს, შეიძლება მტკიცება იმისა, რომ საქართველო აბსოლიუტურად დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, ან შეიძლება ყოფილიყო? ცხადია რომ არა.

მაგრამ შევეხოთ მეორე, უფრო დიდს ილიუზიას, რომელიც დიდი ხანია მოდათ არის შემოღებული მენშევიკების სამეფოში: ვისთან ურჩევნია საქართველოს—დას. ევროპასთან, თუ რუსეთთან? არის თუ არა მართლა საქართველოს ნამდვილი მოკავშირე დღეს ევროპის „დემოკრატია“ როგორც ამას ამტკიცებენ მენშევიკები. დასავლეთ ევროპის ორიენტაციის საკითხი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში დამარცხდა, მაშინ როდესაც ქართველი სახელმწიფო მოღვაწენი, კერძოდ საბა სულხან ორბელიანი ემუდარებოდა პარიზის ხელისუფლებას მფარველობაზე. დღეს ამასვე სჩადის ნოე ჟორდანიას მთავრობა.

ორბელიანების ცდა დამარცხებით დასრულდა. ეს მოხდა იმიტომ, რომ დასავლეთი ევროპა არ არის საქართველოს „ბუნებრივი“ მოკავშირე, ის დაშორებულია საქართველოს გეოგრაფიულად და არ აქვს შეძლება ბუნებრივ მოკავშირედ გაუხდეს მას. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ მაშინ, საქართველო იძულებული გახდა რუსეთთან დარჩენილიყო, თუმცა ეს კავშირი მაშინდელ რუსეთსა და საქართველოს შორის არ იყო ისეთი, როგორსაც მოითხოვდა საქართველოს ინტერესები. რუსეთი მაშინ, მართალია, გამოდგა ბუნებრივ მოკავშირეთ, მაგრამ ვერ გამოდგა პოლიტიკურ მოკავშირეთ, საქართველოსთან კავშირი მან დაპყრობით შესცვალა.

რა მდგომარეობაა დღეს? დღეს პირობები არსებითად შეცვლილია. რუსეთი დღეს წარმოადგენს ისეთ ქვეყანას, რომელიც ასი პროცენტით იზრუნველყოფს საქართველოს პოლიტიკურ და ეროვნულ დამოუკიდებლობას. რას მისცემდა დღეს საქართველოს დასავლეთ ევროპის ორიენტაცია, რომ ისტორიის ბორბალი უკუღმა დატრიალებულიყო და საქართველო ჟორდანიას რეცეპტს გაყოლოდა? პასუხი ცხადია: კოლონიად გადაქცევას.

აი, ასეთი მჭიდრო და „ბუნებრივ“ კავშირისაკენ მოუწოდებდა და მოუწოდებს დღეს ჟორდანიას „მთავრობა“ საქართველოს ხალხს. მერე ასეთი ორიენტაცია და მჭიდრო კავშირი მისცემდა საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას? ცხადია, არა. ეს იქნებოდა ჩვენი ქვეყნის ნამდვილი დაპყრობა.

სულ სხვაგვარია ჩვენი კავშირი საბჭოთა რუსეთთან. საბჭოთა რუსეთისთვის უცხოა ის ეკონომიური პოლიტიკა, რომელსაც ეწოდება კოლონიალური პოლიტიკა. საბჭოთა რესპუბლიკები დღეს გაერთიანებული ძალით მიიწევენ წინ აღორძინებისაკენ. საბჭოთა რუსეთი დღეს გამოდის ევროპის კოლონიალური პოლიტიკის წინაალმდეგ და ამით, როგორც მის მოკავშირეს საქართველოსაც იფარავს, რომ არ გახდეს ის ევროპის კოლონიათ და დამოკიდებულ ქვეყნათ. საბჭოთა კავშირი მთლიანათ და ჩვენც, კერძოთ, ვიბრძვით, რომ გავხდით ინდუსტრიალურ ქვეყნათ. ამ საქმეში საბჭოთა რუსეთი არის საქართველოს ნამდვილი დამხმარე და მოკავშირე. დღეს საბჭოთა რუსეთი თავისთავთან ერთად იცავს საქართველოსაც ბარბაროსულ კაპიტალიზმისაგან, რომელიც არც ერთ ურდოზე ნაკლებ საშიში არ არის საქართველოს დამოუკიდებლობისა და თვითგანვითარებისათვის.

ჟორდანიას მთავრობა კი პირიქით ურჩევს საქართველოს, ჩაეფლოს ამ მონობისა და სერვილიზმის ჭაობში. ცხადია, ის ეროვნული ფარი, რომელიც აქამდე ასე თუ ისე იცავდა რამიშვილის მთავრობას, დაიმსხვრევა ერთხელ და სამუდამოთ და დღის სინათლეზე გამოჩნდება მათი ნამდვილი სახე.

ძველი მუშა.

პროლეტარიატის დიქტატურა და ეროვნული განთავისუფლება

ძველათ, რევოლიუციამდე და განსაკუთრებით საქართველოს „დამოუკიდებლობის“ გამოცხადებამდე, როდესაც საქართველოს მუშათა კლასი მოსწყდა რუსეთის ძლიერ კლასიურ ორგანიზაციას, ვინ გაუბედავდა ქართველ მუშას და გლეხს ლაპარაკს „ქართულ“ საქმეზე, ნაციონალური სეპარატიზმის გზით სვლაზე და კლასიური მიზნების ეროვნული ლათაიებით—„მიღწევაზე“, მისთვის განურჩეველი იყო: ქართველი, რუსი, სომეხი, თათარი, ებრაელი და ყველა ეროვნების ხალხი, რომელიც კი მასთან ერთად რევოლიუციის საქმეს ემსახურებოდა; მისთვის არ არსებობდა სამშობლოს თავისუფლების კითხვები გარეშე საერთაშორისო პროლეტარიატის სრული თავისუფლებისა; ქართველ მუშებს სწამდათ ეროვნული და კლასიური განთავისუფლება მაშინდელ რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ერებთან ერთად.

ვის არ ახსოვს ამიერ-კავკასიაში სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის დროს, თუ საქართველოს მუშათა კლასი როგორი თავგანწირვით გამოდიოდა ინტერნაციონალური დროშის ქვეშ მომრიგებელ და დამამშვიდებელ შუაკაცის როლში; ის ახერხებდა კიდეც მეფის პროვოკატორების და ნაციონალ-შოვინისტების მიერ წაქეზებულ სისხლის ღვრის აცილებას მეზობელ ხალხთა შორის.

საქართველოს მუშათა კლასს დიდი დამსახურება მიუძღვის კავკასიის ხალხთა შორის ეროვნული სოლიდარობის შექმნაში და მათი შოვინისტური ელემენტების გავლენისაგან დახსნაში. ასე მუშაობდა და აზროვნებდა ქართველი მუშა; ჩვენს ხალხს ვერავინ დასწამებდა შოვინიზმს, რადგან ის ასეთი არ იყო; საქართველოს მუშათა კლასი რუსეთის მოძრაობის მოწინავე რიგებში იდგა ყოველთვის, ის თავს გრძნობდა მსოფლიო პროლეტარიატის ოჯახის წევრათაც. ყოველივე ეს—არ არის უბრალო ლათაიები და, ალბად, აღინიშნება კიდეც მიუდგომელი ისტორიკოსის მიერ ისტორიის ფურცლებზე.

მაგრამ ამ ხანათ, როგორ შეგვიძლია დიდი ხნის მებრძოლ და სოციალიზმისათვის თავდადებულ მუშას გულგრილათ აუაროთ გვერდი ნაციონალიზმის გესლით მოწამლულ და დაბრმავებულ მშრომელი ინტელიგენციის ერთ ნაწილს, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებია გახედვა და აზროვნება ეროვნული საკითხის ვიწრო საზღვრების გარეშე. ისინი კიდევ ვერ განთავისუფლებულან გაჯავრებული კაცის ფსიქოლოგიურ განწყობილებისაგან, რათა კვლავ დაუბრუნდენ მარქსისტულ აზროვნებას, მსჯელობას და მუშაობას.

ვინც იბრძვის პროლეტარიატის დიქტატურისათვის ის იბრძვის ეროვნული განთავისუფლებისათვისაც.

მარქსი და ენგელსი ამბობდენ, რომ მუშათა კლასს კაპიტალიზმის ხანაში სამშობლო არ აქვსო. ეს სინამდვილეა. მუშათა კლასმა ბრძოლით უნდა მოიპოვოს და განათავისუფლოს ის კაპიტალიზმის ტყვეობისაგან; ამას კი მოახერხებს მაშინ, როდესაც თვით აიღებს ძალაუფლებას ხელში და საზოგადოებრივ ცხოვრებას და ურთიერთობას მოაწყობს სოციალისტურ საფუძველზე. აი, მაშინ ექნება მას სამშობლო ერის ფარგლებში და მსოფლიოს მასშტაბითაც.

დიდი ხნის ამბავი ხომ არ არის ბატონყმობის სისაზიზღრე, როდესაც გლეხკაცობას, მუშათა კლასის წარმომშობ წყაროს, როგორც გოჭებს ისე ჰყიდდენ ყველა ქვეყნის ბაზარზე; და სცვლიდენ ბატონის მოწონებულ ძაღლებზე; განა გლეხები აქ—საქართველოში დაბადებულნი და აღზრდილნი, მაგრამ გაყიდული და გადაგზავნილი ასობით და ათასობით სპარსეთის, ოსმალეთის და სხვა ქვეყნების ბაზარზე, ჩათვლიდენ მაშინდელ საქართველოს თავის სამშობლოთ? ისინი უეჭველათ დასწყევლიდენ ისეთ სამშობლოს, რომელიც ვერ იტევდა მათ თავის მიწა-წყალზე, პირუტყვის მდგომარეობაში აყენებდა და ერეკებოდა უცხო ქვეყანაში, როგორც დასაკლავად გამზადულ ნახირს.

როგორც ვიცით, ბატონყმობა მოისპო, მაგრამ მისი ადგილი დაიჭირა ბურჟუაზიამ, რომელმაც შექმნა ისეთი ჯოჯოხეთური პირობები, რომ მშრომელი გლეხკაცობის და მუშათა კლასის დღევანდელი მდგომარეობა დიდით არ განსხვავდება ბატონების ხელში მყოფ წინაპრებისაგან. თუ მაშინ თავად-აზნაურების თვითნებობა იყო მოუხშავ ფორმებში, ეხლა ბურჟუაზია უფრო მოხერხებულათ ბატონობს მათზე; თუ მაშინ თავადი აშკარათ ძალადობდა გლეხზე, ყიდდა მას, აწამებდა, აუპატიურებდა გლეხის ქალებს, ეხლა ბურჟუაზიამ მოაწყო ისეთი ობობისებური ბადე, რომ მუშები და გლეხები თავისდაუნებურათ ებმიან შიგ.

შესაძლებელია, თუ არა, რომ ტანჯული მუშები იყვნენ ჭეშმარიტი პატრიოტები იმ ქვეყნის, რომელიც მათ ჯოჯოხეთათ გადაექცათ? რა თქმა უნდა, არა. სამშობლო მათ ექნებათ მაშინ, როდესაც მას გაანთავისუფლებენ ფეოდალიზმის და ბურჟუაზიის ბატონობისაგან. ქართველ ხალხს, მუშებსა და გლეხებს აქვთ ასეთი სამშობლო მოპოვებული, და თუ ის დადგა რაიმე საფრთხის წინაშე,—საქართველოს მუშათა კლასი დაიცავს მას. საქართველოს მუშებსა და გლეხებს ღრმათ სჯერათ, რომ მათი ეროვნული და სოციალური თავისუფლება განხორციელდა მხოლოდ რუსეთთან თავისუფალ კავშირში. ამიტომაც ისინი იცავენ, და უნდა დაიცვან კიდეც, საბჭოთა ხელისუფლება, დღევანდელი პოლიტიკური წყობილება.

ლ. კუპრაშვილი.

იქ, სადაც ბურჟუაზია ისვენებდა

მართალია მუშათა კლასმა მრავალი მსხვერპლი გაიღო თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში, მაგრამ მან თავის მიზანს მაინც მიაღწია.

თვითმპყრობელობის ნანგრევებზე წამოშვა მუშათა და გლეხთა მთავრობა, ძალაუფლება მან აიღო ხელში და შეუდგა სოციალისტურ სახელმწიფოს მშენებლობას.

წინათ თუ ბურჟუაზია განცხრომით და ფუფუნებაში ატარებდა დროს კეჩხობის აგარაკზე, დღეს იქ ბრძოლით და შრომით მოქანცული მუშები ისვენებენ, წინათ თუ მუშას არ ქონდა, არც უფლება და არც საშუალება მძიმე შრომის შემდეგ დაღლილ-დაქანცულს ოდნავ მაინც დაესვენებია, და ჩაეყლაპა სუფთა ჰაერი, დღეს ბურჟუაზიას არ აქვს უფლება კეჩხობის ახლო-მახლო გაიაროს. ის შორიდან შესცქერის მას და როცა ესმის ზარის ხმა დასასვენებელ სახლიდან გულზე მახვილი ესობა, ბრაზისგან კვდება და ზიზღით შესცქერის იქ მყოფ გამარჯვებულ მუშებს.

ასეთია ისტორიის ბედი. ნათქვამია: „წინანი უკანაო და უკანანი წინაო“. კეჩხობი, საუკეთესო ადგილია წაღვერში. ბურჟუაზიამ იცოდა ტკბილი ცხოვრება და სწორეთ აქ აუშენებია საავარაკო სახლები, მარა დახე უბედურებას, პროფსაბჭოსაც სცოდნია სად უნდა დაასვენოს შრომით მოქანცული თავის კავშირის წევრები.

კეჩხობის მუშათა დასასვენებელი სახლები, ეს სანიმუშო ცალკე კომუნაა. ერთათ ჭამა, ერთათ სმა, ერთნაირი დასვენება და გართობა, ყველასთვის თანასწორი უფლება, ქართველი, რუსი, სომეხი, თათარი, ოსი—ყველა ერთი და იმავე მიზნით გამსჭვალული. არავითარი შუღლი-მეტ-ნაკლებობა, ყველანი თანასწორია, ყველას ერთი და იგივე სადილი და ვახშამი, ერთი და იგივე საცხოვრებელი ბინა და სხვ. ყველა კმაყოფილია ცხოვრებით, ყველა მხიარულებით შესცქერის ერთმანეთს.

ამჟამად აქ ისვენებს 400—500-მდე კაცი და ქალი. ხშირი იყო კრებებზე საყვედური ქალების მხრით, რომ თქვენ ქალებს ნაკლებ ყურადღებას აქცევთო,—მარა თუ შედარებით ვიანგარიშებთ ქალების რიცხვი დასასვენებელ სახლებში დიდია. ასე რომ საყვედურს ვერავინ იტყვის. საყვედური შეგვიძლია მხოლოდ ვსთქვათ ჩვენ, რკინისგზელებს. რკინის გზა უმთავრეს დარგს წარმოადგენს, როგორც რიცხვით, ისე მისი რევოლიუციონური წარსულით.

რევოლიუციისა თუ რეაქცის მთავარი სიმძიმე რკინისგზის მუშა-მოსამსახურებს აქვთ თავის ზურგზე გადატანილი და დასასვენებელ სახლებში კი ისინი სრულიად არ სჩანან, სულ 400—500 კაცში 20—30 თუ იქნება. ასე რომ, ჩვენ სრული უფლება გვაქვს უსაყვედუროთ იმათ ვინც აქ ადგილები გაანაწილა.

დასასვენებელ კეჩხობის სახლებს ყავს 500-მდე მოსამსახურე. უმთავრესი ხელმძღვანელი — არიან გამგე—თოფაძე, კომენდანტი—ლომთათიძე და სასადილოს ხელმძღვანელი—გულივერდოვი.

უნდა ითქვას გულახდილად, წესრიგი მშვენიერია. ცხრის ნახევარზე საუზმეა; ჩაი, კვერცხი, ყველი, კარაქი, ხან რძე. შუადღისას—სამის ნახევარზე—ორი თავი სადილი, საღამოს რვა საათზე ვახშამი ჩაით. სასმელ - საჭმელი საკმარისია. პირიქით, პური იმდენია რომ რჩება და ხმება კიდეც. აგრეთვე უნდა ითქვას, რომ მოსამსახურეთა კადრი ძლიერ კარგია, მოპყრობა ზედმიწევნით ზრდილობიანი და ლმობიერი. მართალია კერძო შეკითხვაზე უკმაყოფილებას გამოსთქვამენ, რომ ჩვენ ვმუშაობთ არა 8 საათს, არამედ 15-ს და კიდევ მეტსო, მარა უნდა ვსთქვათ მათ საყურადღებოთ, მართალია ზედმეტ შრომას ეწევიან, მარა ემსახურებიან თავიანთ ძმა მუშებს და მეორე იმყოფებიან აგარაკზე და სარგებლობენ ძვირფასი ჰაერით, რასაც ბევრი ჩვენი ამხანაგები მოკლებულნი არიან.

დასასვენებელ სახლში იმართება ლექციები, უკრავს მუსიკა დროგამოშვებით იდგმება კინო და სხვ. მარა საჭიროა უფრო ხშირი იყოს ყველაფერი ეს. ამას უნდა მიაქციოს ყურადღება პროფსაბჭომ.

კ. მაჭარაძე.

რა ხდება მენშევიკურ ემიგრაციაში

პატივცემულო ამხ. მიხეილ!

ბოდიშს ვიხდი, რომ გაწუხებთ, მაგრამ რა გაეწყობა, უნდა მაპატიოთ, მე ვერ ვნახე სხვა გზა და ჩემი ფიქრების სხვა ვინმეზე გაზიარების შესაძლებლობა.

როგორც ვიცი, ყოფილი მუშათა კომისია, დღეს კი „ახალგზელთა“ ჯგუფათ წოდებული—თავის მოქმედების ერთ-ერთ მიზნათ ისახავს გადასახლებულთა და ემიგრანტთა საკითხის შესაფერ ფორმებში მოგვარებას. გულახდილათ უნდა ვსთქვა, რომ ეს მეტად სიმპატიური და სასარგებლო განზრახვაა. ეს კითხვა არც ისე პატარა არის, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ და არც იმ გზით გადაიჭრება, როგორც ბევრნი ფიქრობენ, თუ კი „გადაჭრათ“ დრო-გამოშვებით თითო-ოროლა ემიგრანტის დაბრუნებას არ ჩავთვლით. ვფიქრობ, რომ ამ მხრით თქვენ უფრო სწორი გზა აგიღიათ. არც ემიგრაციისთვის და არც თვით ხელისუფლებისთვის არა მგონია მიზანშეწონილი იყოს დღევანდელი მდგომარეობის დატოვება და საამისო აუარებელ მოტივების მოყვანას მე აქ არ შეუდგები. ამ მხრით რუსეთში გადასახლებულთა მიმართ თქვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები და მათი შედეგები ჩემთვის, და ვფიქრობ ბევრისთვისაც, მეტად სასიამოვნო იყო. მაგრამ ამ ჟამად მე მხოლოდ თავის აზრსა და შეხედულებას ვუწევ ანგარიშს და ამ მიმართულებით მინდა თქვენ ჩემი აზრი გაგაცნოთ. აი ის:

ყოველივე მომხდარის, ჩემ მიერ ნახულისა და გაგონილის სრულიად დამოუკიდებელი ანალიზისა და შეფასების შემდეგ—მე ვეღარ ვამართლებ თავის თავის ემიგრანტობას და დარწმუნებული ვარ, რომ სამშობლოში დაბრუნებით და იქ მშვიდობიანი მუშაობით გაცილებით მეტს შევძენ ქვეყანას, ვიდრე აქ დარჩენით. ნუ მკითხავთ ამჟამათ—რისთვის, ამის დასაბუთება ძლიერ შორს წაგვიყვანს და არც რაიმე ახალს აღმოაჩენს. მიუხედავათ იმისა, რომ ასეთს ჩემს აზროვნებას კარგა ხნის ისტორია აქვს—თუ მე მაინც აქა ვარ და ვაგრძელებ ძველ მდგომარეობას—მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ მე ვარ გადმოსახლებული ემიგრანტი, ასე ვთქვათ, „უფლებაახდილი“ და „სამშობლო-დაკარგული“ და მიუხედავათ უაღრესათ მშვიდობიანი მუშაობისადმი განწყობილებისა—ყოველივე საშუალებას მოკლებული ვარ **ადამიანათ დავბრუნდე ჩემს ქვეყანაში** და ერთგულად ვემსახურო მას. რომ ეს ასეა—ყველამ იცის, მათ შორის თქვენც; რა თქმა უნდა,—მაგრამ მის დასამოწმებლად მე მაინც მოვიყვან ერთ ფაქტს. ზემოთქმული ჩემი განწყობილების შესახებ, უეჭველია, ცნობა მისულია თვით კომუნისტების ყურამდისაც და უთუოდ ამის შედეგათ უნდა ჩავთვალოთ ის ფაქტი, რომ გასულ შემოდგომაზე, ერთ-ერთმა აქ ჩამოსულმა ბერლინელმა წარმომადგენელმა წერილობითი წინადადებით მომმართა „როგორც ქართველ სამეურნეო პრაქტიკოსს“ დავბრუნებულიყავი საქ-ში და მემუშავნა იქ ჩემს სპეციალურ დარგში, ამაზე მე წერილითვე დადებითი პასუხი გავეცი, მაგრამ ამის შემდეგ პირადათ შეხვედრამ გამოარკვია, რომ ასეთი თანხმობა არაფრათ არ ღირს, არამედ საჭიროა კიდევ გ. ვეშაპელის ორგანოში „დეკლარაციის“ გამოქვეყნება.

უნდა გითხრათ, რომ ერთი წელია რაც სრულიად გავშორდი ყოველგვარ ემიგრანტულ ორგანიზაციებს, პარტიულს და არა პარტიულს (ეს ყველამ იცის), რითაც დიდათ კმაყოფილი ვარ. მაგრამ ეს მე იმიტომ არ მიქნია, რათა ისევ ემიგრანტულ ორგანიზაციაში დავბრუნდე, რა სახისაც იყო ის. რაც შეეხება გინებას და დეკლარაციას—ეს არ შედის ჩემს ლექსიკონში, მე ბოლშევიკები არ მიგინებია და ვერც მათ მოწინააღმდეგეებს ვაგინებ, მით უმეტეს ამ დრომდე ამ ლაგერს ვეკუთვნოდი მეც და, თუ ფაქტიურათ არა—ფორმალურათ პასუხისმგებლობას მათ მოქმედებაში მე თავიდან ვერ მოვიხსნი, ეს უკვე ისტორიული ფაქტია და ჩემი დეკლარაცია ისტორიას ვერ შესცვლის. ერთის სიტყვით ეს პირობები, მე მიუღებლად ვსცანი, ლაპარაკიც ამით გათავდა და არა მგონია ამით ვინმეს სარგებლობა ენახოს, პირიქით, ბევრი, ასეთი ფაქტის შედეგათ, ზედმეტჯერ დარწმუნდა იმაში, რომ დაბრუნებაზე ფიქრიც ზედმეტია, სურვილიც რომ იყოს.

თქვენი ინიციატივა და თავდებობა ამ კითხვას, ასე თუ ისე, უფრო უმტკივნეულოთ სჭრის, რამდენად მე ეს დავინახე თქვენი წინა პრაქტიკიდან, როგორიც იყო, მაგ. ციმბირელების დაბრუნება.

პირადათ მე, როგორც ევროპაში უნებურათ გადმოსახლებულს—არასოდეს არ მდომებია სამშობლოს დატოვება. კიდევ მეტი, ბოროტმოქმედებათ მეჩვენება წავიდე და პარიზის ქარხნებში ევროპის ბურჟუაზიის ავტომობილები თუ ფოლადის სკივრები ვღებო, მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყანა ძალებით არც ისე მდიდარია (ყოველ შემთხვევაში ჩემს დროს ასე იყო). მაგრამ, ვიმეორებ: თუ მე წინააღმდეგ სურვილისა იძულებული გავხდი ასე მოვიქცე—ეს იქნება ზემოთ დასახელებულ დაუძლეველ მიზეზების შედეგი და მეტი არაფერი. და როდესაც პ. გელეიშვილი ამას „მეშჩანობათ“ ნათლავს—ეჭვი არაა—ის ურევს ერთმანეთში თავის პირადს და ჩვენს განსაკუთრებულ მდგომარეობას. მისთვის და საერთოთ თქვენთვის ადვილია სთქვათ ის, რასაც თქვენ ხედავთ და გრძნობთ, ამით თქვენ არაფერსაც არ ყიდულობთ და არც ყიდით, ჩვენს თქმას კი, და შემდეგ თქმისა დაბრუნებას—სულ სხვა სუნი უდის, ეს უაღრესათ მარტივი დებულებაა და მიკვირს, რომ ზოგიერთები ამაში არ ერკვევიან. პირადათ, მე რომ მაქ ვყოფილიყავი—არ ვიცი რას ვიტყოდი, აქ კი ეს ძნელია და არამც და არამც იმიტომ, თითქოს ვინმეს ტერორის მეშინოდეს (სიმხდალეში მე ვერავინ მისაყვედურებს), არამედ თქმული მოტივების გამო.

მე, რა თქმა უნდა, არა ვარ კომუნისტი, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ უაზრო და მიზანშეუწონელი ბრძოლა ჩემთვის სავალდებულოთ გავიხადო. მე გადავწყვიტე ამის შემდეგ თავის ჭკუით ვიარო, უკვე ძირს დავეშვი ოლიმპიიდან, რა რომ დავრწმუნდი, რომ იქ მარტო ღმერთები არ ბუდობენ და ხელი ავიღე ფეტიშებზე. მე შორს ვარ იმ აზრიდან, რათა რაიმე ბრძოლა ვაწარმოვო, ვიკმარ იმას, რისიც ერთ-ერთი (მრავალთა შორის) უნებლიე მონაწილეთაგანი ბედმა გამხადა და სხვებზე მინდობამ მარგუნა, მე მივიღე სამაგიერო აუნაზღაურებელი სასჯელი. გონება მიკარნახებს დავსძლიო გრძნობებს, ვიკმარო რაც მოხდა და, თუ მიწერია თავის ქვეყანაში დაბრუნება—ვეწიო მშვიდობიანს და ერისთვის სასარგებლო მუშაობას ისევე თავდადებულათ, როგორც წარსულში.

დამიჯერებთ, ძნელია ჩემთვის ამ სტრიქონების წერა 21 წლის განმავლობაში პარტიის ერთგული წევრობის შემდეგ, ისევე ძნელია, როგორც, დარწმუნებული ვარ თქვენთვისაც ძნელი იყო საამისოთ კალმის ხელში აღება. ისტორია პირუთვნელათ დააფასებს ჩვენი პარტიის წარსულს, მაგრამ იგივე ისტორია საკმაოთ მკაცრი და მიუდგომელი იქნება საიმისოთ, რათა მან მის უკანასკნელ მიუტევებელ შეცდომებს გვერდი აუხვიოს და არ მოიხსენიოს.

აი სულ მოკლეთ, რისი თქმაც მე მინდოდა. ვფიქრობ, გამიგეთ. და დავასკვნი: თუ იმ პირობებში დაბრუნება შესაძლებელი იქნება თქვენის თავდებობით (რა თქმა უნდა თუ კი თქვენ ინებებთ ნდობას და თავდებობას), როგორშიაც ციმბირელები დააბრუნეთ—მე მზათ ვარ წამოვიდე, არა და თქვენ დღეგრძელათ იყავით. მე მეტი არაფერი შემიძლია და სინდისი მაინც დამშვიდებული მექნება...

ვიმედოვნებ, რომ მე თქვენ მიპასუხებთ.

ამხანაგური სალამით №.

იმის დასახასიათებლად, თუ რა სულიერი განწყობილებაა ემიგრაციაში, ვათავსებთ წერილს მიღებულს ამხ. ძამანაშვილის მიერ ერთ-ერთი ცნობილ მენშევიკ ემიგრანტისაგან. შემდეგ ნომერში მოვათავსებთ სხვა წერილებსაც. დედნები ინახება რედაქციაში.

რედ.

ჩვენი გზა სწორია

ადამიანი ბრმა უნდა იყოს, რომ არ შეხედოს დღევანდელ სინამდვილეს.

ეს სინამდვილე კი ჩვენ გვიკარნახებს სწორი და მიუდგომელი საზომი ავიღოთ, რომ უფრო ნათელი შეიქნეს ჩვენი დღევანდელი შეხედულება. ეგრეთ წოდებულ „მენშევიკურ ხანაში“ ჩვენი ძველი პარტიული ბელადების სიბეცემ საქართველოს მშრომელი მასა უფსკრულის პირას მიიყვანა და ქვეყანა ეკონომიურად დაუძლურა. ნაციონალურ საკითხის გადაუჭრელობამ „მენშევიკების დროს“ ჩვენ გვარგუნა მუდმივი ომები მეზობელ ერებთან. გვარდიის თავხედური საქციელი კი მუდმივ ანარქიას ქმნიდა. [illegible] დაწესებულებებში და რეგულიარულ ჯარში ქურდობა ეპიდემიურ ხასიათს ღებულობდა და ეკონომიურად ისედაც ბეჩავ ქვეყანას უფსკრულისაკენ მიაქანებდა. ჩვენ ვიცით, რომ მენშევიკური პარტიის და ამ პარტიიდან გამოსული მთავრობის უტაქტო მოქმედებამ არა ერთჯერ ააჯანყა მშრომელი გლეხობა.

„დემოკრატიული რესპუბლიკა“ მხოლოდ სახელი იყო, ხოლო ფაქტიურად კი რამიშვილ-ფაჩულიას დიქტატურა იყო გამეფებული. სწავლა-განათლება სულ უკან და უკან მიდიოდა სკოლების რიცხვიც თანდათან კლებულობდა. ეს დღეს ყველასათვის ნათელია, და მით უფრო ჩვენთვის შეიქნა ნათელი.

წარსული ცხოვრების სიდუხჭირემ ჩვენ გვაიძულა ახალი გზა მოგვეძებნა და ეს გზა ნახულია. დღეს ყველა დარგში გაძლიერებული აღმშენებლობითი მუშაობა. ქვეყანა ეკონომიურ აღორძინების გზას დაადგა, ჩვენში მრავლად კეთდება ხიდები, ჰიდრო-ელსადგურები, გზები და სხვა...

სწავლა-განათლების საქმეც წინ მიდის, აუარებელი სკოლები მოეფინა ჩვენს ქვეყანას და საქართველო საერთო წინსვლელობის გზას დაადგა.

ყველა ამას ჩვენ, რასაკვირველია, ვხედავთ. ჩვენ თავს რევოლიუციონერებს ვეძახდით და ამიტომ არ შეგვეძლო რევოლიუციონურ გზაზე არ დავმდგარიყავით. ჩვენი დღევანდელი ამორჩეული გზა აუცილებლად რევოლიუციონურია, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენში ჯერ კიდევ არიან აქა-იქ ისეთები, რომლებიც სინამდვილეში ვერ გამორკვეულან. ისინი კიდეც გვისაყვედურებენ ჩვენ, რომ ეს გზა ავირჩიეთ. ჩვენს მოქმედებაში ჩვენ მართალნი ვართ და ვიცით, რომ მხოლოდ ამ გზის საშუალებით შესაძლებელი იქნება გამოვასწოროთ ჩვენი ძველი შეცდომები და კომპარტიის ხელმძღვანელობით გვსურს დავადგეთ რევოლიუციონურ გზას.

ა. გორგაძე.

ემიგრაციისადმი

ქართველ საზოგადოებას საშუალება მიეცა გასცნობოდა იმ მიწერ-მოწერას, რომელიც სწარმოებდა ერთის მხრით—სოც.-დემ. პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროსა და საქართ. სოც. დემ. პარ. „ცეკას“ და მეორეს მხრით—ემიგრაციაში მყოფ მენშევიკებს შორის.

ამ მიწერ-მოწერამ, რომელსაც ფრიად კონსპირატიული ხასიათი ჰქონდა, ქართველი საზოგადოების ყურამდისინ მოაღწია და მრავალ ისეთ მოვლენას ახადა ფარდა, რომელთა არსებობა წარმოდგენილი გვქონდა მხოლოდ პერსპექტივაში.

თუ ბოლშევიკური მხილება ვინმესთვის საეჭვო იყო, თვით მენშევიკების მიწერ-მოწერა ფარულ ზრახვათა აშკარა გამოფენა არის. ვერც ერთი ქართველი გვერდს ვერ აუვლის მღელვარების მომგვრელ იქ წამოჭრილ კითხვებს და მეც მინდა მათ შესახებ ვილაპარაკო.

1924 წლის აგვისტოში მოწყობილი მენშევიკური ავანტიურის შესახებ ნოე ჟორდანია გაკვრით აღნიშნავს „რომ აჯანყება გამართლდა პოლიტიკურათ და მისი დადებითი მხარეები დღითიდღე აშკარავდება“-ო. ირ. წერეთელი კი უგუნურებათ და ბოროტმოქმედებათ სთვლის ამ საბედისწეროთ გადადგმულ ნაბიჯს, ვინაიდან ამ ბრძოლაში საქართველო ყოველგვარ რეალურ მოკავშირეს მოკლებული იყო. ცხადი არის, რომ რეალური დახმარება ხიმერა იყო და ამ პირობებში აჯანყების დაწყება რა იყო, თუ არა სისხლის სამართლის დანაშაული იმ ხალხის წინაშე, რომელიც მსხვერპლად შეეწირა ამ უგუნურ ნაბიჯს.

თუ თქვენ იცოდით, რომ ევროპის სახელმწიფო მოღვაწეები მხოლოდ პლატონიურ თანგრძნობას გპირდებოდენ, თუ თქვენი მეგობრები მეორე ინტერნაციონალიდან გაფრთხილებდნენ ასეთი ნაბიჯის გადადგმისაგან, ვისი ან რისი იმედით გადისდგით აგვისტოს საბედისწერო ნაბიჯი? აჯანყების შედეგების თვალსაზრისით, ვინ დარჩა ქართველი ერის უფრო მეგობარი, ის ვინც „საქართველოს სიყვარულის გამო“ გაჩერებდენ ამ ნაბიჯისაგან, თუ თქვენ, რომელთაც ბეწვზედ ჩამოკიდეთ ქართველი ერის ბედი?

ყოველი მთავრობა იმაზე უნდა ზრუნავდეს, რომ მისი ქვეყნის ხალხი ხიფათისაგან იხსნას. მაგრამ არის ისტორიაში მაგალითები, როდესაც ამა თუ იმ მთავრობას ვიწრო პოლიტიკურ ანგარიშის მსხვერპლად გადაუქცევია მინდობილი ერი.

თუ საზღვარგარეთელ „მთავრობას“ შეეძლო დაემშვიდებია აქაური ხალხი,—როგორც ამას ირ. წერეთელი აღნიშნავს,—რატომ არ მოიმოქმედა მან ეს? ნუ თუ მენშევიკურ საქართველოს რესტავრაცია ქართველი ერის ინტერესებისაგან განუყოფელია? ნუ თუ ავანტიურის გზით მიტომ წადით, რომ შეგეშინდათ „თქვენი ხალხი“ სასოწარკვეთილებას არ მისცემოდა და არსებულ ხელისუფლებას არ შერიგებოდა? ნუ თუ იმისათვის, რომ ეს შერიგება არ მომხდარიყო, საჭირო იყო სისხლის აბანოს გამართვა? ხომ არ შედიოდა თქვენს ანგარიშში მსხვერპლის გაღება, რომ იქაურ „მთავრობას“ მაგარი კოზირები ქონებოდა ხელში?

როდესაც ერთი მოღვაწე გონიერებას გადასცდება, მეორესი და მესამესი მოვალეობა არის, გასაქანი არ მისცეს უგუნურებას.

როდესაც თქვენი იეზუიტი ნ. რამიშვილი ცეცხლს უკიდებდა, რომელსაც ათასი ქართველობა უნდა ემსხვერპლა, სად იყავით თქვენ, რატომ არ მიატეხეთ მას ის ხელი, რომლითაც ამ ბოროტებას სჩადიოდა?

ყოველი დემოკრატიული პარტია ვალდებულებას იღებს თავისთავზე ყველა საბედისწერო საკითხები პარტიულ მასასთან შეთანხმებით გადასწყვიტოს. მენშევიკები უყვიჟინებდნენ ბოლშევიკებს, რომ მათ რიგებში თითქოს ერთი ჯგუფის დიქტატურა იყო.

როდესაც 1926 წლის იანვრის სადირექტივო წერილით, თქვენ რჩევა-დარიგებას აძლევთ აქ დარჩენილ მრევლს, რომ წერეთლის მიერ დაყენებული საკითხები არ გაცნოს პარტიის ფართე მასას. ამით ხომ ასამარებთ თქვენ მიერვე ნაქებ დემოკრატიას? ეს ხომ კამარილიის გაბატონება არის პარტიაში? ეს ხომ ელემენტარულ დემოკრტიის უარყოფა არის მენშევიზმის თვალსაზრისით?

ყოველგვარი გადაფასება მენშევიკური იდეოლოგიის ბოლშევიზმისაკენ გადახრით ხასიათდება. ასე ხდება მუშათა მასებში. ამის ეშინია ქართველ მენშევიკებს.

თუ წერეთლის თეზისების ირგვლივ პარტიაში გამართულ დისკუსიით ბოლშევიკები ისარგებლებენ და თვით წერეთლის სურვილის წინაალმდეგ მის მომხრეებს თავიანთ მხარეზე გადაიბირებენ, რაღა ფასი ქონებია თქვენ აქაურ მრევლს? რაღას უნდა წარმოადგენდეს ის „პარტია“, რომლის მთლიანობისათვის აუცილებელი საჭირო არის უვიცობა და იმ მთავარ საკითხების არ ცოდნა, რომელთა გადაჭრისაგან მთლიანად არის დამოკიდებული ქართველების ბედი ხომ არ ამტკიცებს ეს თქვენი შიში იმ ფაქტს, რომ თვით თქვენი, მეთაურების ფუძეც შეირყა და რომ ბოლშევიზმის მატლი ენერგიულად ღრღნის მას? მოასწავებს თუ არა ეს მენშევიზმის ისტორიულ დაჩანაკებას?

არის თუ არა სოციალისტური საქ. ს. დ. მ. პ. საზღვარგარეთელ ბიუროს პოლიტიკა, რომელიც საქართველოს „ეროვნულ განთავისუფლების“ შესაძლებლობას საბჭოთა კავშირის საგარეო კონფლიქტებს უკავშირებს? რა აქვს სოციალიზმთან საერთო იმ პოლიტიკის, რომბის შინაარსს იმპერიალისტურ ომრომლის შინაარსს იმპერიალისტურ ომზე ორიენტაცია წარმოადგენს? რით განსხვავდებით თქვენ ინგლისელ ბირკენხედისაგან და ჩერჩილისაგან, რომლებიც თქვენსავით მოელიან საბჭოთა კავშირთან ომის დაწყების დღეს? იმპერიალიზმის გზით გამართლებულ ეროვნულ პოლიტიკას, რა საერთო აქვს მუშათა განთავისუფლების სოციალისტურ საქმესთან? სად არის თქვენი სოციალისტური სახე?

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა საგრძნობლად განმტკიცდა. ირ. წერეთლის მოწმობით, როგორც ევროპის ბურჟუაზიული, ისე სოციალისტური მოღვაწეები ილიუზიათ სთვლიან კონფლიქტების შესაძლებლობას ევროპა-საბჭოთა კავშირს შორის.

როდესაც თქვენ ამ კონფლიქტების აუცილებლობაზე ამყარებთ მთელ პოლიტიკურ იმედებს, ნიშნავს თუ არა ეს პოლიტიკურ ალღოს დაკარგვას? თუ საბჭოთა კავშირს დიდ ანგარიშს უწევენ და მასთან ურთიერთობას თვალის ჩინივით ინახავენ; თუ ევროპა სცნობს საბჭოთა კავშირის იურიდიულ უფლებებს, დადგა თუ არა დრო, რომ ქართველმა ხალხმა პირი იბრუნოს სისხლიანი პოლიტიკისაგან, გვერდი აუაროს თქვენს მიერ დასახულ სვლიგეზს და საბჭოთა კავშირში განახორციელოს თავისი ეროვნული იდეალები?

„რუსეთი ჩვენი ერის ცხოვრებაში ისეთი დიდი ფაქტორია, რომ მასთან შეთანხმების გარეშე, რუსეთის ხალხში თანაგრძნობი ელემენტების გამონახვის გარეშე, საქართველო თავის ცხოვრებას მკვიდრ ნიადაგზე ვერ მოაწყობს“ (ირ. წერეთელი). ამასვე ამტკიცებდით თქვენ მთელი 25 წლის განმავლობაში.

ვინ არის ისტორიულად მართალი, თქვენ რომელნიც ხელოვნურად სცდილობთ გასწყვიტოთ საქართველოსა და რუსეთის ხალხის ბუნებრივ-ისტორიული კავშირი, თუ ჩვენ, რომელნიც ხელს უწყობთ ამ კავშირის განმტკიცებას და საქართველოს ცხოვრების მკვიდრ ნიადაგზე მოწყობას? ხომ არ ჩაგვეთვლება დანაშაულად, რომ რუსეთის ხალხში თანამგრძნობი ელემენტები, ჩვენ ბოლშევიკებში გამოვნახეთ?

როდესაც თქვენ ახალ პარიტეტს ქმნიდით და იქ ნაციონალ-დემოკრატებს ადგილების უმრავლესობას უთმობდით, ითვალისწინებდით, თუ არა, რომ თქვენი „მთავრობა“ გამოკიდებული იქნებოდა ეროვნულ დემოკრატებისაგან და ამ პირობებში შეეძლო თუ არა სოც. დემოკრატიას შეენარჩუნებია თავისი ჰეგემონია? ნიშნავდა თუ არა ეს საკუთარი პოლიტიკური სახის დაკარგვას და ბურჟუაზიულ-ფაშისტურ მიმდინარეობაში გათქვეფას? და როდესაც რევოლიუციონურად განწყობილი მუშები და გლეხები თქვენს პარტიას სტოვებენ, თქვენ ეს არ მიგაჩნიათ ნორმალურ მოვლენათ?

ევროპის სოციალისტების წრეებშიაც კი სასტიკურად უყურებენ ნ. რამიშვილის კამარილიის რესტავრაციას. როგორც თქვენვე აღიარებთ ამ მხრით პირველ რიგში დგანან ინგლისელები და გერმანელები.

თუ გერმანელები და ინგლისელები ინდეფერენტულად ექცევიან თქვენ საქმეს, მაშ ვის ეყრდნობით თქვენ? სადღაა ნაქები ევროპის დემოკრატია? როგორც სჩანს თქვენ ზურგი გიჩვენათ ე. წ. სოციალისტურმა დემოკრატიამ და ერთად-ერთი იმედი ბურჟუაზიული მთავრობები დარჩენია?

თქვენი მთავრობა ევროპის ოფიციალურ წრეებში ეძებს დახმარებას და რომ ეს დახმარება მიიღოთ, საბოლოოთ უნდა განთავისუფლდეთ წითელი ფერისაგან. როგორც თქვენ აღიარებთ ბატ. სპ. კედიამ და მისმა პარტიამ თქვენ გაგწირათ. მხოლოდ ევროპის ბურჟუაზია არ ელაპარაკება მენშევიკ „მინისტრებს“, საჭიროა ყვითელი ფერი სპ. კედიას პარტიის სახით. რომ თქვენს არა სოციალისტურ მთავრობასთან დაიწყონ ლაპარაკი ევროპის დიპლომატებმა.

ეს მიტომ გჭირიათ არა, რომ სოციალისტობა არ დაგწამონ? განა ამაზე შორს შეუძლია წავიდეს თავის მორალურ გახრწნაში სოც. დემ. პარტიას? როდესაც თქვენი სოციალისტობის დამალვა გიხდებათ, ჩვენ გვაქვს თუ არა უფლება ზურგი გიჩვენოთ თქვენ და ჩვენი სოციალისტობა არ გავხადოთ სავაჭრო საქმეთ? გვაქვს თუ არა უფლება ჩვენი სოციალისტობა გამოვიყენოთ სოციალისტურ მშენებლობის საქმეში?

„საქართველოს მთავრობა“ დაშნაკელების, სომხეთის „მთავრობასთან“ აწარმოებს მოლაპარაკებას მომავალ კეთილ მეზობლურ განწყობილების შესახებ და სრულიად უშვებს მხედველობიდან, რომ საზღვრების საკითხი აღარ წარმოადგენს საბჭოთა სინამდვილეში სისხლის ღვრის საკითხს.

როდესაც თქვენ ვერ მიაღწიეთ შეთანხმება დაშნაკელებთან არსებულ საზღვრების დაცვის საფუძველზე, ნიშნავს თუ არა ეს, რომ თქვენი გამარჯვების პირველ დღეებიდანვე სომხეთ-საქართველოს შორის საომარი მოქმედება დაიწყება? გვაქვს თუ არა უფლება ჩვენ, რომ ეს საკითხი მოგვარებულად ჩავსთვალოთ და თქვენს გამარჯვებას შევებრძოლოთ, ვინაიდგან თქვენი გამარჯვება მეზობელ რესპუბლიკებთან სისხლის მღვრელ ომებამდე მიგვიყვანდა? აქვს თუ არა უფლება მშრომელ საქართველოს, რომ უარი სთქვას ასეთ „თვალწარმტაც“ პერსპექტივაზე?

საქართველოში მენშევიკებს სჯეროდათ, რომ საზღვარგარეთ გაქცეული მენშევიკების ლიდერები შეთანხმებით მუშაობენ, მაგრამ როგორც გამოირკვა მრავალმა მსხვილმა ლიდერმა არ იცოდა მრავალი მსხვილი საიდუმლოება. როგორც გავიგეთ „მთავრობის“ თავმჯდომარეს ნდობით აღჭურვილი კაცი ჰყოლია, რომელიც მთავრობის და პარტიულ აზრის ფაქტიური დიქტატორია.

სადაური დემოკრატიული წესია, რომ ნ. რამიშვილის ხელში არის თავმოყრილი ყველა საბედისწერო საკითხები? არის თუ არა ერთპიროვნული ბატონობა პარტიაში? ნუ თუ დემოკრატია ლიდერებისათვისაც მიუწვდომელი არის? ნ. რამიშვილის დიქტატურა ნიშნავს თუ არა თქვენ გადაგვარებას და ფაშიზმის მეთოდების შეთვისებას? გვაქვს თუ არა უფლება, ზურგი უჩვენოთ „ერის სამსახურის“ ამგვარ მეთოდებს?

ემიგრაციაში მყოფმა მუშებმა და მშრომელმა ინტელიგენტებმა აშკარათ შეიგნეს, რომ პარიზში მობინადრე „მთავრობა“-მ ყოველგვარი პერსპექტივა დაკარგა და მიეშურება სამშობლოსაკენ.

რით აიხსნება, თუ არა სოც. დემ. პარტიის გახრწნის, რომ მუშები სტოვებენ ემიგრაციას, პარტიას, და მოეშურებიან კომუნისტურ სამშობლოში? არის თუ არა ეს ჩვენი უდიდესი გამარჯვება და თქვენი უსასტიკესი დამარცხება? რას ურჩევთ თქვენ ქართველ ხალხს და რა იმედებით სულდგმულობთ თქვენ?

საბოლოოთ ნება მომეცით მოგცეთ კიდევ ერთი საკითხი:

რამდენი ხანი არის მას შემდეგ, რაც თქვენ მართლმადიდებელ ეკლესიის ბედი გაინტერესებთ და რა კავშირი აქვს ამ დაინტერესებას მენშევიზმის სადღეისო იდეოლოგიასთან?

ზ. ჩახვაძე.

ჩვენი საქმიანობის საერთო შეფასება

კომპარტიის ცეკასთან არსებული ბიურო უკვე შეუდგა ყოფილ მენშევიკთა შორის განზრახული კამპანიის ჩატარებას. ამ მუშაობის ჩასატარებლათ, ეხლა ხელსაყრელი დროა, რადგან გლეხობა შედარებით თავისუფალია მინდვრის სამუშაოდან. ამ კამპანიის ჩატარების მიზანია—საფუძვლიანი შემოწმება, შეფასება და ერთგვარი ჯამის გაკეთება მთელი იმ მუშაობისა, რომელსაც აწარმოებენ ადგილებზე ამხანაგები ერთნახევარი წლის განმავლობაში.

შეფასება მისი, თუ რამდენათ არის შესრულებული და განხორციელებული ის დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანა და დავალება, რომელიც აიღო ახალ გზაზე დამდგარმა 12 ათასმა ყოფილმა სოც. დემ. პარიზიდან ნაკარნახევ და მოწყობილ აგვისტოს პროვოკაციის შემდეგ.

ამ კამპანიის დროს, ადგილებზე მომუშავე ამხანაგებმა, მოურიდებლათ და ღიათ უნდა აღნიშნონ ჩვენი მუშაობის სუსტი მხარეებიც, თუ კი აქვს ასეთს ადგილი, რათა შესაძლებელი გახდეს შემდეგისათვის მათი აცილება და გამოსწორება და უფრო ნაყოფიერი შედეგების მიღება.

საბჭოთა ხელის უფლებასთან განვლილ თანამშრომლობამ კიდევ უფრო მეტად დაგვარწმუნა იმაში, თუ რამდენათ შემცდარი, ყალბი და ტენდენციური იყო ჩვენი წარმოდგენა მასზე; მან არა თუ გაამართლა ის მოლოდინი, რომელიც იდეალათ გვქონდა მასთან მისვლის დროს, არამედ უაღრესი ნდობით და ამხანაგური გულწრფელობით შეხვდა ჩვენს ყოველგვარ ინციატივას სახელმწიფო - საზოგადოებრივ საქმიანობაში და ჩვენი მოვალეობაა, რომ მთელი ენერგია, შეგნება და ავტორიტეტი მივიტანოთ მასთან, რათა გამართლებულ იქნას საზოგადოების და ხელის უფლების მიერ გამოცხადებული ნდობა. უნდა სავსებით წავშალოთ ის გაუგებრობა თავის სამწუხარო შედეგებით, რომელსაც ჰქონდა ადგილი წარსულში ჩვენს შორის, მუშათა კლასის ერთი ოჯახის წევრთა შორის.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი მნიშვნელოვანი კითხვების საფუძვლიანად გარჩევას, როგორიც არის პროლეტარიატის დიქტატურის და ნაციონალური პოლიტიკის კითხვები. ამ კითხვებზე ფართე და ამომწურავი პასუხი უნდა გავცეთ ჩვენს კრებებზე.

განსაკუთრებულათ ფართოდ უნდა იქნას ეს კითხვები გაშუქებული საქართველოს მასშტაბით:—როგორი იყო საქ. სოც. დემ. ძველი შეხედულება მათზე და რამდენად ასცდა ის სწორ მარქსისტულ - რევოლიუციონურ - ინტერნაციონალურ გაგებას, იმ რეფორმებით“ რომლითაც მოინდომა საქ. დემოკრატიულმა მთავრობამ მათი გადაწყვეტა „დამოუკიდებლობის“ დროს.

გარკვეული უნდა იქნას, თუ საქ. სოც. დემ. თანდათანობით როგორ ეფლობოდა წვრილბურჟუაზიულ - შოვინისტურ ჭაობში საბჭოთა რუსეთთან დაპირდაპირების გამო.

ადგილებიდან მოსული ცნობები, ამ კამპანიის ირგვლივ გვეუბნებიან, რომ ყოფილ მენშევიკებთან ერთად უპარტიო საზოგადოებაც დიდის ხალისით ხვდება დაწყებულ კამპანიას. საჭიროა რაც შეიძლება მეტი შინაარსი იქნას შეტანილი მოხსენებებში, მეტი ფაქტიური მასალები იქნას მოყვანილი თვითეული დებულების დასასაბუთებლად, რათა სამუდამოთ აღიკვეთოს ყოველგვარი ნიადაგი საბჭოთა ხელისუფლების მტრების „საქმიანობისათვის“, რათა სავსებით განმტკიცდეს რწმენა და ერთგულება საბჭოთა საქართველოს მიმართ.

კ. ჭეიშვილი.

რედაქტორი კ. სულაქველიძე.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ბამბის თესლის ექსპორტი

ფოთი, 14 აგვისტო. ინგლისში წავიდა საბერძნეთის გემი „კონსტანტინ ლემოსი", რომელმაც, პურის საექსპორტო სააქციონერო საზოგადოების მიერ გაგზავნილი 2,500 ტონი ბამბის თესლი წაიღო.

დახმარება ინგლისელ მეშახტეებს

ფოთი, 14 აგვისტო. ფოთის პროფბიურო მეორეჯერ შეუდგა, ინგლისის სამთა-მადნო მუშების სასარგებლოდ ანარიცხების შეკრებას.

საზოგადო შენობა

ოზურგეთი, 14 აგვისტო. სოფ. ხევში დამთავრდა საზოგადო შენობის აგება, სადაც უკვე შესახლდენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. შენობა აგებულ იქნა გლეხების ხარჯზე.

დახმარება მებაღეებს

ოზურგეთი 14 აგვისტო. საკრედიტო ამხანაგობამ შეიძინა საბაღოსნო ხელსაწყოები, რომელიც მებაღე გლეხებს მიეცემათ შეღავათიან პირობებში.

თხილის დამზადება

ოზურგეთი, 14 აგვისტო. საბოლოოთ გამოირკვა, რომ თხილი, რომელსაც გურიის გლეხების სამეურნეო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მცირე რაოდენობით მოვიდა. მთაგორიან ზონის ზოგიერთ ადგილებში მოსავალი სრულებით არ იქნება. გურიის თხილი გააქვთ უმთავრესად რუსეთის ბაზარზე.

აფხაზეთი

სარიანის საქმე

სოხუმი, 14 აგვისტო. აფხაზეთის უზენაეს სასამართლოს უმაღლესმა კოლეგიამ, რომელსაც გადაეცა საკასაციო საჩივარი სარიანის საქმეზე, განაჩენი უცვლელად დასტოვა, სარიანს მოჯამაგირე მელიქიანის მოკვლისათვის გადაწყვეტილი ჰქონდა დახვრეტა.

ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტმა სარიანის თხოვნა პატიების შესახებ არ შეიწყნარა.

აფხაზეთის კომკავშირის საოლქო კომიტეტის პლენუმი

სოხუმი, 14 აგვისტო. დამთავრდა აფხაზეთის კომკავშირის საოლქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა გამოიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი ღარიბ, მოჯამაგირე და შინა-მრეწველობაში მომუშავე და აგრეთვე ეროვნულ უმცირესობიდან ახალგაზრდობის უფრო ინტენსიურად ჩასაბამათ კომკავშირის რიგებში.

დიდი ყურადღება მიექცა კომკავშირში ახალგაზრდა ქალების ჩაბმას და აგრეთვე კომკავშირელების მონაწილეობას კოოპერაციაში.

დასმული იყო საკითხი ახკორების მოძრაობის ხელმძღვანელობის და ახკორთა წრეების ორგანიზაციის შესახებ. უკანასკნელი საკითხი—ახკორების მოძრაობის შესახებ—სპეციალურად დაისვა კომკავშირის აგიტ-პროპების და კომიტეტების თათბირზე.

წერილები

ესაკიასა და ხათუნის აფთიაქი

(წირქვალის თ. შორ. მ.)

იყო და აღარ არის წირქვალის თემში საექიმო პუნქტი. უცდიან გლეხები, ელოდებიან, რომ როგორმე კვლავ გაიღოს ამ ორი თვის წინად მაგრად გადარაზული პუნქტის კარები და თან ცდილობენ ავათმყოფობას თავი მოარიდონ. „ღმერთი არ გაუწყრეს, კაცს არაფერი გადაეყაროს, არც ექიმი და არც წამალი წამლად არ მოიპოვება"-ო.

მაგრამ, მოგეხსენებათ, ავათმყოფობა დიდი უემური რამაა. სწორედ მაშინ შეგირჩევს დროს, როცა ყველაზე ნაკლებად ხარ მომზადებული მისი შესახვედრათ. შემოძვრება საიდგანღაც უხილავი, გაგიჯნდება ტანში და სად წახვალ? მიდი და არახუნე რამდენიც გინდა თავი დაკეტილ საექიმო პუნქტის კარებზე. ვინ არის შენი მშველელი?

მიდი ნუ წახვალ ამის შემდეგ ესაკიასა და ხათუნისთან. ან კიდევ უკეთესი, წასვლაც არ გინდა. ისე მოსპობილი და გადაშენებული როგორ იქნები, რომ ვინმე ახლო ნათესავი ან გულკეთილი მეზობელი არ გყავდეს. აფრინე ხელათ ესაკიასა და ხათუნისთან, მხოლოდ აზრით შეატყობინე შენი მდგომარეობა და უკვდავების წამალიც კარზე მოგივა.

აფთიაქი ესაკოს და ხათუნის თავისებური აქვთ. რეცეპტის წერაც კი არ სჭირდებათ, ჯერ ჩაფის წყალი, შემდეგ გალესილი ნახშირი, ზედ ან ქათმის ნაღველის წვენი, ან სხვა რამე მწარე ბალახი, შემდეგ წყლით შეაზავებს და ბორჯომის ბოთლი. ის არ გეგონოთ, ქალაქის აფთიაქებში ენის დასახელებელზე მეტს ხომ არ იძლევიან წამალს. ხათუნის წამალი სვი და სვი რამდენიც გინდა კვირიდან-კვირამდე. ოღონდ გვალვა არსად დადგეს და წყარო არ დაშრეს, თორემ ხათუნის აფთიაქს ვერც დარჩენილის დაკეტვა დააკლებს წამალს და ვერც ბოსფორის.

ასეთი გახლავთ, როგორც ესაკი და ხათუნი ამბობენ, ზაფრის წამალი. ხოლო გულის ან კუჭის ტკივილის საშუალება კიდევ სხვაა. ის უფრო ძვირად ფასობს, რადგან ვაცილებით ძვირი საშოვნია. საქმე ისაა, რომ ესაკიასა და ხათუნის მეზობლებს ძაღლები არ ჰყავთ. კაცს ზოგჯერ თავი ვერ ურჩენია, მოდი და შენ ძაღლის შენახვა მოსთხოვე დიდხანს ესაკი და ხათუნის მეზობელ სოფლებში დიდი სასოებით აგროვებენ კალათში ძაღლის განავალს. ასეთია გულის და კუჭის ტკივილის წამალის მთავარი ნედლი მასალა. თუ ზაფრის წამალი შავია, კუჭისა და გულის მოყვითალო ფერისაა.

ჩვენ აქ წერტილს დაუსვამთ. ისიც კმარა, რომ დავარღვიეთ ჩვეულება და ექიმბაშის ხელობის საიდუმლოება რამდენადმე გამოვააშკარავეთ. ალბათ იციო, რომ ექიმბაში მხოლოდ შვილს და ისიც სიკვდილის წინ თუ ასწავლის თავის ხელობას.

ამიტომ ვშიშობ ესაკიამ და ხათუნმა არ ამიძულონ. საექიმო პუნქტი დაკეტილია, რაღა მეშველება, რომ ზაფრა შემეყაროს?

ლაშისპირელი.

საგანგებო რწმუნებული იჭარისტანიდან

(ძველი-აბაშა, სენ. მაზრ.)

ამას წინად ძველ აბაშას ეწვია ორი უცხო ახალგაზრდა. ერთი მათგანი პორტფელით იღლიაში მძიმედ და დარბაისლურად მოალაჯებდა ფეხებს. მას ჩაჩქით მისდევდა უკან, რაღაც უცნაური ტვირთით დაზურგული მეორე ამხანაგი.

ძველი აბაშლები, ხომ მოგეხსენებათ, თავაზიანი და მორიდებული ხალხია.—საიდან მობრძანდებით, ჩემო ბატონო, ჰკითხა პორტფელიან სტუმარს ერთმა გლეხმა მოწიწებით, როცა უცხო სტუმარი თავის მხლებელით მხართეძოზე წამოწოლილი დაინახა ბეღლის ჩრდილში.

სტუმარმა ჯერ ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა. მერე თვითონ საყელო გაისწორა, პორტფელს ერთხელ კიდევ ხელი გადაუსვა და დინჯი ხმით დაიწყო: „მე აჭარისტანიდან გახლავართ, საგანგებო დავალებებით ვარ ჩამოსული ძველ აბაშაში". გლეხს სახეზე სიხარულის ღიმილმა გადაურბინა. ეს არის, მეშველა, ჩამოსულა თვითონ უმაღლესი მთავრობა, იცოცხლე მე დღეს დავაყენო ჩემ მტრებს და ორგულებს. ის იყო მან დაიწყო გრძელი საჩივარი საზღვრების შესახებ, მიწის მზომელზე, ალმასკომის უკანონო წარმოებაზე, ერთი სიტყვით ისე, როგორც ასეთი შემთხვევებს ხშირად ხდება ხოლმე. მაგრამ დახვდა გლეხის განცვიფრებას. პორტფელიანმა მას სიტყვა მაღლა გააწყვეტინა.

— ერთი მითხარით, ამხანაგო, წერკუმას შესახებ აქ რამე გაუგონია თუ არა ვინმეს?—სიტყვა ბანზე გადაუგდო მან გლეხს. „დამიფაროს, ბატონო, ღმერთმა ეგ რაღაც ეშმაკია—იყო პასუხი.—მაშ, რახან აგრეა, უკვე მუქარის კილოთი წარმოსთქვა პორტფელიანმა, ჯერ ეს პლაკატები და ლიტერატურა შეიძინე. შენს საქმეზე ლაპარაკს ყოველთვის მოვესწრებით.

თვალის დახამხამებაში მოხსნა თავი ხონჩას პორტფელიანის მხლებელმა და გლეხის წინაშე ათასნაირი პლაკატები და ფერადი წიგნაკები გადმოალაგა. გლეხი პირველად შედრკა. ცოტა არ იყოს ფასებიც ეუცხოვა. მაგრამ უცხო კაცს და ისიც პორტფელიანს, ისიც ასე შორიდან საგანგებოდ ჩამოსულს, ხათრი ვერ გაუტეხა. რამდენიმე წიგნაკი და ერთი პლაკატი შეიძინა.

უცხო სტუმრებიც მარდად წამოდგენ, ტანისამოსი დაიფერთხეს და განაგრძეს გზა სხვებისაკენ. წინ ვიღაცეები შეხვდენ და მოახსენეს: "წერკუმის დამხმარე საზოგადოება ჩვენ თვითონ გვაქვს, თუ რამე გაგაჩნია ბარემ იქ მიგიტანთ"-ო. მაგრამ პორტფელიანი, საგანგებო რწმუნებული, თავისას არ იშლიდა. „თქვენი წერკუმისა აბაშისა, ჩემი კიდევ აჭარისტანის, თუ თქვენ გული შეგტკივათ ხალხის კეთილდღეობაზე, არ უნდა აუმიდგეთ წინ, ჩემი საგანგებო, უაღრესი მნიშვნელობის დავალების შესრულების დროს. ეს დიდი ამოცანები, ამხანაგებო, ჩვენ წინაშე დასახა დიდმა ოქტომბრის რევოლიუციამ".

„თქვენი მანდატი, ამხანაგო," შეაწყვეტინეს გატაცებულ მოქალაქეს სიტყვა, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო. ორატორმა წამსვე მოსვრა ლაპარაკი და ხელები პატიოსან კაცივით ჯიბეებში წაიღო. ბევრი იქექა ქებდა. ბოლოს ამოიღო რაღაც ნაფლეთი ქაღალდი; „ჭავჭანიძე ვლადიმერ"-ო, პორტფელიან სტუმრის გვარი.

ვინ იცის ამ ჭავჭანიძემ რამდენ სოფლებში იჭაპანა, როგორც „საგანგებო რწმუნებულმა" და აბრიყვა საქმის არ მცოდნე ხალხი. ეხლა სად დაჭჰქანობს ვლადიმერ ჭავჭანიძე? ყოველ შემთხვევაში მილიციას მისთვის პასპორტი არ მოუთხოვია. იმიტეც მადლობა მილიციას, რომ მან „საგანგებო რწმუნებულს" საგანგებო შეხვედრა არ მოუწყო.

პერო.

მოსამართლეს არ შეშვენის

(ს. ვაკეჯვარი, გურია)

ამჟამად ყველანი და ყველგან მეშჯირნეობაზე ლაპარაკობენ და, რამდენადაც მოსახერხებელია ცხოვრებაშიც ატარებენ მას. თუ მეშჯირნეობა საჭიროა ქალაქში, არა ნაკლებ საჭიროა ის სოფლად—გლეხობაში. მოვიყვან ერთ მაგალითს.

ვაკეჯვრის მცხოვრებმა, ქიშვარდი გიორგაძემ, (ყოფილმა მამასახლისმა, ამჟამად კი ვაჭარმა და სასტუმროს პატრონმა იმავე ვაკეჯვარში) მოუსპო სარწყავი წყლით სარგებლობა ძმებს ივანე და სიმონ მდინარაძეებს. უკანასკნელებმა გაასაჩივრეს ეს საქმე და დვაბზუბაზის რაიონის სახალხო მოსამართლემ ამა წლის 12 თებერვალს გადაწყვეტილებით მდინარაძეების უფლების აღდგენა სამართლიანად სცნო. სასამართლოს აღმასრულებელმა საქმე რაღაც მიზეზით არ შეასრულა და სთხოვა სახალხო მოსამართლეს სარწყავი არხის პირადათ დათვალიერება.

28 ივნისს, ქიშვ. გიორგაძემ თითონ მოიყვანა სახ. მოსამართლე ადგილობრივ დასათვალიერებლად და მოწმეების დასაკითხავად, მაგრამ ამის შესახებ მდინარაძეებს არა იცოდენ რა, რის გამო საქმე გადაიდო. საპატივსაცემოდ გიორგაძემ სტუმრებს მისი სიძისას გაუმართა სადილი ხაჭაპურებით, სადაც რამოდენიმე საათი დაჰყო მოსამართლემ თავის მხლებლებით. იმ დროს როცა ასეთი გამოსაძიებელ-დასათვალიერებელი საქმეები რამოდენიმე ქონდა იმავე დღეს და მომჩივან-მოპასუხენი თავიანთი მოწმეებით ორშაბათის მშვენიერ სამუშაო დღეს უსარგებლოდ ელოდებოდენ მას. წყალის უქონლობის მიზეზით მდინარაძეებმა საყანე ვერ დათესეს.

ამრიგად, ყანა-ყანად მოცდა და გლეხებმაც დაჰკარგეს 2½ საათი მოსამართლის ლოდინში. რამდენად დასაშვებია ეს?

მუშა—მემწკრივე.

ჩარიგება აგვიკლო

(ყაზბეგი, დუშეთის მაზრა)

„მე თვალებ დასაბრმავებო, შვიდი შაური რამ მიგაცემია ამ პატარა კვერ საპონში. აკი გითხარი „წარმოკავშირში" იყიდე მეთქი, ორა ზომა რათ მიეცი შენ მოსაკვდომო".

ასე გაბრაზებული დასჭყიოდა ქვრივი დედაკაცი თავის შვილს. ბავში კი ხმას ვერ იღებდა დედის შიშით და თავის გულში სულ მედუქნეს აგინებდა, რომელმაც აბაზიან საპონში შვიდი შაური გამოართვა.

ბევრი ასეთი ამბები მოუხდენიათ ჩვენს სოფელში კერძო მოვაჭრეებს, რომელნიც საცხოვლთ არიან მორთულ-მოკაზმულნი. შიგნით რომ შეხვიდეთ თვალები გაგიჭრელდებათ. თაროზე ნაირ-ნაირი ფერის ქაღალდები, ყველა სორტის პაპიროსები, შავი, წითელი და მწვანე ღვინო, კაი საუზმეულობა, ჰაჭის არაყი და რა გინდა.

ყველა ეს იტაცებს გლეხის გულს და აქვს თუ არა, უკანასკნელ შაურს აქ ხარჯავს.

ყაზბეგის თემი შესდგება 24 სოფლისაგან, მაგრამ კოოპერატივი კი არც ერთ სოფელში არ არსებობს, გარდა მეცხვარეთა ამხანაგობისა, რომელსაც უკავია მეცხვარეებთან უფრო მჭიდრო კავშირი.

ამასობაში სოფელს ტყავი სძვრება.

სალამური.

ტყვეთ ლეკებთან

(ს. საქობო, სიღნ. მ.)

არც ასეთი უხეში ძალმომრეობა ვარგა. მიმდინარე წლის 1 მაისს ალაზან გაღმა, საქობოს თემის კუთვნილ წითელ გორის მინდვრებზე ზაქათალის ოლქის ლეკებმა ძალით დაიჭირეს და ტყვედ წაიყვანეს საქობოს თემის მცხოვრები მეძროხე ბიჭები: გიო მოლაშვილი, ილა ალადაშვილი და ალექსა ბაგალიშვილი. ისინი დღესაც ზაქათალას არიან დაპატიმრებულნი. ამ ბიჭების პატრონებმა ჯერ ადგილობრივ სიღნაღის ხელისუფლებას შეაწუხეს თხოვნით. ახლა ცენტრს მიმართეს თბილისში. იხდიდაც ღარიბი გლეხები ამ სიარულში მოიღალნენ, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

მეძროხე ბიჭების დაჭერის მიზეზი შემდეგი იყო. ლეკებს წასულ წლებში საქობოს კუთვნილ წითელ გორის მინდორში ძალით დაუჭირიათ ძროხის ბინები. ვიღაცას ეს ბინები დაუწვავს. აი მათაც ამ მიზნით დაიჭირეს მეძროხე ბიჭები: ან დამწველნი მოგვეცით, ან თქვენ უნდა ჰზღოთ ეს ბინებიო, თუ არა და არ გაგიშვებთო.

ნათქვამია ოსმალეთში ძაღლმა კაცი დაგლიჯა და აბაზე კახეთის ძაღლებს ჰხოცავდნო. არც ასეთი თავგასულობა და ძალმომრეობა ვარგა. ეს საქციელი უძველეს დროის საქციელს მოგვაგონებს. დღეს კი ესეთი ძალმომრეობა დაუშვებელია. იმედია ამ წერილს უმაღლესი მთავრობა დროზე ანგარიშს გაუწევს და რიგი იქნება ამ ტყვეების განთავისუფლებას.

ბოდბელი გლეხი.

წერილებიდან

ს. ანაგა (სიღ. მ.)

დღევ გადი, ალოვ გამოდი, ჩერვონცებო გადმოგორდი. ინჟ. ვ. იეკიმოვმა ჯერ კიდევ ამ წლის შუა მაისიდან ს. ანაგის სახალხო სახლის წინ გზატკეცილის შეკეთება დაიწყო რომელიც დღესაც არ არის დასრულებული. ან და რას უნდა უჩქაროს? ჯამაგირს უმაღლესი განაკვეთით იღებს. „დღეო გადი, ალოვ გამოდი, ჩერვონცებო გადმოგორდიო". სწორედ ეს არის.

შეურმე გლეხი.

მუშათა ცხოვრება

რატომ არიან ეს მუშები უკმაყოფილო?

(საქონლის სადგურის მუშების ცხოვრებიდან)

თითქმის 25 წელიწადია, რაც ამ დარგს ვიცნობ და ამ დარგში ვტრიალობ. მაგრამ ასეთი შრომის პირობები არასოდეს არ ყოფილა აქ მუშებისთვის, როგორც შექმნა ა.-კ. სააქც. საზოგადოება „ზაკოგრუზ"-მა.

ბევრი მოიჯარადრეები გამოგვიცვლია, არტელიც ბევრჯერ გვქონია, რკ. გზის ხელშიაც ვყოფილვართ, ცენტროტრამოტისაც და ბოლოს „პოგრუზბიუროს" ხელშიაც ვიყავით, მაგრამ ასეთი ექსპლოატაციას, უხეშ მოპყრობას და შრომის კანონების ასეთ დარღვევას ადგილი არასოდეს არ ჰქონია.

როგორც მოეპრიანება ამ ჩვენს „ხაზეინებს", ისე გააქვთ ლელო. თუ ვინმე ჩვენგანმა გაბედა და ამ უსამართლობის წინააღმდეგ ხმა ამოიღო, მაშინვე დაფაცურდებიან და ასტეხენ ერთ აურ-ზაურს: „არიქა უშველეთ, „ზაკოგრუზ"-ი იღუპება! მოგვიშორეთ ესა, თუ ის პირი, თორემ „ზაკოგრუზ"-ი, დაიშლება და არტელი ამოიცინდებაო. ეს უბედურება სულ ამ არტელის მომზრეების ბრალია, თუ არა სხვა დარგებთან შედარებით, ჩვენთან ბედნიერება გამეფებულიო!"

აი, ასე აჯერებენ ჩვენ უფროს ამხანაგებს და ისეც იძულებულ გვხდიან გაჩუმებული უცქიროთ ამ გარემოებას.

მე მგონია, რომ ამ გარემოებას უნდა მიაქციონ ყურადღება აუცილებლივ სათანადო ორგანოებმა და შრომის ინსპექტორმა, სანამ გვიან არ არის, და იხსნას ჩვენი მუშები ამ უმწეო მდგომარეობიდან. მათმა ასეთმა მოქმედებამ პრესტიჟი დასცა, როგორც ადგილობრივი კომიტეტის, ისე პროფესიონალური კავშირისაც.

რატომ ყურადღებას არ გვაქცევენო, ამბობენ მუშები. იმათ ასე ჰგონიათ, რომ ყველაფერი ჩვენი ბრალია, თორემ ისინი ამას ვერ გაბედავენო.

ვინ იცის, თუ რამდენ-ნაირ ხრიკებს მიმართავენ, რომ როგორმე ექსპლოატაცია მოახდინონ მუშების ზურგზე. არის ხშირი შემთხვევა, რომ დღეში ათ-თორმეტ საათს ამუშავებენ; არც კვირა-უქმე დღეების მუშაობის ჯილდოს უწერენ მათ ხშირად. აძლევენ მხოლოდ 15 ან 20 პროცენტს დატვირთვისას.

როცა საქმე საკონფლიქტოდ გადავა, მოწერილობა აქვთ დაგზავნილი თავიანთ რწმუნებულებზე ასეთ შინაარსით: „არავითარ შემთხვევაში არ დასთანხმდეთ მუშათა ფრაქციას და საქმე გადაიტანეთ შრომის კომისარიატში საკონფლიქტოთ!". როცა კი საქმე გადადის შრომის კომისარიატში, იქ ასე ეუბნებიან: „ჩვენ მათ დატვირთვისას ვაძლევთ და რა შუაშია აქ საათების მოთხოვნაო!". ასე იმართლებენ თავს და ბოროტად ხმარობენ დატვირთვის პროცენტების საკითხების შესახებ გამოცემულ კანონს.

დატვირთვა სულაც არ გულისხმობს იმას, რომ დღეში სისტემატიურად თორმეტ-თუთხმეტი საათი ამუშაო მუშა, არც კვირა-უქმე დაასვენო იგი და 15 ან 20 პროცენტი დატვირთვის მისცე.

თუ ადმინისტრაციას ამის წინააღმდეგ რამის ეტყვი, იგი გაგიგულისდება და მაშინათვე გეტყვის: შენ, ამხანაგო, იმიტომ ამბობ ასე, რომ „ზაკოგრუზს" დანგრევა გინდაო!

ასე უხეშად და უდიერად ისტუმრებენ პროფკავშირების წარმომადგენლებს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ უმწეო მდგომარეობას მიექცევა ჯეროვანი ყურადღება და მიღებული იქნება სათანადო ზომები დამნაშავეთა ასალაგმავად.

იმავე დარგის მუშა ვ. გარეჯელი.

ეს ადგილკომი მუშების წინააღმდეგ ილაშქრებს

ორთაჭალის პირველ და მეორე საბჭოთა მამულში მუშაობს 35 კაცი. მათ ჰყავთ არჩეული ადგილობრივ კომიტეტში 5 კაცი. მათ შორის ერთი არის პასუხისმგებელი მდივანი. ამ ადგილკომთან მიმაგრებული არიან თბილისის გარშემო მდებარე ბაღებში მომუშავე მოჯამაგირეები და მუშები. ამ ბოლო დროს ადგილობრივ მუშათა შორის უთანხმოებამ იჩინა თავი. მას მოსასპობად ადგილკომმა ზომები არ მიიღო, პირიქით მან ხელი შეუწყო ამ უთანხმოებას.

ამ გარემოების გამოსარკვევად და ადგილკომის მუშაობის შესახებ მოსმენილი იქნა მოხსენება. კამათის დროს ადგილკომის ერთ-ერთ წევრმა მუშების ერთ ჯგუფს გვიწოდა შავრაზმელები, რაც ჩვენი მოთხოვნით უნდა ყოფილიყო ოქმში შეტანილი ადგილკომის მოხსენების გარშემო კამათის შემდეგ.

კენჭის ყრის დროს კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა: ადგილკომის მუშაობა დამაკმაყოფილებელი არის თუ არა. ერთი ხმის უმეტესობით ადგილკომის მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად წინააღმდეგ 17-ისა. ამ 18 კაცში ურევია ადგილკომის შემადგენლობაც.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ კავშირის პრეზიდიუმი მიაქცევდა ყურადღებას და ეს საკითხი გადატანილი იქნებოდა საზოგადო კრებაზე. მაგრამ ეს დღემდის არ მომხდარა. ამიტომ ვთხოვთ მიწა-ტყის კავშირს აგვიხსნას, თუ რამდენადაც მისაღებია 35 კაცში 18 კაცის ხმა და ისიც ადგილკომის შემადგენლობით.

ვინაიდან ეს კრება ჩვენ არ მივაჩნია კანონიერად. ამისათვის ვსთხოვთ მიწა-ტყის კავშ. პრეზიდიუმს მოიწვიოს კანონიერი კრება და მოგვცეს საშუალება ადგილკომიდან გავცოცხოთ უღირსი პირები.

მუშა მ. ქაჯაია.

ნუ დაარღვევინებთ შრომის კანონებს

(წერილი სად. გორიდან)

სად. გორის წყალ-სადენთ ქარხნის კანტორის გამგედ იმყოფება **მოქ. დედანიშვილი,** რომელიც ღებულობს ჯამაგირს მე-16-ე თანრიგით და მის გარდა ის ღებულობს „დატვირთვის"-ს პროცენტებსაც, რაც მას ვალდებულად ხდის იმუშაოს განუსაზღვრელი დროის განმავლობაში—დღეც და ღამეც თუ კი საჭირო იქნება. ის ასეც იქცევა. მაგრამ, მარტო კი არა, ის ზედმეტ საათებში მუშაობაში იტრევს სხვა კანტორის მოხელეებსაც, რომლებიც ვალდებულნი არიან იმუშაონ დღეში 6—8 საათი და ამ დღე სიცხეების დროს მუშაობენ ღამის ცხრა და ათ საათამდე და გამგეს ვერ უბედავენ, რომ მათ ესაჭიროებათ დასვენება.

ეს მდგომარეობა გაგებული აქვთ ამავე ქარხანაში მომუშავე ადგილკომის წევრებს, მაგრამ უჯერებენ მოქ. დედანიშვილის სიტყვებს: **„წარმოება უნდა ავწიოთ"**-ო ან და **„დღე ვერ ვასწრებთ საქმის გაკეთებას და ამიტომ საღამოობით ვმუშაობთ"**-ო.

აქ გასაკვირველი ის არის, რომ ამის მთქმელი კანტორის გამგე კიდევ შტატს აძლევს პროფ-ორგანოებთან შეუთანხმებლად ვითომ და მომჭირნეობის რეჟიმის მიხედვით.

მოქ. დედანიშვილს აქვს კიდევ სხვა ნაკლიც. ჩვენ ვიცით, რომ ამ შემთხვევაში, თუ რომელიმე მუშა ასრულებს სხვის სამუშაოს, რომელიც მეტი თანრიგით იღებს ხელფასს, მას ერგება განსხვავება, კანტორის გამგე კი ზოგს აძლევს ასეთს და ზოგს კი ეუბნება წარმოებას შეწირეო.

ამას გარდა, ერთმა მუშამ ზ. ნონიკაშვილმა აპრილში შპალების ზიდვის დროს (მოტეხა) გაიფუჭა ხელი. ერთი თვის წამლობის შემდეგ ის დაბრუნდა წარმოებაში და იქნა დანიშნული დარაჯად. ამ მუშას ერგებოდა ერთი თვის ჯამაგირი, რადგანაც მან იმუშავა თავის ავადმყოფობის შემდეგ. ის ამას დაჟინებით მოითხოვდა, მაგრამ ჩვენი გამგე კი მას სხვა სიტყვებით ისტუმრებდა: „გაუგებარი!" და სხვა. მხოლოდ ადგილკომის დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ მან ძლივსღა მიიღო კუთვნილი ხელფასი. და ისიც ღამის ცხრა საათზე გამოუწერეს ჩეკი და შუაღამისას მუშა დარბოდა სადგურზე ფულის მისაღებად, რომელიც მან მიიღო მხოლოდ მესამე დღეს.

ეს ასე არ უნდა ხდებოდეს.

შრომის კანონების დარღვევას საზღვარი უნდა დაედეს.

მუშა შვალი.

ექიმობა თუ შეუწყნარებელი ექიმბაშობა

ძობდა წამლობას ექ. ა აიწმიხსუვოზგ კსასსს

11 იანვარს 1926 წელს მოქ. **ასპისოვმა,** რომელიც ირიცხება სმენის და საყნოსავ ორგანოთა კლინიკის გამგედ, გაუკეთა მნიშვნელოვანი ოპერაცია თბილისის სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმის მოწაფეს—მუშის შვილს, **ი. კოტეტიშვილს,** რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ იგი გამოწერილი საავადმყოფოდან და განაგრძობდა წამლობას ექ. **ასპისოვის** ბინაზე, თვით ექ. ასპასოვის სიტყვით ყმაწვილი ამ ოპერაციის შემდეგ ჩქარა უნდა მორჩენილიყო. მაგრამ გაიარა 1½ თვემ და ავადმყოფმა თავი უფრო ცუდად იგრძნო, რადგანაც საშინლად დაუწყო მას ცხვირის ლორწიანის გარსის და თავის ტკივილი. ჭრილობის დიდი ყურადღებით გასინჯვის შემდეგ, ექ. ასპისოვმა ჭრილობიდან ამოუღო ოპერაციის დროს ჩარჩენილი მარლა. ამის შემდეგ გაიარა კიდევ 1½ თვემ. ავადმყოფმა კი დაატყო თავის თავს უარესობა. ვერც რენტგენის სხივებმა, ვერც ექიმების კონსილიუმებმა ვერ გამოარკვიეს მიზეზი ამ ტკივილების. ხოლო ავადმყოფი თავს უფრო და უფრო ცუდათ გრძნობდა. ამასთახავე ავადმყოფი გნაგრძობს ექ. ასპისოვთან ვიზიტებს. უკანასკნელი აღმოაჩენს კიდევ მარლის ნაჭერს ჭრილობაში.

ავადმყოფი გახარებულია, ფიქრობს, რომ ეხლა კი მორჩა სრულიად და განაგრძობს ჭრილობის გაწორიცხვას ექ. ასპისოვის ბინაზე. გადის კიდევ სამი თვე და ავადმყოფი ისმენს ექ. ასპისოვისაგან შემდეგ დარიგებას: თქვენ სრულიად განიკურნეთ და წამლობას აღარ საჭიროებთ, ეხლა შეგიძლიანთ სადმე სააგარაკოდ წახვიდეთ, რადგანაც თქვენთვის აუცილებელია დასვენება ასე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგო. ეს დარიგება ბავშვს მიეცა 6-თვის შემდეგ დღიდან ოპერაციისა. მაგრამ 7 ივლისს ავადმყოფს დაუწყო ისევ ჯოჯოხეთური ტკივილები თავში და ამიტომ მშობლების სახლში არ ყოფნის გამო მეზობლებმა გადაწყვიტეს ავადმყოფის წაყვანა სხვა ექიმთან. ავადმყოფს კვლავ აღმოაჩნდა მარლის ნაჭერი, რომელიც იყო ჩარჩენილი 6 თვის განმავლობაში. შემდეგ ავადმყოფმა დაიწყო სიარული ექ. ჯაფარიძესთან, რომელთანაც იგი განაგრძობს სიარულს.

ექიმ ასპისოვის ასეთი „ექიმობა" საჭიროა გამოძიებულ იქნეს სათანადო ორგანოების მიერ და მას მოეთხოვოს ღირსეული პასუხი. აგრეთვე მას უნდა გადახდეს ყველა ის ხარჯები, რაც გასწიეს ღარიბ მუშა-მშობლებმა აღნიშნულ ავადმყოფის მკურნალობისათვის.

სტამბის მუშა დ. კოტეტიშვილი.

მოლარეა თუ თავმჯდომარე?

დამზღვევ სალაროს თავმჯდომარე იმისთვის ჰყავს, რომ დამზღვევ საქმის ხელმძღვანელობა მას ეკისრება. ის არა თუ განაგებს ფულის გაცემის საქმეს, არამედ საქმის თავი და ბოლო თავმჯდომარეა.

სენაკის დამზღვ. სალაროში კი ასე როდია. თავმჯდომარე ამხ. ლ. კარტოზია, როგორც ამას სალაროს თანამშრომლები გამომგვიცხადეს, გადაქცეულა უბრალო მოლარედ და თითქმის თავმჯდომარის საქმეებს აკეთებს მდივანი ჰეჩინაძე.

ასე რომ მიხვედილი რომ შემოდის დამზღვევ სალაროში, ჰეჩინაძე ჰგონია თავმჯდომარე, ხოლო ნამდვილი თავმჯდომარე კი მოლოდ—მოლარე.

ამიტომ არის თურმე ჰეჩინაძესთან რომ საქმეს მოათავებენ, მოლარეს ეძებენ, ე. ი. „თავმჯდომარეს".

რა არის ეს?

ნუ თუ ლ. კარტოზიას არ შესწევს იმდენი გამბედაობა, ცოდნა და გამოცდილება, რომ თავისი სახელწოდება თავმჯდომარისა მხოლოდ სახელით არ ატაროს, არამედ უჩვენოს მასას, რომ თავმჯდომარე ის არის და არა კ. ჰეჩინაძე?..

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთებით ის აღჭურვილი არის, მაგრამ ვერ ახერხებს ამ მდგომარეობიდან გამოსვლას.

ბოლოს-და-ბოლოს ეს დაუშვებელია!.. თავმჯდომარე—თავმჯდომარე უნდა იყოს და არა მოლარე!

დაზღვეული მასსა მას ენდობა და უნდა ეცადოს შეასრულოს თანამდებობა ისე, როგორც საჭიროა და რომელზედაც არჩეულია.

ბანი.

გამოგზავნილ წერილებიდან

— **შოფერთა თავგასულობას საზღვარი უნდა დაედვას**. თუ ერთი ნაწილი მუშა მოსამსახურეებისა მეტისმეტი თავდადებული და მოყაითია მოვალეობის ასრულებაში, მეორე ნაწილი კი იჩენს შესამჩნევ დაუდევრობას და თავხედობას. ავიღოთ მაგალითისათვის რა მდგომარეობაშია რაჭა-ლეჩხუმის გზაზე ავტომობილებით მიმოსვლა. წარსულ დღეებში ავტომობილი № 181, რომელსაც მართავდა შოფერი ოქროიძე და ინსტრუქტორი სანებლიძე, სავსე იყო მგზავრებით, რომელთაც ჰყავდათ ძუძუმწოვარა ბავშვებიც. შოფერი დაპირდა მგზავრებს, რომ ქუთაისში ადრე ჩაიყვანდა. მაგრამ მოქეიფე შოფერებს როგორ შეეძლოთ დაპირების შესრულება. სადაც პატარა დუქანს დაინახავდენ ისინი თუნდა ერთი ბოთლიც მდგარიყო შიგ, აჩერებდეს ავტომობილს და არღნის ხმაზე ძღებოდენ ღვინით. მთვრალმა შოფერებმა ავტომობილი გადააბრუნეს კიდეც საფრთხილო ადგილას, თუმცა შემთხვევით უმსხვერპლოდ გადარჩნ. სამაგიეროდ მგზავრთა ყვირილ-ტირილი და შეწუხების საზღვარი არ იყო—ეს პირველი შემთხვევა არ არის.

საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები ლოთ შოფერების ასალაგმავად.

ყორანა.

— **რა დააშავა ამ მუშამ.** მტკვრის მე-3 პოსტზე ვერის ხიდთან მაშველად 1904 წლიდან მსახურობდა ამხ. სიკო ბატიაშვილი, რომელსაც დამსახურებისთვის საჩუქარიც კი ჰქონდა მიღებული. ამხ. ბატიაშვილთან თანაშემწედ მსახურობდა კარპოვი, რომლის სიკვდილის შემდეგ ახალი ამხანაგი აღარ დაუნიშნავთ. ერთი კაცის მუშაობა ძნელია, ან სასადილოში უნდა წასვლა, ან ფულის ასაღებად, ან კრებაზე და ასეც მოხდა. როცა ამხ. ბატიაშვილი ადგილკომში კრებაზე იყო, მოხდა მოქ. ქოროღლიშვილის გადავარდნა მტკვარში და დაიხრჩო. ერთი დღის მოვიდა ამხ. ბატიაშვილთან ექიმი არჩაკ მანუკიანი და აუხსნა, თუ როგორ იხმარება წამლები გარეგებების დროს.

ბატიაშვილმა ექიმს შეკითხვა მისცა, რომ ვერის ხიდიდან გადავარდნილი კაცი ვარანცოვის ხიდთან, რომ ამოვიყვანო, როგორ უნდა მოვეხმარო წამლით, თან ხომ ვერ წავიღებო". ექიმი ამ სიტყვებისთვის გასწყრა და დაიჩივლა სამსახურიდან მოხსნეს, რაც სირცხვილში მოიყვანა კიდეც.

იმედია, ალმასკომი ამას ყურადღებას მიაქცევს და ძველ მუშას დაუბრუნებს თავის ადგილს.

მოწ. ას ამწყობი.

მუშათა ქრონიკა

— **შეშა მუშებს.** თბილისის საუბნო პროფკავშირმა შუამდგომლობა აღძრა სამმართველოს წინაშე, რათა მუშებს დაურიგდეთ ერთი მეოთხედი საჟენი შეშა ნისიათ.

— **სიმულიანტის აღმოსაფხვრელად** ა.-კ. რკ. გზ. დამზღვევმა სალარომ მიმართა საუბნო სალაროებთან გამოყოფილ რწმუნებულ ექიმებს აწარმოონ დაკვირვება ხანგრძლივ მოავადმყოფო მუშებზე.

— **აღრიცხვა.** რკ. გზ. დამზღვევმა სალარომ მიმართა საუბნო სალაროებს აწარმოონ თვეობით მუშების აღრიცხვა.

— **კამპანია.** ბათომის საუბნო პროფკავშირმა დაადგინა ჩაატაროს კამპანია კოოპერაციის წევრებათ ჩასაწერათ.

— **მუშფაკში.** ბათომის საუბნო პროფკავშირმა მოსკოვის მუშფაკში სტიპენდიით მიავლინა ერთი მსმენელი.

— **სპეცტანისამოსი.** ა.-კ. სავაზო კომიტეტმა მიმართა ადმინისტრაციას დაუყონებლივ მისცეს მუშებს 1926 წლის კუთვნილი სპეცტანისამოსი.

პროფკავშირებში

ადგილობრივ ბიუჯეტის შედგენაში პროფკავშირის მონაწილეობის მიღების შესახებ

სრულიად რუსეთის ცენტრალური და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოების უკანასკნელი პლენუმებმა და ა.-კ. პროფკავშირთა საბჭოს უკანასკნელი სატარიფო თათბირმა თავიანთ რეზოლიუციებში პროფკავშირების განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ადგილობრივ ბიუჯეტის შედგენის საქმეში აქტიურ მონაწილეობის მიღებაზე. ამ საკითხის ირგვლივ ადგილებს უკვე მიცემული აქვთ სათანადო დირექტივები, მაგრამ საქართველოს საბჭოთა და საავჭროთა კავშირის 9 მაზრის და საოლქო განყოფილებების ახლო წარსულში დასრულებულმა გამოკვლევებმა დაგვანახვეს, რომ ზოგიერთი მაზრგანყოფილებები ჯერ კიდევ არავითარ ზომებს არ ღებულობდენ ამ დარგში. მეორე მხრით ჩვენ გვაქვს ხელისუფლების ზოგიერთი ადგილობრივი ორგანოების წინააღმდეგობა წარსული წლის განმავლობაში, რომლებიც არა საჭიროდ სცნობენ ადგილობრივ ბიუჯეტის შედგენაში პროფკავშირების მონაწილეობის მიღებას, ჩვენ თვითონ შევსძლებთ ამასო.

რამდენადაც ამჟამად ადგილებზე უკვე დაწყებულია ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა, იმიტომ პროფკავშირები ეხლავე უნდა შეუდგენ ხსენებულ მუშაობას.

ამასთანავე ერთად საჭიროა ბრძოლა იმ ორგანოებთან და კერძო ამხანაგებთან, რომელნიც უარყოფენ ადგილობრივ ბიუჯეტის შედგენაში პროფკავშირების მონაწილეობის მიღებას.

ყოველ თვითეულ ასეთ შემთხვევებში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართვ. პროფკავშირთა საბჭოს და ც. გამგეობებს სათანადო ზომების მისაღებად.

აუცილებლად საჭიროა ფინსახკომმა და სათანადო ორგანოებმა დაუყოვნებლივ გასცენ დირექტივები, რომ ადგილებზე საბიუჯეტო მუშაობაში ჩაბმული იქნენ პროფკავშირები.

წარსულ საბიუჯეტო მუშაობაში ზოგიერთ მაზრგანყოფილებებში ბიუჯეტის შედგენაში პროფკავშირები მონაწილეობას არ ღებულობდენ, რის გამო ბიუჯეტით არ იყო გათვალისწინებული ზოგიერთი საჭირო ხარჯები, როგორც მაგ. ზედმეტი მუშაობა, კომპენსაცია შვებულებით უსარგებლობის გამო და სხვა.

ამის გამო ჩვენ გვაქვს მთელი რიგი კონფლიქტებისა და უკმაყოფილებანი მუშა-მოსამსახურეთა შორის, ვინაიდან მათი კანონიერი მოთხოვნილებანი არ კმაყოფილდებოდა ამა თუ იმ ორგანოს მიერ ადგილებზე ბიუჯეტის გასავლის ნაწილში სათანადო პარაგრაფების უქონლობის გამო.

იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული და არ განმეორდეს წასული ისტორია, თანახმად ა.-კ. სატარიფო თათბირის რეზოლიუციისა, აუცილებელია ბიუჯეტის გასავალის ნაწილში შეტანილ იქნეს ანაზღაურება შვებულების კომპენსაციისა, შრომის განსაკუთრებული პირობებით გამოწვეული საჭირო ზედმეტი მუშაობისა, სპეცტანისამოსის შეტანა, ადგილკომების შესანახი და პროფკავშირების კულტ-მუშაობა და აგრეთვე ქვედა-საბჭოთა აპარატების ამორჩეულ მუშაკების სოცდაზღვევა (ესე იგი სოფლის საბჭოების თავმჯდომარეებს, თემადგილკომების თავმჯდომარეებს და მდივნებს), რომელთა არსებობის საშუალებას შეადგენს მხოლოდ ხელფასი.

თანახმად ს. პ. კ. ს. უკანასკნელი პლენუმის დადგენილებისა და ა.-კ. სატარიფო თათბირისა, ბიუჯეტის შედგენის დროს მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასი გათანაბრებული უნდა იყოს არა ნაკლებ სახელმწიფო მინიმუმის მიხედვით და აგრეთვე შესაძლებლობისდა გვარად წაწეული უნდა იქნეს ხელფასი უფრო მეტად ჩამორჩენილ ჯგუფების მუშაკებისა, მილიციის, საბჭოთა მუშაკების და მასწავლებლების.

აი ძირითადი მომენტები, რომელიც გატარებულ უნდა იქნეს ცხოვრებაში პროფკავშირების მიერ ადგილებზე ადგილობრივ ბიუჯეტის შედგენის დროს.

ნ. ღლონტი.

პროფმუშაობის ქრონიკა

რკ. გზის პროფკავშირებში

— **სახლის ასაგებათ.** თბილისის საუბნო პროფკავშირმა მიმართა რკ.-გზის სამმართველოს რკინისგზელთა სახლის შესაკეთებლად გადადებული 7.400 მანეთი გადაეცეს რკ.-გზ. მუშათა საბინაო კოოპერაციას ახალი საცხოვრებელი სახლის ასაგებათ სადგ. ნავთლუღში.

— **ხაზზე.** თბილისის საუბნო პროფკავშირმა მიმართა „ზაკტპო"-ს მოაწესრიგოს ხაზზე დუქან-ვაგონების მიმოსვლის საქმე.

— **ოჯახის წევრებიც.** თბილისის საუბნო პროფკავშირმა დაადგინა ჩატარდეს კამპანია კლუბებში მუშათა ოჯახის წევრების ჩასაწერად.

— **დამატებით 2.000 მანეთი.** თბილისის საუბნო პროფკავშირმა ორჯონიკიძის სახელობის ბაღის მოსაწყობად დამატებით გადასდო 2.000 მანეთი.

— **კოლექტიურ ხელშეკრულების გასაცნობათ.** ხაშურის საუბნო პროფკავშირმა დაადგინა ჩაატაროს ფართო კამპანია მუშებში კოლექტიურ ხელშეკრულების გასაცნობათ.

— **გადახალისება.** ხაშურის საუბნო პროფკავშირმა დაადგინა მოახდინოს ბორჯომის რკ.-გზის კლუბის მუშაობის გადახალისება.

— **თათბირი.** სამტრედიის საუბნო პროფკავშირმა დაადგინა მოიწვიოს ახალგაზრდა წარმომადგენლების თათბირი.

წითელ ჯარში

1904 წელში დაბადებულთა გაწვევისათვის

საექიმო შემოწმება

ყველა გაწვეულები, რომელნიც შეტანილი არიან გასაწვევთა სიაში და ამოუღიათ კენჭი, მათ რიცხვში ისინიც, რომელნიც არ გამოცხადებულან კენჭის ამოღებისათვის, მაგრამ მათ მაგივრად ამოღებულია კენჭი, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ საექიმო შემოწმებაზე იმ დღეებში, რომლებიც დანიშნული აქვთ კენჭის ნომრებზე.

შესაკრებ წერტზე მოსვლისას მათ თან უნდა ჰქონიონ მიწერის მოწმობა და კენჭის ნომერი.

თუ გაწვეული სამსახურისათვის სავარგისია და დაიგვიანა შემოწმებაზე, ის გაიგზავნება ჯარში კენჭის მიუხედავათ, განრიგების ზევით.

დაგვიანებულები, რომლებიც გამოცხადდებიან გასაწვევი წლის 31 დეკემბრის შემდეგ, ჩაირიცხებიან ჯარში შემდეგ მორიგ გაწვევის დროს ე. ი. შემდეგ წელში პირველ რიგში კენჭის ამოუღებლად. სხვანაირად რომ ითქვას, არმიაში ისინი აუცილებლად ჩაირიცხებიან იმ შემთხვევაშიაც კი, თუნდაც მათ კენჭის მიხედვით არ მოუწევდათ გაწვევა, თუ კი ისინი თავის დროზე გამოცხადდებოდნენ.

გარდა ამისა გაწვევაზე დაგვიანებულები, თუ რომ დაგვიანება არაა გამოწვეული საპატიო მიზეზით, ჰკარგავენ შეღავათის უფლებას ოჯახურ-ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. ამასთან ერთად ისინი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი, როგორც ამორიდებლები.

გაწვეულები, ვისაც დაუსრულებია უმაღლესი სასწავლებელი, მეორე საფეხურის სკოლები, მუშათა ფაკულტეტები, ტეხნიკუმები და მათი შესაბამი სასწავლებლები, აგრეთვე ის პირებიც, რომლებიც ჩაირიცხულ უნდა იქნენ ზურგის ლაშქარში—ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ საექიმო შემოწმებაზე მათთვის დანიშნულ ვადებში.

ის მოქალაქეები, რომლებიც განგებ დააზიანებენ თავის ჯანმრთელობას ჯარიდან განთავისუფლების მიზნით, მიეცემიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის 81 მუხლის ძალით.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის დამხმარე საზოგადოება

სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების საკავშირო ყრილობაზე, რომელიც ჩატარებულ იქნა მიმდინარე წლის მაისში, საჭიროდ იქნა აღიარებული საზოგადოების მოქმედების გაფართოების და მის მუშაობაში მთელი მშრომელი მასის ჩაბმა. ამასთან დაკავშირებით დაიბადა საზოგადოების სახელის შეცვლის აზრი.

სამხედრო სამეცნიერო საზოგადოება დღიდან თავის დაარსებისა წარმოადგენდა მარტო სამხედრო ორგანიზაციას. მისი მოქმედება არ სცილდებოდა ყაზარმის კედლებს მშრომელთა ფართო მასა არ იყო გაცნობილი იმ მუშაობასთან, რომელსაც აწარმოებდა აღნიშნული საზოგადოება საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმის ირგვლივ.

საზოგადოების მუშაობა კი თავისი შინაარსით არის უაღრესად მნიშვნელოვანი საბჭოთა კავშირის გაძლიერების და განმტკიცებისათვის, და ამიტომ დაუშვებელი იყო მისი მოქმედების შეზღუდვა მარტო ჯარის ფარგლებში.

27 ივლისს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა შეიცვალოს სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების სახელი და ამიერიდან ეწოდოს მას „ს. ს. რ. კავშირის თავდაცვის დამხმარე საზოგადოება"

სახელის შეცვლა დროულია და მიზანშეწონილი, კომისართა საბჭო თავის დადგენილებაში აღნიშნავს იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც აქვს საზოგადოებას კავშირის თავდაცვის საქმისთვის და მოუწოდებს ყველა საბჭ. ორგანიზაციებს ხელი შეუწყონ საზოგადოების ორგანიზაციას.

სახ. კომისართა საბჭოს დადგენილება სერიოზულ ამოცანას აყენებს ჩვენი ჯარის ნაწილების საზოგადოებებს, სამხედრო-სამეცნიერო კომიტეტების და წრეების წინაშე, რომლებიც მრავლად არიან გაფანტულნი საქართველოს ტერიტორიაზე.

მათი მორიგი ამოცანაა აწარმოონ მუშაობა მოსახლეობაში ახალი საზოგადოების მიზნების და ამოცანების პოპულიარიზაციისათვის ეს მუშაობა უნდა ატარებდეს სისტემატიურ ხასიათს. ამ მუშაობით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მთელმა მშრომელმა მასამ შეიგნოს კარგათ, რომ ჩვენი კავშ. თავდაცვის საქმე არ არის მარტო წითელი ჯარის მოვალეობა, არამედ მასში ფართო მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა მშრომელებმა.

ამ მუშაობას უნდა მიექცეს ფართე საგიტაციო კამპანიის ხასიათი.

ე. ხუციშვილი.

აქტიური უჯრედი

(მესამე ლეგიონის 1-ლი უჯრედი)

მესამე ლეგიონის 1-ლი კომუჯრედის მუშაობა კარგად მიმდინარეობს. ჩვენს კომუჯრედში საკმაოდ მოიპოვებიან პარტიული ამხანაგები, რომლებიც ხელმძღვანელობენ კომუჯრედის მუშაობას. უჯრედი იწვევს კრებებს თვეში ორჯერ. ღია კრებებს ესწრება მთელი ასეულის პოლიტშემადგენლობა.

ასეულში აგრეთვე გვაქვს სხვადასხვა თვითმოქმედი ორგანიზაციები, როგორც რემედასი, ავიოქიმი, წერკუმი და სხვა. ეს წრეები გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ.

უჯრედს აქვს გაბმული კავშირი ფოსტა-ტელეგრაფის უჯრედთან. ჩვენ ვაგზავნით წარმომადგენლებს იმათ კრებებზე და ისინი კი ჩვენს კრებებზე, რითაც უფრო კარგად ვეცნობით ერთმანეთის მუშაობას.

ს. ბიკაშვილი.

მეცნიერება და ტეხნიკა

ატომი, მოლეკულა, ელექტრონი

ჯერ კიდევ საბერძნეთის ფილოსოფოსებს აინტერესებდათ ნივთიერების ბუნების, მისი შემადგენლობის საკითხი. **დემოკრიტი** ამბობდა: ნივთიერება, მატერია შესდგება ძლიერ პატარა ნაწილებიდან—ატომებიდანო. სიტყვა ატომი ბერძნულია და ნიშნავს განუყოფელს, ატომის დანაწილება შეუძლებელია. ამ უხილავ ატომების დაკავშირებით იქმნება მრავალფეროვანი ბუნება.

დემოკრიტის შემდეგ განვლო ორი ათასმა წელმა და ატომების თეორია ხელ-ახლა აღსდგა სხვა სახით. **ლავუაზიეს,** დალტონის და დავის აღმოჩენების შემდეგ თანდათანობით შემუშავდა ელემენტების თეორია. უნივერსალური ატომი არ არსებობს, როგორც დემოკრიტი ფიქრობდა. არსებობს სხვადასხვა ნივთიერებანი ან ელემენტები. მაგალითად: რკინა, სპილენძი, ოქრო, გოგირდი და სხვა. სულ არსებობს 92 ელემენტი. ზოგი მათგანი ძლიერ იშვიათია (რადიუმი). თვითეული ელემენტი ატომებისაგან, განუყოფელი უხილავი ნაწილებისაგან შესდგება. ერთი ელემენტის ატომი განსხვავდება მეორისაგან. ატომების ერთი მეორესთან დაკავშირებით ჩნდებიან მოლეკულები. სიტყვა მოლეკულა ლათინურია, ნიშნავს პატარა მასას. შესაძლებლობა ატომების ერთი მეორესთან დაკავშირების უთვალავია. ყველაზე უფრო გავრცელებული ელემენტი მჟავბადი არის. ის დედამიწის ნახევარს შეადგენს. სილიციუმი შეადგენს ერთ მეოთხედს. დანარჩენ ელემენტებიდან გავრცელებულია ალუმინიუმი და რკინა.

ბუნებაში ელემენტები იშვიათად მოიპოვებიან თავისუფლად. მხოლოდ ოქრო, ვერცხლი, პლატინა და რამოდენიმე სხვ. ელემენტების უმრავლესობა მოიპოვება, როგორც ქიმიური შეერთებანი. წყალი, მაგალითად, შესდგება ერთი ატომ მჟავბადისა და ორ ატომ წყალბადისაგან. ამის დამტკიცება ადვილია წყალში რომ ელექტრონის ენერგია გაიატაროთ, ის დაიშლება. ერთ მხარეზე იწყებს დენას წყალბადი, მეორე მხარეზე—მჟავბადი. ეს ორი გაზი რომ რამე ჭურჭელში მოვამწყვდიოთ და შემდეგ გავახუროთ, ისინი ისევ ქიმიურათ დაუკავშირდებიან ერთმანეთს და ასევე წყალს მივიღებთ. შეიძლება მარტო წყალბადს წაუკიდოთ ცეცხლი. ამ შემთხვევაში ის ჰაერიდან მიიზიდავს მჟავბადს, დაიწვის და წყლად იქცევა. ავიღოთ მეორე მაგალითი. საჭმელი მარილი შესდგება ნატრიუმის და ქლორის ატომებიდან. მათი დაშლა და ხელ-ახლა შეერთება შესაძლებელია, ისე როგორც წყალის.

ამრიგად მოლეკულა ატომებიდან შესდგება. ატომების რაოდენობა და მათი დაკავშირება სხვადასხვა გვარია. ერთი და იგივე ელემენტების ატომები უკავშირდებიან ერთმანეთს და ელემენტის მოლეკულას ქმნიან. წყალბადის მოლეკულა ორი ატომ წყალბადისაგან შესდგება, გოგირდის—რვა ატომი გოგირდიდან, ნახშირმჟავის—12 ატომი ნახშირმჟავიდან. ესენი შედარებით პატარა მოლეკულები არიან. ორგანიულ შეერთებებში (მცენარე, ცხოველი) მოიპოვებიან მოლეკულები, რომლებიც რამოდენიმე ასეულ ატომისაგან შესდგებიან. ასეთია ცილი. ის ყველაზე უფრო რთულ შეერთებათ უნდა ჩაითვალოს.

ელემენტების თეორია უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში შეირყა. ელემენტის ატომის დაშლა, დანაწილება, შეუძლებელია. ასე ფიქრობდნენ წინათ. ახალმა აღმოჩენებმა მოგვცა ფაქტები, რომლებიც წინააღმდეგს ამტკიცებენ, მაგალითად, რადიუმი იშლება. რამოდენიმე ასეული წლების შემდეგ ის ტყვიათ იქცევა. ერთი ელემენტი მეორეთ გადაიქცა. ერთი ატომი დაიშალა, დაინგრა, გაჩნდა ახალი ატომი, რადიუმიდან წარმომდგარი ტყვია თავის ქიმიური და ფიზიკური თვისებებით. არ განსხვავდება იმისაგან, რომელიც ბუნებაში მოიპოვება. მხოლოდ რადიუმიდან წარმომდგარი ტყვია წონით განსხვავდება ჩვეულებრივისაგან, თუმცა ორივე ერთი და იგივე ელემენტები არიან. ასეთ ელემენტებს, რომელთა ატომები სხვადასხვა წონის არიან, ეძახიან „იზოტოპებს". ტყვიას გარდა იზოტოპ ელემენტათ ქლორი და რამოდენიმე სხვა ითვლება.

ეს ორი მოვლენა—ელემენტ რადიუმის გარდაქცევა ტყვიათ და იზოტოპები—ამტკიცებენ, რომ ატომიც იშლება. რადიუმის თვისებების შესწავლის შემდეგ ინგლისელი მეცნიერი **რეზერფორდი** შეუდგა ცდების წარმოებას იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად შესაძლებელია სხვა ელემენტის ატომის დაშლა. მან ხანგრძლივი ცდების შემდეგ გამოარკვია, რომ აზოტის ატომის დაშლა შეიძლება. უკანასკნელ წლებში მსგავსი ცდები მოახდინეს ვერცხლის წყალზე. ვითომ შესაძლებელი უნდა იყოს ვერცხლის წყალის ატომის ოქროთ გადაქცევა. ამ საკითხის გარშემო ჯერ კიდევ ცდები სწარმოებს. ყოველ შემთხვევაში ცხადია ის, რომ ატომის დაუშლელობის თეორიას ნიადაგი აღარ აქვს. იბადება ახალი საკითხი—რისაგან შესდგებიან ატომები.

უკანასკნელ წლებში წარმოიშვა ახალი თეორია, რომელიც საყოველთაოდ მიღებულათ უნდა ჩაითვალოს. ეს არის ელექტრონების თეორია. ატომი შესდგება დადებითი და უარყოფითი ელექტრონებიდან. დადებითი ელექტრონი მოთავსებულია შუა ალაგას, მას გარს უვლის უარყოფითი ელექტრონი. ისე როგორც დედამიწა გარს უვლის მზეს, აგრე უვლის უარყოფითი ელექტრონიც დადებითს. ყველაზე პატარა ატომია წყალბადი. აქ ერთი დადებითი ელექტრონია, მას გარს უვლის ერთი უარყოფითი.

წინათ ელემენტებს ადარებდენ ერთი მეორესთან წონით. ეს ხდება ავოგადროს კანონის თანახმათ. ორი გაზი, ერთი სიდიდის ჭურჭელში მომწყვდეულნი, შეიცავს მოლეკულების ერთ და იმავე რაოდენობას, რა თქმა უნდა თუ ტემპერატურა და ბარომეტრი ერთ და იმავე სიმაღლეზე სდგას.

ვსთქვათ ერთ დიდ ბურთში ჯერ წყალბადი მოვათავსეთ და ავწონეთ. შემდეგ იმავე ბურთში მჟავბადი მოვათავსეთ და ხელახლა ავწონეთ, დავინახავთ, რომ მჟავბადი 16-ჯერ უფრო მძიმეა წყალბადზე. რკინა უფრო მძიმეა 56-ჯერ, ოქრო 197-ჯერ. როდესაც ამბობენ—მანგანუმის ატომის წონა 55 უდრის, ეს ნიშნავს, რომ მანგანუმის ატომი 55-ჯერ მძიმეა წყალბადზე. მას შემდეგ რაც ელექტრონების თეორია შეიქმნა, ელემენტების წონით შედარებას დაემატა პოზიტიური ელექტრონების მიხედვით შედარება. ატომი შუაში მოთავსებულ დადებითი ელექტრონთა რაოდენობა შეადგენს ე. წ. ძირითად რიცხვს. წყალბადს აქვს ერთი დადებითი ელექტრონი, დანარჩენ ელემენტების ელექტრონთა რიცხვი იზრდება, გელიუმს უდრის ორს, ლიტიუმს—3, ასე ურანამდე, რომლის ძირითადი რიცხვი უდრის 92. ამრიგათ ძირითადი რიცხვი მაჩვენებელია იმისა, თუ რამდენი პოზიტიური ელექტრონი უდევს საფუძვლათ ამა თუ იმ ელემენტს.

რამდენათ უფრო მცირეა ძირითადი რიცხვი, ე. ი. ელექტრონთა რაოდენობა, იმდენათ უფრო მკვიდროა ატომი, მაშასადამე, თვით ელემენტიც. ის ელემენტები, რომლებიც ძირითადი რიცხვი დიდია, ზოგ შემთხვევაში თავის თავად იშლებიან. ელექტრონები, რომლებიც ცენტრიდან მოშორებით არიან, სცილდებიან ელემენტს სხივების სახით და ამასთანავე დიდძალი ენერგიაც იკარგება. გამოანგარიშებულია, რომ ერთი გრამი რადიუმი ათას ხუთასი წლის განმავლობაში კარგავს სავსებით თავის სახეს. ენერგიის რაოდენობა, რომელსაც ეს ერთი გრამი რადიუმი იძლევა, უდრის ორ მილიონ დიდ კალორიას. რამდენათ დიდია ეს რიცხვი იქიდან სჩანს, რომ ერთი გრამი ნახშირი იძლევა რვა დიდ კალორიას. (ერთი დიდი კალორია ათბობს ერთ კილოგრამ წყალს 15-დან 16 გრადუსამდე).

მაშასადამე, ამა თუ იმ ელემენტის ატომის დასაშლელათ საჭიროა მას ერთი ან რამოდენიმე ელექტრონი მოაშორო. ამისთვის კი აუარებელი ენერგია არის საჭირო, დაახლოებით ასიათასჯერ მეტი ვიდრე თანამედროვე მანქანები იძლევიან. აქედან ცხადია, თუ რამდენათ მჭიდროთ არიან დაკავშირებული ელექტრონები ამა თუ იმ ელემენტის ატომში.

ალ. დევდარიანი.

ელექტრო-ტეხნიკის ახალი პერსპექტივები

1891 წ. გადამწყვეტი წელიწადი იყო ელექტრონის საშუალებით ბუნების ძალთა გამოყენების ისტორიაში. ამ წელს ფრანკფურტში-მაინზე მოეწყო ენერგიის პირველი საჩვენებელი გადაცემა 175 კილომეტრის მანძილზე. პირველად იქნა გადაცემული ცვალებადი დენის ტრანსფორმატორების საშუალებით (დოლივო-დობროვოლსკის სისტემით) რეინის წყალვარდნილის ენერგია. გადაცემის სიმძლავრე (200 კილოვატი), რასაკვირველია, მეტად უმნიშვნელო იყო თანამედროვე თვალსაზრისით. მაგრამ პირველი ნაბიჯი მაინც გადადგმული იქნა.

ამის შემდეგ ჩვენ გვაქვს ასეთი გადაცემის მოწყობის მაგალითები—500.000-დი ცხენის სიმძლავრის ასეული კილომეტრების მანძილზე. ცვალებადი დენის ტრანსფორმატორები, რომელთა საშუალებით სწარმოებს ენერგიის გადაცემა არა მარტო შორეულ მანძილებზე, არამედ ქალაქებშიც, ამის შემდეგ ელექტრო-ტეხნიკის შემადგენელ ნაწილად გადაიქცნენ და ახლა ისეთივე პარტივ მოწყობილობას წარმოადგენენ, როგორც სავარვარო (ელექტრონის) ლამპები. ამასთან ერთად ყველგან შეიჭრა ცვალებადი ელექტრო-დენი.

ცვალებადი დენის ტრანსფორმატორების ფართე სამრეწველო გამოყენებაში დამსახურება უსათუოდ აღნიშნულ დოლივო-დობროვოლსკის ეკუთვნის. მან აქ მხედველობაში მიიღო ცვალებადი დენის ერთი მეტად ძვირფასი თვისება—ცვალებადი დენი ადვილათ იქცევა ერთი ჰპინის (напряжение) დენიდან მეორე ჰპინის დენათ (მაგალითად, ჩვეულებრივი 100 ვოლტიანი დენიდან ათეული და ასეული ათასი ვოლტის ჰპინის დენათ) მარტივი და მკვიდრი მოწყობილობების (ტრანსფორმატორების) საშუალებით. მუდმივი დენისათვის კი მაშინ ასეთი მოწყობილობა არ არსებობდა. ამიტომ უკანასკნელმა, რომელიც მანამდე საყოველთაოდ იყო გავრცელებული, ამის შემდეგ დიდი ხნით მეორე ხარისხოვანი ადგილი დაიკავა. მაგრამ უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოხდა ცვალებადი დენის მხოლოდ აღნიშნული თვისების გამო, ვინაიდან თავისთავად ცვალებადი დენი არც უფრო ეკონომიური და არც უფრო მოხერხებულია, ვიდრე მუდმივი დენი.

მართლაც, თავისი ბუნებით, როგორც ელექტრონების ნაკადი გამტარში, რომელიც ათეულჯერ იცვლება წამში, თავისი მიმართულებით და სისწრაფით, ის უნდა ჩაითვალოს უფრო ხელოვნურ მოვლენათ, ვიდრე ის დენა ელექტრონების, უცვლელი თავის მიმართულებით და სისწრაფით, რომელსაც ჩვენ მუდმივ დენს უწოდებთ. გარდა ამისა, ეს განუწყვეტელი მიმართულება და სისწრაფე დაკავშირებულია ენერგიის უმიზნოთ ხარჯვასთან გარშემო მდებარე ელექტრო-მაგნიტურ არეში. ენერგიის ეს დაკარგვა მით უფრო მეტია, რამდენადაც მეტია ჰპინვა. იმავე, მაღალი ჰპინის დროს ხან აქ, ხან იქ წარმოიშობა ე. წ. ზედმეტი ჰპინვა ჯაჭვში და სხვა მოულოდნელი ინდუქტიური მოვლენები, რომლებიც საშიშია, როგორც დადგმულობათათვის, ისე ამ დადგმულობებთან ახლო მყოფ პირებისათვის. შემდეგ, ზოგიერთი მანქანები, მაგალითად, ელექტრომამოძრავებლები, რომლებსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვთ მრეწველობისათვის, ცვალებადი დენის საშუალებით უფრო ცუდად მუშაობენ, ვიდრე მუდმივი დენით, დაბოლოს, ცვალებადი დენის გამოყენება ზოგიერთ შემთხვევებში სრულიად არ შეიძლება. ეს შეეხება მაგალითად, შემთხვევებს, როცა საჭირო ხდება, სარგებლობა ვოლტის რკალით (მაგ., კინო-აპარატებში), ტელეგრაფს, ტელეფონს და კატოდური ლამპებით სარგებლობის ყველა შემთხვევებს. ასეთ შემთხვევებში, თუ არ არსებობს მუდმივი დენის მზამზარეული წყაროები, საჭირო ხდება მათი შექმნა ხელოვნურათ ცვალებადი დენიდან სხვადასხვა მოწყობილობათა (გამასწორებლების) საშუალებით.

აქედან გასაგები ხდება ის ფაქტი, რომ ელექტრო-ტეხნიკა უძველესი დროიდან სცდილობს მუდმივი დენისათვისაც დაამზადოს ისეთივე მოწყობილობა (ტრანსფორმატორი), რომელმაც, როგორც ჩვენ დავინახეთ, თავის დროზე პირველი ადგილი მოუპოვა ცვალებად დენს და ამრიგად მუდმივ დენს დაუბრუნოს მისი წინანდელი მნიშვნელობა, შესაძლებლად გახადოს ენერგიის გადაცემა ამ დენის საშუალებით. საინტერესოა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში, ამ გაუმჯობესებათა მიუღწევლად, ე. ი. არახელსაყრელ პირობებში მყოფი მუდმივი დენი დევნის ცვალებად დენს. ასე მაგალითად, მუდმივი დენის მიერ უკვე დაპყრობილია ელექტრონის რკინისგზები. დიდი ფირმებიდან, რომლებიც ამ დენის სხვა დარგებშიც გამოყენების პროპაგანდას აწარმოებენ, შეიძლება მიუთითოთ ედისონის კომპანიაზე ამერიკაში.

რაც შეეხება თვით მუდმივი დენის ტრანსფორმატორის მოწყობილობას, ელექტრო-ტეხნიკა უკვე შეუდგა ამ ამოცანის გადაჭრას. ამ მიმართულებით ცდები სწარმოებს ლენინგრადის ელექტრო-ტეხნიკურ ექსპერიმენტალურ (სალდელ) ლაბორატორიაში. მცირე ძალოვნობის ტრანსფორმატორი (50 ვატტი), რომელიც ათეჯერ ადიდებს ან ასუსტებს ჰპინვას, უკვე დამზადებულია და მუშაობს მთელი წლის განმავლობაში. დიდი, სამრეწველო ტიპის ტრანსფორმატორები ამ პატარა ტრანსფორმატორებისგან განსხვავდებიან მხოლოდ თავისი სიდიდით და მოცულობით. ამჟამად შენდება სამი ტრანსფორმატორი, რომლებიც ჰპინვას 100-ჯერ გაადიდებენ ან შეასუსტებენ. ამრიგათ, ამ ტრანსფორმატორების თანამიმდევრობით შეერთების საშუალებით, შესაძლებელი იქნება ჰპინვის გადიდება და შესუსტება მილიონჯერ იმ პირობით, რომ უმაღლესი ჰპინვა ამ ტრანსფორმატორებისათვის არ აღემატებოდეს 10.000 ვოლტს.

მუდმივი დენის ჰპინის ასე მძლავრად შეცვლის შესაძლებლობა ელექტრო-ტეხნიკას ბუნების ძალთა გამოყენების ახალ პერსპექტივებს უშლის. უნდა აღინიშნოს, რომ ცვალებადი დენის ტრანსფორმატორებისათვის ასეთი პერსპექტივები არ არსებობს. ენერგიის ეს ახალი წყაროებია: დედამიწის ქერქის თბიერება და ატმოსფერული ელექტრობა. ტრანსფორმატორების დანიშნულება ენერგიის ამ წყაროების გამოყენების დროს იქნება: პირველ შემთხვევაში—იმ ელექტრონის ძალების გადიდება, რომლებიც დედამიწის ქერქის ნიადაგზე წარმოიშობიან და იმდენად მცირე არიან, რომ მათი გამოყენება ამჟამად არ ხერხდება და მეორე შემთხვევაში—ატმოსფერული ელექტრობის ჰპინვის შესუსტება. ანგარიშით ირკვევა, რომ პირველ შემთხვევაში მთელ დედამიწის ზურგზე ჩვენ გვექნება ენერგიის მარაგი, რომელიც 8 ტრილიონ ცხენის ძალას უდრის, მეორე შემთხვევაში—60 მილიონ ცხენის ძალას.

პროფ. ბ. როზინგი.

რატომ ხდება მიწისძვრა

ცნობილმა ინგლისელმა გეოლოგმა **ჯოლიმ** მოხსენება გააკეთა ახალ თეორიაზე მიწის ძვრის მიზეზების შესახებ.. ამ თეორიის თანახმად, ცვლილებები დედამიწის ქერქში აიხსნება რადიო-აქტივობით, ე. ი. რადიუმის მოქმედებით.

მეცნიერების მიერ უკვე დიდი ხანია გამორკვეული არის, რომ რადიუმისა და ურანის ელემენტების დაშლას თან სდევს სითბოს დიდი რაოდენობის განთავისუფლება. ასე მაგ., რადიუმის ერთი უნცია იმდენ სითბოს იძლევა, რამდენსაც 6.200 ფ. ნახშირი. მიუხედავათ იმისა, რომ დედამიწაში რადიუმი და ურანი მცირე რაოდენობით მოიპოვება, ამ ელემენტების მიერ გამოსხივებული სითბო იმდენათ დიდია, რომ დედამიწას, ამ ლითონების ზეგავლენით, სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა თბიერება აქვს. შესაძლებელია, რომ სწორეთ ეს სითბო არის მიწისძვრათა მიზეზი.



სურ. 1. ა) გრანიტი, ბ) წყალი, გ) ბაზალტი, დ) მაგარი ფენები

დედამიწის ბურთზე ნათელი წარმოდგენის შესაქმნელათ საკმაო არის დავხედოთ 1-ლ სურათს. გარედან (1) ჩვენ ვხედავთ კონტინენტებს, რომლებიც გრანიტიდან შესდგება. ალაგ-ალაგ ნიადაგის ჩაღრმავებული ადგილები წყალით (2) არის ამოვსებული. გრანიტის ქერქს ქვემოთ მდებარეობს ბაზალტის ფენა, მის ქვევით კი—უფრო მაგარი ფენები (4). რადიოაქტიური ელემენტები-რადიუმი და ურანი, რომლებიც გრანიტისა და ბაზალტის ფენაში და აგრეთვე ამ უკანასკნელის ქვევით მოიპოვება, გამოყოფენ იმდენ სითბოს, რომელიც საკმაოა ბაზალტის გასადნობათ. გამდნარი და გაფართოებული ბაზალტი ხეთქს დედამიწის ქერქს და გზას იკვლევს ზევით. ის კი, რომ დედამიწის ქერქის რყევა და მიწისძვრები დედამიწის ქერქს ქვევით მდებარე ფენებში მომხდარი ცვლილებების შედეგია, ეს ყოველგვარ ეჭვს გარეშეა.

რაც შეეხება სითბოს ზეგავლენით ბაზალტის გაფართოების თვისებას, ცდებით არის დამტკიცებული, რომ დნობის წერტილამდე გამთბარი ბაზალტის ფირფიტა 10% - ით მატულობს სიდიდეს.

ამის შემდეგ კი ადვილი წარმოსადგენია ის, თუ როგორ ხდება ცვლილებები დედამიწის ქერქს ქვეშ (იხ. სურ. 2). ძლიერ გამთბარი ბაზალტი ბოლოს და ბოლოს იწყებს დნობას და ერთი მეათედით დიდდება თავის პირვანდელ მოცულობასთან შედარებით. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ბაზალტი გარს არტყია მთელს დედამიწას, ნათელი შეიქნება, რომ მის ასეთ გაფართოებას კატასტროფიული შედეგები უნდა მოჰყვეს.



სურ. 2. მიწისძვრის სქემა

როგორც სურათიდან სჩანს, გამდნარი ბაზალტის გაფართოება საკმაო არის, რომ გამოიწვიოს მთაგრეხილების რყევა და თვალუწვდენელი ნაპრალები წარმოშვას, როგორც კონტინენტებს შორის, ისე ხმელეთზე. ასეთი ცვლილებები დედამიწის ქერქში შესაძლებელია შენიშნულ იქნეს 1000 კილომეტრის მანძილზე.

ინდოელი მეცნიერის უდიდესი აღმოჩენა

ინდოეთის მეცნიერმა ჯამადის ჩანდრა **ბოზემ** გამოაქვეყნა თავისი უდიდესი აღმოჩენა, რომლითაც მტკიცდება ის ფაქტი, რომ მცენარეებში არსებობს ისეთივე ცხოველმყოფელობითი მექანიზმი, როგორც ცხოველის ორგანიზმში. ინდოელი მეცნიერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მცენარეულობას აქვს უაღრესად განვითარებული ნერვიული სისტემა; აქვს გული, რომელიც ისე ძგერს, როგორც ცხოველის გული.

მეცნიერი ამტკიცებს ამას მის მიერ გამოგონილ მეტად მგრძნობიარე ინსტრუმენტის საშუალებით. ეს ინსტრუმენტი აღნიშნავს მცენარეულობის მიერ გადმოცემულ ნიშნებს გრაფიკული ხაზებით, რომლის შემწეობით შეიძლება მსჯელობა მცენარის ფიზიოლოგიურ მდგომარეობის შესახებ.

ელექტრონის ზონდი, რომელიც შეერთებულია გრძნობიარე გალვანომეტრთან,მას შეჰყავს მცენარეს ღეროში. მოსვენებულ მდგომარეობაში მყოფ კუნთებთან შეერთების დროს გალვანომეტრი უცვლელი რჩება. მაგრამ მომუშავე გულთან შეხების დროს აღიძვრება ელექტრონის პულსაცია, რომელიც ავტომატიურად აღინიშნება გალვანოგრაფზე.

მცენარის გულის ცემის გასაზომად, რომლის ტალღები დიუმის ერთ მილიონედზე ნაკლებია, ბოზემ ათ მილიონჯერ გაადიდა ეს ტალღები ანდამატის გამდიდებლის საშუალებით. მოძრავ ანდამატის სისტემასთან მიმაგრებულია სარკე იმ მიზნით, რათა შესაძლებელი გახდეს ანარეკლი სხივის სურათის გადაღება ფოტოგრაფიულ ფირფიტაზე.

სხვათა შორის ინდოელმა მეცნიერმა უჩვენა სპეციალურად მოწვეულ პირებს ქლოროფორმის მოქმედება მცენარეზე. ჯერ დაიწყო ძლიერი აღგზნება, შემდეგ სასიკვდილო აგონია და ბოლოს მცენარე მოკვდა.

ხსენებული მეცნიერი ამ დარგში მუშაობს უკვე 32 წელიწადი.8 წლის წინად აშენებული იქნა მისი სახელობის ინსტიტუტი, სადაც სწარმოებს განუწყვეტელი მუშაობა ორგანიულ და არა ორგანიულ მსოფლიოს საიდუმლოებათა გამოსარკვევად.

ინსტიტუტი აშენებულია კალკუტაში და მასში მოწყობილია დიდი აუდიტორია, მრავალი ლაბორატორიები, სადაც მზადდება უწვრილესი, მგრძნობიარე ინსტრუმენტები.

თვით **ბოზე** — პატარა ტანის კვირცხლი ადამიანია, მისი გარეგნობა უფრო მსახიობს ჰგავს, ვიდრე მეცნიერს.

რვა-ბორბლიანი ავტობუსები



რამდენათ დიდია სატრანსპორტო ერთეული—ავტობუსი იქნება იგი, ტრამვაია თუ რკინისგზის ვაგონი, მით უფრო ხელსაყრელია მისი ექსპლოატაცია. განსაკუთრებით შესამჩნევ ეკონომიას იძლევა დიდი სატრანსპორტო ერთეული მოსამსახურეთა შესანახი ხარჯების შემცირებით. რამდენად დიდია ვაგონი თუ ავტობუსი, იმდენათ უფრო მეტ ხალხს იტევს იგი, მეტ შემოსავალს იძლევა; მოსამსახურეთა ხარჯები კი იგივეა, რაც პატარა სატრანსპორტო ერთეულზე. ამრიგათ თითეულ მგზავრზე მოსამსახურეთა შესანახი ხარჯების ძლიერ მცირე რაოდენობა მოდის. ამიტომ სატრანსპორტო ტეხნიკაში დიდი ხანია ფეხი მოიკიდა მიდრეკილებამ მოძრავი სატრანსპორტო შემადგენლობის მოცულობის გადიდებისაკენ.

პირველად აშენებდენ ორ-ღერძიან (ოთხ ბორბლიან) ვაგონებს, ახლა კი უმთავრესად აშენებენ ოთხ-ღერძიან (რვა ბორბლიან) ვაგონებს. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი საავტობუსო საქმეშიც. სატრანსპორტო ტეხნიკის ეს ახალი დარგი მხოლოდ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში განვითარდა. ავტობუსების მოცულობის თანდათანობით გადიდებამ გამოიწვია პირველათ ოთხბორბლიანი, შემდეგ ექვს-ბორბლიანი (ერთ და ორ სართულიანი) და ახლა კი რვაბორბლიანი ავტობუსების დამზადება.

პირველად 6 და 8 ბორბლიანი ავტობუსები საქალაქთაშორისო მიმოსვლისათვის იყვენ დანიშნული, შემდეგ კი—ქალაქებშიც შემოიღეს. აიხსნება ეს იმით, რომ ქალაქებში, ქუჩების უმრავლესობის სივიწროვისა და მიმოსვლის სიხშირის გამო, საჭიროა მანქანები, რომლებიც მობრუნების დროს დიდ ადგილს არ მოითხოვენ. მოცულობის გადიდების გამო კი, დიდდებოდა ავტობუსების სიგრძე და ისინი ქალაქში მიმოსვლისათვის გამოუსადეგარი იყვნენ.

უკანასკნელ ხანებში, ამერიკაში, დაამზადეს ავტობუსი, რომლის მობრუნების რადიუსი ძლიერ მცირეა; ეს ავტობუსი მობრუნების დროს მხოლოდ 25 პროც. მეტ ადგილს იკავებს, ვიდრე თვით ავტომობილს უჭირავს. ეს რვა-ბორბლიანი ავტობუსი უკვე შემოღებულია საქალაქო მიმოსვლისათვის ქ. ოლბენში (შეერთებული შტატები, ნიუ-იორკის შტატი).

8-ბორბლიანი ამერიკული ავტობუსი იტევს 44 მჯდომ და 52 ფეხზე მდგომ მგზავრს, სულ 96 კაცს. მისი სიგრძე უდრის 11,6 მეტრს, განი—2½ მეტრს, იწონის იგი 500 ფუთს. საათში შეუძლია 45 კილომეტრის გავლა, რაც საქალაქო მიმოსვლისათვის სავსებით საკმაოა.

პერრენის ჰელიკოპტერი

გელიკოპტერის, ე. ი. ისეთი აეროპლანის დამზადების ამოცანა, რომელიც მომარაგებული იქნებოდა ჰორიზონტალური ხრახნილებით და შესძლებდა პირდაპირ ზევით აფრენას, ჯერ კიდევ გადაუჭრელია. ასეთი აეროპლანის გამოგონება კი ავიაციის უდიდესი მიღწევა იქნებოდა, რადგან თანამედროვე აეროპლანებს შეუძლიათ აფრენა და დაშვება მხოლოდ გარბენის შემდეგ სწორ ზედაპირზე. ასეთი აეროპლანის გამოგონება ზედმეტად გახდიდა აეროდრომების მოწყობას, რადგან შესაძლებელი შეიქნებოდა დაშვება ყველგან, სადაც კი მფრინავი მოისურვებდა.

წარსულ წელში ისპანიაში მოახდინეს ამგვარი ცდა. გამომგონებელმა დე-სიერვამ დაამზადა ასეთი აეროპლანი—გელიკოპტერი. ცდა წარმატებით დამთავრდა.



მიმდინარე წლის 21 აპრილს ქ. არჟენტოილში, პარიზის ახლო, მოახდინეს ცდები ინჟ. პერრენის მიერ გამოგონებულ გელიკოპტერზე, „გელლისიონის" სახელწოდებით.

სურათზე ნაჩვენებია ე. პერენის გელიკოპტერი.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

მომჭირნეობა ყირამალა

(ნახული ფაქტები)

ხალხი იტყვის—ქოთნის ერთი მტეხელი გაუძლებს ას მკეთებელსო. ასეთია მომჭირნეობის რეჟიმის საქმეც, საკონტროლო ორგანოები ვერ გაუძლებს ხელ-გაშლილ მოსამსახურეებს, თუ მას არ დაეხმარა ხალხის ფართო მასა თავისი ყურადღებით, მომჭირნეობის დარღვევის მხილებით.

აღმასკომის განათლების განყოფილებას თეთრ-წყაროზე აქვს მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები. კურსებზე 100—კაცი მუშაობს თბილისის მაზრიდან. ამ კურსებზე ჩვენს წინაშე საკმაო ცოდნით შეიარაღებული ახალგაზრდა თაობაა, რომლებსაც დიდი ინტერესი აქვს განვითარებისა და დიდი ხალისი სკოლის საზოგადოებრივი მუშაობისადმი.

ამ ახალგაზრდობას კიდევ სჭირდება თვითგანვითარების გზის მოვლა, მეტი დაახლოვება ჩვენს მიზნებთან და აღმშენებლობასთან, კერძოთ ახალ სკოლის ძიების გზებთან.

ამ მიზნით არის გამართული გადასამზადებელი კურსები. მე აღმასკომის განათლების განყოფილების მიერ მოწვეული ვიყავი ლექტორად და შემთხვევა მომეცა ახლოს გავცნობოდი, როგორც განყოფილების, ისე მასწავლებლების მდგომარეობას. სტუმარს არ შეფერის მასპინძლის გინება, მაგრამ სადაც საზოგადოებრივი საქმეა, იქ სტუმართმოყვარეობის ზნეობას ვერ მივყვებით.

როგორ ატარებს განათლების განყოფილება აქ ეკონომიის რეჟიმს. მეტად „სასტიკად“. 100 მასწავლებელი მოთავსებულია ყოფილ ყაზარმაში, რომლის ქვეშ გამართულია საჯინიბო ცხენებისათვის, საშინელი მყრალი ჰაერი აწვება ზედა სართულს და იწვევს ავადმყოფობას, დასუსტებას. მომჭირნეობის რეჟიმი ხელს უშლის ალბად განყოფილებას, რომ მასწავლებლებს დააშოროს საჯინიბო. ან გამოასუფთაოს ქვედა დარბაზი მეფის დროინდელ ნაგავისაგან. ეს კიდევ არაფერი, რომ ამის გვერდით აღსაშფოთებელი ფაქტები არ იყოს უპასუხისმგებლო ხელგაშლილობის.

შაბათს, 31 ივლისს, გვესტუმრა განათლების განყოფილებიდან ორი ავტომობილი სტუმრებით. ერთში იყო განათლების გამგის მოადგილე **კარპეზ ბერიძე**, თანამოსამსახურე მანდილოსნით და მეგობრებით, მეორეში სხვა სტუმრები. კვირას მეორე ავტომობილი ნახევრად საბარგო გაბრუნდა სპეციალურად მომარაგების გამგის მამარდაშვილის ამოსაყვანად, რომელსაც „მარაგის“ გარდა „ცოცხალი ინვენტარის“ სახით მოჰყვა მხიარული კამპანია ორივე სქესის წარმომადგენლებით. ორშაბათს კ. ბერიძე კამპანიით ჩხავკთარში (7ვერ.) მიდის. მომარაგების გამგე მამარდაშვილი გულმოსულია.როგორ თუ ის გაჰყვეს ნახევრად საბარგო მანქანას თბილისში. რომელიც იმავე საათში მიდის.

ბრუნდება მსუბუქი ავტომობილი და მამარდაშვილი მხიარული კამპანიით მიჰქრის დედა-ქალაქისაკენ. ორშაბათ ღამითვე ბრუნდება იგივე ავტომობილი, რომ წაიყვანოს კ. ბერიძე და მისი კამპანია. მართალია, ნახევრად საბარგო ავტო, სამგზავროთ მოწყობილი, გავიდა კვირა საღამოს, მაგრამ ამბობენ ის „ანძრევსო“. აბა რათ უნდა „გაანძრიო“ პატივცემული გვამი თუ გაუნძრევლად შეიძლება სეირნობა. სამშაბათ დილით, 5 საათზე, კ. ბერიძესა და მის კამპანიას მიაქროლებს ავტომობილი თბილისისაკენ, ამავე დროს შმორით ამყრალებულ ჰაერში იღვიძებს თბილისის მაზრის მასწავლებლობა, რადგან განყოფილებას თანხები არ აქვს მასწავლებელთა ბინის დასაჭერად, ან საჯინიბოს გასაწმენდათ, კ. ბერიძეს არც შეუხედავს ამ ბინაში, არც გაუგია მასწავლებელთა ავი და კარგი.

აქ ფაქტები თითონ ღაღადებენ, რომ განათლების განყოფილებას მომჭირნეობის რეჟიმი უკულმა აქვს დაყენებული. საინტერესოა ამხ. სუხიშვილის განკარგულებით გამოანგარიშებული იქნეს: 1) სამი დღით შოფერების თანაშემწეების განყოფილების გამგის, თანაშემწისა და მომარაგების გამგის მივლინების დღიურები; 2) სამი დღის განმავლობაში ორი ავტომობილის გამუდმებული ჯირითი გამოწვეული შორის და ბენზინის ხარჯები, ამორტიზაცია და ერთი მანქანის შეკეთების ფასი, რომელიც დააზიანა გრძელმა და ცუდმა გზამ (მსუბუქმა ავტომ გაიარა მინიმუმ 254 ვერსი. ნახევრად საბარგომ—240 ვერსი). მაგრამ ეს როდი კმარა? ასეთი მოვლენები მარტო ქონებრივ ზარალს არ აყენებს სახელმწიფოს. ის სცემს ხელისუფლების პრესტიჟს მოსახლეობაში, ამახინჯებს ხალხის უფლებრივ გრძნობებს, აგრძელებს იმ შეხედულებას, როდესაც სახელმწიფოს მოსამსახურენი ხალხის მსახური კი არ იყვნენ არამედ გამოყოფილი ხალხისაგან და მის ზევით მდგომი ბიუროკრატიულ-პრივილეგიური ელემენტები.

ს. ამაღლობელი.

ფულებიც სტირიან, კომისიაც სტირის

(ხეთა, ზუგდიდის მ.)

ხეთაში ცის მანანასავით მოელოდენ სახალხო სახლს. ვინ იცის რამდენი კრება, რამდენი ხვეწნა-მუდარა, რამდენი თავის ტეხა იყო საჭირო. სანამ თემი დაითანხმეს, შემდეგ სახსარი გამოძებნეს, შემდეგ მაზრაში დახმარება გამოითხოვეს და სახლის შენებას შეუდგენ.

მაგრამ მოგეხსენებათ სოფლის ამბავი. კუთხურ კინკლაობაზე ვლაპარაკობ. გაჩნდა ერთი გაწევ-გამოწევა, პარტიობა და ჯგუფობია. ყველას საკუთარ ეზოში უნდოდა სახალხო სახლის აგება. იმდენი იდავეს და იდავიდარაბეს, რომ სანამ შუა ადგილი არ ამოარჩიეს, ერთმანეთს არ მოეშვენ.

არავინ შეიწუხა იმისათვის თავი, რომ შეემოწმებინათ, რამდენად გამოდგებოდა არჩეული ადგილი შენობისათვის. სახლის აშენება მიენდო ტეხნიკ ჯალაღანიას, რომელიც გულდამშვიდებით შეუდგა საქმეს. სხვათა შორის ამ საკითხს გაეცნო ინჟ. ჟურეერს, რომელმაც თავიდანვე დაიწუნა ადგილი. სთქვა: „სოველია და აქ სახლის აგება არ ივარგებსო“.

მაგრამ ვინ დაგიჯერა? საამშენებლო კომისია თავის ჭკუით დაიარება. მათ მაინც თავისი გაიტანეს. სახლის საძირკვლები ჩაჰყარეს, კედლები ერთნახევარ არშინზე ამოიყვანეს, რომ უცებ თავს წამოადგათ ინჟენრები: ბასოვი, ბერიძე და სხვები. მათაც უვარგისად სცნეს შენობა საჭიროდ დაინახეს მისი ძირფესვიანად დარღვევა ახალ ადგილზე გადატანის მიზნით. მიზეზი იგივე: „ადგილი სოველია და სახლი აქ ვერ იხეირებსო“.

გაჰკრეს-გამოჰკრეს ფანქარს და ეს საქმე სამი ოთხი ათას მანეთის გამოვიდა. შემოიკრეს თავში ხელი, საამშენებლო კომისიამ ატირდა და აქვითინდა, მაგრამ რაღა დროს? ერთ-ნახევარ არშინზე ამოყვანილი სახლი იდგა გულსაკლავათ ჭაობში და ადგილიდან დაძვრასაც არ ფიქრობდა.

სცადეს გულის დამშვიდება. იფიქრეს, ჩვენ მაინც ჩვენი გავიტანოთ, ავათ თუ კარგად დავასრულოთ სახლიო. მაგრამ დახეთ უბედურებას: აშენებული მასალაც რომ უვარგისი აღმოჩნდა! კირი მთხლესავით უძლური იყო და ქვაც გაუცრელ მჭადივით იფშვნებოდა. ასეთი მასალიდან სახალხო სახლი კი არა, ცხვრის ფარეხიც არ აიგებოდა.

რა ქნას საამშენებლო კომისიამ, რა წყალში გადავარდეს? ტირის უსარგებლოთ ჭაობში გადაყრილი სახალხო ფულები, ტირის სინესტისაგან არშინ-ნახევარზე ამოყვანილი კედლები.

ათაში ოკო.

ვკრეჭავთ ზედმეტ ხარჯებს

ფინსახკომში სწარმოებდა ცენტრ. რეგისტრაცია. აქ (კანცელარიაში) მუშაობდა სულ 10 თანამშრომელი. რეგისტრაციისათვის იბეჭდებოდა განსაკუთრებული ბარათები. ეს ბარათები ერთი რომ არ წარმოადგენდენ აუცილებელ საჭიროებას და მეორედ მათზე იხარჯებოდა წლიურად 2.500 მანეთი.

მომჭირნეობის კომისიამ მოხსნა ეს ბარათები და შტატიც შეამცირა ოთხი თანამშრომლით, რითაც მან წლიურად შეამცირა ხარჯები 5,500 მანეთით.

სარეგისტრაციო წარმოება კი გადმოტანილ იქნა ფინსახკომის განყოფილებაში და აქ იგი მოწესრიგდა მიზანშეწონილად.

ფინსახკომის სავალუტო განყოფილებაში მუშაობდა 10 თანამშრომელი: 1 გამგე, 3 უფროსი ინსპექტორი, 2 უნცროსი ინსპექტორი, 2 ბუღალტერი, 2 საქმის მწარმოებელი და ერთი მემანქანე.

კომისიამ ზედმეტად სცნო ხუთი თანამშრომელი, და მათი მოხსნით ხარჯები შეამცირა ყოველ წლიურად 5,0000 მანეთით.

ფინსახკომის სახელმწიფო-საშემოსავლო განყოფილებაში მომჭირნეობის კომისიამ შეამცირა შტატი ერთი თანამშრომლით და გააუქმა აღმრიცხველ ინსტრუქტორის თანამდებობა და აქაც ზედმეტი ხარჯები მოხსნა.

ვ. ხალუქვაძე.

ტრამვაი ბათომში

წინასწარი მუშაობა ბათომში ტრამვაის გასაყვანად უკვე დამთავრდა. დასრულდა აგრეთვე იმ ქუჩების პროფილების გადაღება და გაზომვა, რომლებზედაც გაყვანილი უნდა იქნეს ტრამვაის ხაზი.

აჭარ. სახ. კომ. საბჭ. და ქალაქ. აღმასკომის დადგენილებით პირველ რიგში ტრამვაის ხაზი გაყვანილ იქნება რაიონებში, რომელშიდაც შედიან მთავარი ქუჩა, ასათიანის, სასკლაოს ქუჩები, ქალაქის გარე უბანი ბარცხანამდე და მწვანე კონცხამდე.

ამჟამად ცენტრის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა მასალების შესაძენად თანხების გადადების შესახებ. ამ ასიგნობის მიღებისთანავე დაიწყება მუშაობა.

ტრამვაის ქსელის გასაყვანი მუშაობა დასრულდება 3 თვის განმავლობაში.

შუშის ქარხანა

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში შუშის ქარხნის აგების შესახებ ჩვენ თანამშრომელს შემდეგი აცნობეს:

საბოლოოდ გადაწყდა, რომ ქარხანა აშენდება ლაშეში (ხარაგოულის ახლოს).

ბორჯომის წყლის გასატანად მომავალში საჭირო იქნება 15 მილიონი ცალი ბოთლი წლიურად, სპირტის და კონიაკის წარმოებას მოუნდება 10 მილიონი თეთრი ბოთლი, ღვინის წარმოებას კი—20 მილიონი ბოთლი.

ქარხანა თავისუფლად შესძლებს 30—35 მილიონ ბოთლის დამზადებას.

ნედლი მასალა, რომელიც ქარხნისათვის არის საჭირო, უხვად მოიპოვება ხარაგოულის რაიონში.

დახმარება ინგლისის გაფიცულ მემაღაროებს

ინგლისის გაფიცულ მემაღაროეთა დასახმარებლად **აგვისტოს 7-ს შემოვიდა** თელავის სამაზ. პროფბიუროდან—120 მან. **9 აგვისტოს შემოვიდა:** მბეჭდავთა კავშირიდან—150 მან. 88 კ., გემოკვეთების კავშირიდან—12 მ., ტრანსპორტელების კავშირიდან—207 მ. 45 კაპ., **10 აგვისტოს შემოვიდა:** აფხაზეთის პროფკავშირთა საბჭოდან—630 მან., დუშეთის სამაზრო პრობიუროდან—40 მან. **11 აგვისტოს შემოვიდა:** სამტრედიის საუბნო საგზაო კომიტეტიდან—216 მ. 95 კ., მედსანშრომის კავშირიდან—70 მ. 91 კ., ფოთის სამაზრო პროფბიუროდან—48 მ. 59 კ., საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირიდან—247 მ. 18 კ. **12 აგვისტოს შემოვიდა:** რაჭის სამაზრო პროფბიუროდან—66 მ. 35 კ. სულ 1.810 მ. 31 კ.

სულ წინეთ შემოსულთან ერთად—52.323 მანეთი და 72 კ.

გადაგზავნილია—47.245 მ.

დარჩენილია 14 აგვისტოსათვის—5.078 მ. 72 კაპეიკი.

სატელეფონო მეურნეობა ამიერ-კავ.

(მუშ. და გლ. ინსპექციის გამოკვლევა)

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაამთავრა ა.-კ. სატელეფონო მეურნეობის გამოკვლევა.

აღნიშნავს რა სატელეფონო მეურნეობის სწრაფ განვითარებას, განსაკუთრებით აზერბეიჯანში, ინსპექცია ტელეფონის საექსპლოატაციო პირობებს სთვლის არახელსაყრელად, რაც გამოწვეულია სამმართველოს მიზანშეუწონელი დეცენტრალიზაციით. ინსპექცია აღნიშნავს აგრეთვე ცენტრის მიერ ადგილობრივ მუშაობის სუსტ ხელმძღვანელობას, ტელეფონის მუშაკთა ზოგიერთი კატეგორიების ნაკლებ კვალიფიკაციას, მასალების არაწესიერ მოწოდებას, ანგარიშიანობის სირთულეს, ფინანსიური აპარატის ნაკლებ მოქნილობას და სხვ.

საქალაქთაშორისო, საქალაქო და ადგილობრივი ქსელის ტეხნიკური და საექსპლოატაციო პირობები საოლქო კავშირის სამმართველოს ხაზით დამაკმაყოფილებელია, ხოლო ადგილობრივი აღმასკომების ხაზით ტელეფონის ტეხნიკურ-საექსპლოატაციო პირობები ნორმალური და სატელეფონო კავშირის შესაფერი ვერ არის.

სატელეფონო საქმის ნაკლულოვანებად ჩაითვლებიან აგრეთვე ტელეფონის მოწყობილობის დაძველება, საქალაქთაშორის სადგურების შენობათა სივიწროვე, სადგურებ შორის საქალაქთაშორისო ხაზზე მომუშავე მუშაკთა ნაკლები დისციპლიანობა, ხოლო ზოგიერთ სადგურებზე სახაზო და სასადგურო სქემების უქონლობა და სხვა.

ამ ნაკლოვანებათა გამო, სატელეფონო მეურნეობის აღსადგენი მუშაობა უგეგმოდ და უწესრიგოდ წარმოებულა.

სატელეფონო მეურნეობის ფინანსიურ მდგომარეობას ეტყობა თანდათანობით გაუმჯობესება, თუმცა ტელეფონის ფინანსიურ მეურნეობის წარმოებაში აღნიშნულია მთელი რიგი დეფექტები, სახელდობრ: ექსპლოატაციის ფაქტიური შედეგები ძლიერ დაშორებულია ხარჯთ აღრიცხვას.

ადგილები დაგვიანებით ადგენენ საფინანსო ანგარიშებს, ხოლო დაწესებულებები სხვადასხვა დანიშნულებისათვის დაწესებულ თანხებს და სხვა.

ამ ნაკლულოვანებათა აღმოსაფხვრელად ინსპექციის მიერ გამომუშავებულ იქნა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებები, რომლის განხორციელებაც გააუმჯობესებს სატელეფონო მეურნეობის საორგანიზაციო სტრუქტურას და ტეხნიკურ-ფინანსიურ მდგომარეობას.

საკრედიტო ამხანაგობები

სიღნაღის მაზრა

მუშაობა საკრედიტო ამხანაგობათა მოსაწყობათ სიღნაღის მაზრაში დაიწყო 1924 წლის დამდეგს და მას შემდეგ მუშაობა საკრედიტო საქმის წინ წასაწევად არ შეჩერებულა.

ამჟამად სიღნაღის მაზრაში მოწყობილია 13 საკრედიტო ამხანაგობა, რომლებიც აერთიანებენ რვა ათასზე მეტს წევრს.

მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში ყველა ამ ამხანაგობებს სასოფლო მეურნეობის ასაღორძინებლად მოკლევადიანი სესხის სახით მცირე პროცენტების ქვეშ გაუციათ 632.781 მანეთი დახმარება, ხოლო გრძელვადიანი სესხის სახით დაახლოებით 40 ათ. მ. დახმარება გრძელვადიანი სესხი უმთავრესად ეძლეოდათ სტიქიურ უბედურებისაგან (სეტყვა, წყალდიდობა, გვალვა) დაზარალებულ მეურნეობებს. ამხანაგობებს გლეხებისათვის დაურიგებიათ აგრეთვე 180 ათ. მანეთის სხვადასხვა სას.-სამეურნეო იარაღები და ვენახების სამკურნალო მასალები. ამავე ამხანაგობების მიერ მიმდინარე წელს დამზადებულია 600.000 გრადუსი არაყი და 10 ათასი ვედრო ღვინო. ამხანაგობების მიერ დათესილია 1000 დესეტინამდე თამბაქო ლაგოდეხის რაიონში.

სახელმწიფო დაზღვევა

ბამბის ნათესების დაზღვევა

ამ.-კავკ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველომ შუამდგომლობა აღძრა სახელმწ. დაზღვევის მთავარ სამმართველოს წინაშე, ნება დართულ იქნეს საქართველოში დათესილ 5.000 დეს. ბამბის ნათესების ნებაყოფლობითი დაზღვევის გატარება. ნათესები დაზღვეული იქნება მოსავლის სრული ღირებულებით.

ბამბეულის დაზღვევა

ამ.-კავკ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველომ ნებაყოფლობითი დაზღვევის შემდეგი ტარიფი დააწესა ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ბამბეულის პლანტაციების დაზღვევისათვის: საქართველოსა და აზერბეიჯანში—2,2 პროც. ყოველი დესეტინის მოსავლის ღირებულებიდან; სომხეთში—რჩება ძველი ტარიფი— 25 პროც-ის შეღავათით.

დამზღვევი სააგენტოები

ამ.-კავკ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველომ წინადადება მისცა თავის აზერბეიჯანის განყოფილებას, რომ შუამდგომლობა აღძრას ბალაჯარა-დერბენტის რკინის გზაზე დაზღვევის აგენტურების მოწყობის შესახებ.

ნათესები

ამა წლის 1-ლ აგვისტოსთვის

საქ. სტატ. ცენტრ. სამმართველოს ცნობების მიხედვით ნათესების მდგომარეობა მთელ საქართველოში 1 აგვისტოსათვის გამოიხატება 3,6—ბალით.

აღმოსავლეთ საქართველოში	3,6
დასავლეთ საქართველოში	3,7
აჭარისტანში	4,0
აფხაზეთში	3,0
სამხრეთ-ოსეთში	4,0

მელიორაცია

ბამბის საქმის განვითარებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ბამბის ნათესების მორწყვა. კახეთში, მოურწყავ ადგილებში, გასულ წელს დესეტინაზე მოვიდა 5—15 ფ. ნედლი ბამბა იმ დროს, როდესაც იმავე რაიონში მორწყულ ერთ დესეტინაზე მოვიდა 60—100 ფ. ნედლი ბამბა.

საქართველოს მებამბეობის კომიტეტმა მიაქცია ამ მოვლენას ყურადღება და კიდეც მიიღო საჭირო ზომები. საგანგებო თათბირმა, რომელიც შესდგა საქ. საგეგმო კომისიაში, განიხილა კომიტეტის მიერ წამოყენებული ღონისძიებანი. თათბირმა ცალ-ცალკე განიხილა ბამბის რაიონების მდგომარეობა ამ მხრივ.

ბორჩალოს მაზრა. საქართველოს და სომხეთის წყალთა სამმართველოების შორის დადებულია ხელშეკრულება სადახლოს რაიონის არხების სათავეების რემონტის შესახებ. თათბირმა საჭიროდ სცნო, რათა წყალთა სამმართველომ განაგრძოს მუშაობა ამ შეთანხმების ცხოვრებაში გასატარებლად.

რემონტი და გამაგრება ხრამ-სულტანის არხისა იმგვარად არის გატარებული, რომ ბამბის კამპანიის მსვლელობას ხელი არ შეუშალოს.

ხრამის არხზე სწარმოებს მუშაობა. 20 მაისიდან არხში გაშვებულია წყალი. წყლის საქმეს აწყობს თვით საქ. მებამბეობის კომიტეტი წყლის სამმართველოს პროექტით. არხები გაწმენდილია.

ყარაიაზის რაიონში ახალი სათავის გაკეთება წრეულს შეუძლებელია, ვინაიდან ამ საქმისათვის გადადებული თანხა დაიხარჯა მიმდინარე სამუშაოებისათვის,—მაგისტრალურ მიმდინარე სამუშაოებისათვის,—მაგისტრალურ არხის გაწმენდაზე. გამოსაშვები არხები ზოგი გაწმენდილია, ზოგიც იწმინდება. საერთოდ არხების გაწმენდა, როგორც ბორჩალოს, ისე ყარაიაზის რაიონებში ვერ არის საფუძვლიანი, რადგან ამისათვის საჭირო თანხა არ მოიპოვება.

კახეთის რაიონის ელდარის სამუშაოების პროექტი შედგენილია. მუშაობა დაიწყება შემოდგომიდან. ამ რაიონის ნაწილი—5000 დეს. ირწყება ადგილობრივი სისტემით. ალაზნის რაიონის მორწყვა დაიწყება მხოლოდ 1928 წლიდან. იორ-მეღანლოს რაიონის მუშაობის პროექტი შედგენილია. ალაზნის გაღმა მხრის მორწყვის საკითხი შეტანილია გეგმაში მომავალ წლიდან.

დასავლეთ საქართველოში. საბჭოთა არხის დასამთავრებლად საჭიროა თანხა, რისთვისაც უნდა მოეწყოს სამელიორაციო ამხანაგობა. მუშაობის დამთავრების პროექტის შედგენა დავალებული აქვს ერთ-ერთ ინჟინერ—პოდრაველიკოვს.

„მაშველის“ არხის მოწყობა თავდება. მუშაობას აწარმოებს სამელიორაციო ამხანაგობა.

აჯამეთის არხის ხელოვნური ნაგებარის რემონტი შეუძლებელი ხდება, რადგან საჭირო კრედიტი ჯერ-ჯერობით არ არის გახსნილი.

ა.-კ. საგეგმო კომისიის მუშაობა

ამ.-კავკ. სახ. კომ. საბჭომ აუცილებლად სცნო, რომ ამ.-კავკ. სახელმწ. საგეგმო კომისიის წარმატებით მუშაობისათვის (შედგენა საკონტროლო მიმოხილვების, წლიური საკონტროლო ციფრების, სახალხო მეურნეობის საერთო წლიური გეგმის, საპერსპექტივო გეგმების ელექტროფიკაციის გეგმების და სხვ.) წინადადება მიეცეს ყველა სახ. კომ-ტებს, რათა მათ გააძლიერონ თავიანთი საგეგმო ორგანოების მუშაობა და თავის დროზე წარადგინონ ყოველგვარი მასალა და ანგარიშები ამიერ-კავკ. სახ. საგეგმო კომისიაში.

ვინაიდან შედგენილი გეგმა ნათელ სურათს უნდა იძლეოდეს მთელი ამ.-კავკასიის სახალხო მეურნეობისას, ამ.-კავკ. სახ. საგეგმო კომისიას მიეცა წინადადება, რომ თავის მუშაობის სისტემაში შეიტანოს ყველა ისეთი საერთო-საკავშირო წარმოებები და დაწესებულებები, რომლებიც ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუშაობენ.

ყველა სახ. კომისარიატები ვალდებული არიან, ამ.-კავკ. სახელმწ. საგეგმო კომისიას წარუდგინონ თავიანთი ანგარიშები, მიმოხილვებისა და სხ. ასლები.

რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებს მიეცათ წინადადება, დაავალონ რესპუბლიკანურ სახ. საგეგმო კომისიებს, რათა მათ წარადგინონ ამ.-კავკ. სახ. საგეგმო კომისიაში მნიშვნელოვანი გეგმების ასლები, რომლებსაც ისინი აგზავნიან რესპუბლიკანურ საკანონმდებლო ორგანოებში.

ამ.-კავკ. სახ. საგეგმო კომისიისა და ამ.-კავკ. ცენტ. სტატ. სამმართველოს მუშაობათა შეთანხმების მიზნით დადგენილ იქნა, რომ ამ.-კავკ. საგეგმო კომისიის პრეზიდიუმში შეყვანილ იქნას ამ.-კავკ. ცენ. სტატ. სამმართველოს მმართველი.

ტირიფონის ველი

ამჟამად ტირიფონის ველზე მიმდინარეობს სამელიორაციო მუშაობა, რომელიც დამთავრდება წლინახევრის განმავლობაში.

სარწყავი არხების გაყვანისთანავე გადაწყვეტილია ტირიფონის ველზე გადმოსახლებულთა ფონდისათვის გამოყოფილ იქნეს 3.317 დესეტინა მიწა. აქედან მიწადმოწყობის წესით გამოყოფილი იქნება 1.883 დესეტინა, ხოლო არხებით მოსარწყავ ფონდიდან 1.434 დესეტინა მიწები, რომელნიც წარმოადგენენ მოურწყავ მიწის ნაჭერს და რომელნიც ველის სამხ. ნაწილში მდებარეობენ, არხის გაყვანის დამთავრების შემდეგ შესაძლებელი გახდება ამ უბნებში 1.730 დესეტინის მორწყვა.

თვითეული მოსახლისათვის განზრახულია გამოყოფილ იქნეს 3 დესეტინა მიწა. ამ ვარაუდით ტირიფონის ველზე სამელიორაციო მუშაობის დამთავრების შემდეგ შესაძლებელი გახდება 700—730 კომლის დასახლება.

ტირიფონის ველზე გადმოსახლების მსურველთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ ხუთჯერ სჭარბობს მიწის იმ სივრცეს, სადაც შესაძლებელია დასახლების მოწყობა. პირველ რიგში ტირიფონის ველზე გადმოსახლებული იქნებიან იმ ადგილებიდან, სადაც მიწის სივიწროვეა, ან გავრცელებულია ციებ-ცხელება.

ბრძოლა ვენერიულ ავადმყოფობასთან

სამკურნალო ქვეგანყოფილების ცენტრალურ ამბულატორიასთან არსებულ კანის და ვენერიულ ავადმყოფობათა განყოფილებამ გააფართოვა საექიმო დახმარების აღმოჩენა დაზღვეულებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის.

ყოველდღიურად განყოფილებაში მუშაობს სამი ექიმი და სამი ასისტენტი. თვითეული მათგანი ყოველდღიურად მკურნალობს 70 კლიენტს. მოსულ ავადმყოფთა შორის 35 პროცენტი აღმოჩნდა სიფილისით დაავადმყოფებული, 55 პროც. ჰონორეით, ხოლო დანარჩენი პროცენტები—კანის და სხვა სნეულებით.

სტატისტიკურ სამმართველოში

დაინიშვნა

საქ. სტატისტ. ცენტრ. სამმართველოს დადგენილებით სიღნაღის მაზრ. სტატ. ბიუროს გამგეთ დანიშნულია ამხ. ი. მხეიძე, **ზუგდიდის** მაზრ-სტატბიუროს გამგეთ ამხ. ან. ნადარეიშვილი.

10% სასოფ. სამ. აღწერა

საქ. სტატისტ. სამმართველოს ცნობების მიხედვით: 10% სას.-სამ. აღწერა, რომელიც ამჟამად მთელ საქართველოში ხდება, ყველა მაზრებში ნორმალურად მიმდინარეობს. ზოგიერთ მაზრებში აღწერა უკვე დასრულდა და მასალები სტატ-სამმართველოში იგზავნება. მიღებული მასალების კრიტიკას და დამუშავებას უკვე შეუდგნენ.

სახ. კომისართა საბჭოში

კავკასიონის მთავარი ქედის ელექტრონული რკინისგზა

სახკომსაბჭომ დაამტკიცა კავკასიონის მთავარი ქედის საუღელტეხილო ელექტრონული რკინისგზის გამომკვლევი სააქციო საზოგადოების წესდების პროექტი.

პენსიონერთა შესახებ

საქართველოს სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის მიერ შედგენილი პენსიონერთა სიაში შეტანილ იქნებიან მხოლოდ ისეთი პირნი, რომელთაც მიუძღვით რესპუბლიკის წინაშე ნამდვილი ღვაწლი და დამსახურება.

კონტროლის დაწესება ვაზის გაშენებაზე

სახკომსაბჭომ მიიღო მიწსახკომის მიერ შემუშავებული დადგენილების პროექტი—ამერიკული ვაზის სადედის, ნამყენი ვაზის სანერგისა და ვენახების ახლად გაშენებისათვის კონტროლის დაწესების შესახებ.

საშემოსავლო გადასახადის ახალი დებულება

სახკომსაბჭომ მიიღო ფინსახკომის მიერ შემუშავებული ახალი დებულების პროექტი საშემოსავლო გადასახადის შესახებ.

შინამრეწველობის ტეხნიკური და ეკონომიური გამოკვლევა

სახკომსაბჭომ ნება მისცა ს. მ. უ. საბჭოს შინამრეწველობის ეკონომიური და ტეხნიკური გამოკვლევისათვის საჭირო ხარჯები შეიტანოს მომავალი 1926—27 საბიუჯეტო წლის ხარჯთაღრიცხვაში.

სამლოცველოების დაზღვევა

სახელმწიფო დაზღვევის მთავარ გამგეობის წინადადების თანახმად, ნება მიეცა სახელმწიფო დაზღვევის სრულიად საქართველოს კანტორას, 1926—27 საოპერაციო წლიდან, შეუდგეს რელიგიურ საზოგადოებების და კერძო პირებზე იჯარით გადაცემულ სამლოცველოების დაზღვევას.

ავეჯის ფაბრიკა

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალურ განყოფილებას თბილისში აქვს მექანიკური ქარხანა. ამჟამად კომუნალური განყოფილება აწარმოებს მუშაობას ამ მექანიკური ქარხნის გასაფართოებლად. სახელდობრ კომუნალური განყოფილება ქარხანასთან აწყობს სხვადასხვა დგამების—ავეჯის დასამზადებელ განყოფილებას. წინასწარი მუშაობა უკვე დამთავრებულია. შეძენილია ამ განყოფილებისათვის საჭირო ნედლი მასალა. ფაბრიკა უკვე სავსებით დატვირთულია სხვადასხვა შეკვეთებით.

პირველ რიგში ფაბრიკა დაამზადებს კომუნალური განყოფილების შეკვეთებს. განყოფილებას ფაბრიკისათვის შეკვეთილი აქვს 100 კომპლექტი ავეჯის დამზადება თბილისის კომუნალური სასტუმროებისათვის.

შემდეგ ფაბრიკა შეასრულებს სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციების და აგრეთვე კერძო მოქალაქეთა შეკვეთას. ფაბრიკა წლის განმავლობაში დატვირთული იქნება შეკვეთებით, რადგან ავეჯის საჭიროება თბილისში მეტად დიდია.

მეტეოროლოგიური ქსელი

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა გამოიმუშავა რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო მეტეოროლოგიური ქსელის მოწყობის გეგმა.

ამ მოკლე ხანში გეოფიზიკურ ობსერვატორიასთან დაარსდება სასოფლო- სამეურნეო მეტეოროლოგიის განყოფილება, რომელიც სისტემატიურად შეკრებს ცნობებს მეტეოროლოგიურ მოვლენების შესახებ.

ზოგან მეტეოროლოგიური პუნქტები უკვე მოწყობილია.

სანატორიუმები

ახალი სანატორიუმი

ამიერ-კავკასიის სოც. დაზღვევის მთავარი სამმართველო ამჟამად გაძლიერებულის ტემპით აწარმოებს მუშაობას აბასთუმანში დიდი სანატორიუმის მოსაწყობათ. ამ სანატორიუმში ამ.-კავკასიიდან და მთელ საბჭოთა კავშირიდან გაიგზავნებიან უმთავრესად ფილტვებით დაავადმყოფებულები. სანატორიუმი თავის სიდიდით „არაზინდოზე“ მეტი იქნება. ამ სანატორიუმის მოსაწყობად სოც. დაზღვევის მთავარ სამმართველოს მიეცემა 800.000 მანეთი. სანატორიუმის გახსნა განზრახულია 1928 წლის 1-ლ იანვრისათვის.

მუშები სანატორიუმებში

სოც. დაზღვევის მთავარ სამმართველოს ცნობით, ამჟამად საქართველოს და სომხეთის სანატორიუმებში (ბორჯომი), აბასთუმანი, და სხ.) სამკურნალოდ იმყოფება 617 ავადმყოფი. გარდა ამისა, სოც. დაზღვევის მთავარ სამმართველოს ხარჯით დაზღვეულთა ნაწილი გაგზავნილია სამკურნალოდ კისლოვოდსკისა, ესსენტუკისა, პიატიგორსკისა, სოჭისა, იალტასა, ანაპისა, გაგრისა და სხვა ადგილების სანატორიუმებში.

განათლების ფრონტზე

სამოსწავლო წლის დასაწყისი

სასწავლებელში შესვლის მსურველთა თხოვნების მიღება

სამშაბათიდან, 17 აგვის. დაიწყება თბ. შრომის სკოლებს, ტეხნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში და სხვა ტიპის სკოლებში შესვლის მსურველთა განცხადებების მიღება. შრომის სკოლებსა და ტეხნიკუმებში შესვლის მსურველებმა განცხადებები უნდა შეიტანონ სათანადო სასწავლებლების პედაგოგიურ საბჭოებში, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის მსურველებმა მიმღებ კომისიაში. მოწმობები სოციალური მდგომარეობის შესახებ აღებული უნდა იქნეს პროფკავშირში ცენტრალურ გამგეობებიდან, ან სამაზრო პროფბიუროდან.

გამოცდები შრომის სკოლებსა და ტეხნიკუმებში დაიწყება სექტემბრის დამდეგს.

ახალი ტეხნიკუმები

თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილება წრევანდელ სამოსწავლო წლიდან იწყებს 9 წლედების რეორგანიზაციას. გამომუშავებული პროექტის მიხედვით შემცირებული იქნება 9 წლედებში ჯგუფების რიცხვი და მათ ნაცვლად მოეწყობა ახალი ტეხნიკუმები. ქართულ ენაზე გაიხსნება—პედაგოგიური ტეხნიკუმი, სომხურ ენაზე მიწისმზომელთა ტეხნიკუმი, გაიხსნება აგრეთვე კომუნალური, ელექტრო-ტეხნიკური და კოოპერატიული ტეხნიკუმები. კომუნალურ ტეხნიკუმს ექნება ორი განყოფილება—საარქიტექტორო-საამშენებლო და ეკონომიურ-მუნიციპალური.

სას.-სამ. სკოლების მასწავლებელთა კონფერენცია

მესამე სხდომა

სასოფლო-სამეურნეო განათლება და სამეურნეო სკოლები

ამხ. ღლონტის მოხსენება

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო განათლების საქმეში დიდ როლს თამაშობს საერთოდ სამეურნეო ცოდნით აღჭურვილ კადრის ყოლა, ამიტომ საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის გაცხოველება. გარდა ამისა საჭიროა კოლექტიური მეურნეობის წარმოება სოფლად, რისთვისაც გლეხობა უზრუნველყოფილ უნდა იქნას სასოფლო-სამეურნეო იარაღებით. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია საუკეთესო საშუალება კოლექტიური მეურნეობის განსავითარებლად.

მომხსენებელს საჭიროთ მიაჩნია აგრეთვე კოოპერატიული პრინციპის გატარება სოფლის მეურნეობაში და ვრცლად აშუქებს ამ საკითხს. შემდეგ მომხსენებელი აცნობს კონფერენციას სამი ტიპის სამეურნეო სკოლებს და ხაზს უსვამს სასოფლო-სამეურნეო დარგში სპეციალისტთა კადრის მომზადების საჭიროებას.

დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო სკოლებში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც თეორეტიულ, ისე პრაქტიკული ცოდნის გავრცელების საქმეს.

ამავე სხდომაზე კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია ამხ. ხოფერიას მოხსენების გამო—საქართველოს სასოფლო-მეურნეობის მდგომარეობისა და მისი პერსპექტივების შესახებ.

მესაქონლეობის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები

(პროფ. ჯანდიერის მოხსენება)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რქოსანი საქონლის რიცხვი ამჟამად საქართველოში უდრის 2.737.530 სულს, ხოლო შინაური პირუტყვი კი 3.426.049 სულს.

მომხსენებელი შეეხო იმ ღონისძიებებს, რომლებიც სათანადო ორგანოებს დასახული აქვთ ცხოვრებაში გასატარებლად.

შემდეგ მომხსენებელმა ხაზი გაუსვა მემინდვრეობის საქმის განვითარების საჭიროებას.

სავეტერინარო მუშაობის გაფართოება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გაფართოებული იქნება სავეტერინარო უბნების ქსელი, მოეწყობა უბნებში ამბულატორიები, საავადმყოფოები და დაკმაყოფილებული იქნება ვეტპერსონალი მიმოსვლის საშუალებით.

შემდეგ პროფ. ჯანდიერი აცნობს კონფერენციას მესაქონლეობის განვითარების მორიგ ამოცანებს და აღნიშნავს, რომ საჭიროა ამ მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასოფლო-სამეურნეო სკოლების მასწავლებლებმა.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჭიროა ზოოტეხნიკური სადგურების ქსელის გაფართოება.

მოხსენების გარშემო მისაღებ რეზოლიუციის შემუშავება კონფერენციამ დაავალა სპეციალურ კომისიას.

ახალი ფაკულტეტი

სახელმწიფო უნ—ის ცხოვრებიდან)

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა ინტენსიურათ დამუშავება და მისი მაქსიმალურად გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ამ საქმის ხელმძღვანელნი იქნებიან უმაღლესი ცოდნით აღჭურვილნი. მშრომელთა წრიდან გამოსული სპეციალისტები, გატაცებულნი ჩვენი მშრომელთა რესპუბლიკის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინების იდეით.

ჯერ კიდევ 1916 წელს, იმპერიალისტურ ომის დროს, რუსეთში სამკურნალო-საწამლო ნივთიერებებზე შექმნილი კრიზისის გამო (ომამდე სამკ.-წამ. ნივთიერებანი უმთავრესად ევროპიდან შემოდიოდა) მთავრობამ მოაწყო განსაკუთრებული თათბირი, რომელსაც უნდა შეემუშავებინა გეგმა პრაქტიკული მოქმედებისა სამკურნალო-საწამლო მცენარეთა კულტ-ის, მისი შეძენის, დამუშავების და სხვ. იქ გამოირკვა რომ ა.-კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში, შავი ზღვის უბნებში, მრავალ-სამკურნალო-საწამლო მცენარეთა მიღების შესაძლებლობა.

ამ მიზნით დაარსდა მოკლე ვადიანი კურსები. შემდეგ ქიმიო-ფარმაცევტიული ფაკულტეტი: ლენინგრადში, მოსკოვში, პერმში, ოდესაში, ხარკოვში და სხვაგან. საქართველოშიც, 1923 წ. სახელმწიფო უნ—ში, პედაგოგიურ ფაკულტეტთან იგი არსდება განყოფილების სახით. პროფ. ი. ქუთათელაძის თავდადებული შრომით განყოფილებამ მიიღო ფრიად სერიოზული სახე. ამჟამად ხსენებულ დარგზე ირიცხება 500-მდე სტუდენტი. მათში საგრძნობი რაოდენობა გადმოსულია სხვადასხვა ფაკულტეტებიდან, უმთავრესად კი სამკურნალოდან.

მაგრამ, როგორც ვიცით, ყოველთვის ახლად დაწყებულ საქმეს იქვის თვალით უცქერიან. ასეთი ბედი ეწვია ჩვენს ფაკულტეტსაც.

ზოგიერთები მოითხოვდენ ფარმაცევტიული განყოფილების სამკურნალო ფაკულტეტზე მიკუთვნებას. ეს მოასწავებდა ქიმიო-ფარმაცევტიულ განვითარების დამახინჯებას. ამან გამოიწვია ქიმიო-ფარმ. დარგის პროგრამის და მისი პერსპექტივების ხელახლა გადასინჯვა. უკანასკნელ ხანებში აშკარა შეიქნა ქიმიო-ფარმაცევტიულ ფაკულტეტის ცალკე გამოყოფა.

ამ მიზნით გამოიყო იგი სამკურნალო ფაკულტეტიდან და დაარსდა, როგორც ცალკე ფაკულტეტი.

ამიერიდან ახალი ფაკულტეტი ფრთას შლის და ახლო მომავალში დავინახავთ საქართველოში გაჩაღებულ ქიმიო-ფარმაცევტიულ მრეწველობას ახალ სპეციალისტთა კადრით. ამ საკითხის გადაჭრით, უდავოა, ჩვენი უნ—ის ხელმძღვანელებმა, კერძოთ: რექტორ ამხ. თ. ღლონტმა, პედაგ. ფაკ. დეკ. ამხ. კ. სულაქველიძემ და აგრეთვე ჯანსახკომის ფარმ. განყ. გამგემ. ამხ. ქ. გოგიბერიძემ კიდევ შესძინეს უნ—ტეტს სპეციალურ ცხოვრებასთან უფრო ახლო მდგომი ფაკულტეტი.

ლ. დადუნაშვილი.

პატარა ფელეტონი

მთლიანი კოოპერატივი მთლიანად შეჭამა

1

ის იყო სოფლის ჭირისუფალი.
— პატრონი
— მზრუნველი.
— მშვიდი, კეთილი, ტკბილი.
არავის ამოურჩევია,
არაფერი დაუვალებიათ
მაგრამ თითონ ერჯოდა გული,—
თუმცა ჯერ არაფერი გაუკეთებია,
მაგრამ უსაქმოდ ვერ ისვენებს.
— რჩევას აძლევს ხალხს.
— ასწავლის.
— ცდილობს გულის მოგებას.
აგროვებს ფულებს:
— სკოლისათვის.
— წყალსადენისთვის.
— სახალხო სახლისთვის.
— ტრაქტორიზაციისთვის...
— ქვრივებისათვის...
— ხალხო გაიღვიძე!
— გზა გავაკეთოთ.
— არხიც გამოვიყვანოთ.
— კოოპერატივი დავაარსოთ.
— ამერიკული ვაზი ჩავყაროთ.
— ჭაობი ამოვაშროთ
— აბრეშუმის ქია მოვიყვანოთ.
— ფუტკარი გავიჩინოთ.
— გაზეთი გამოვიწეროთ
— გავნათლდეთ
— გამოვფხიზლდეთ!
ხა—ლხო—ოო!!
მას ჰქონდა დიდი გული
და უფრო დიდი „გაქანება“...

—:—

სოფელიც ხედავდა მის უანგარობას.
— სიკეთეს.
სოფელიც არაფერს დაივიწყებს
და ერთ დღეს კიდეც დააფასა,
— კიდეც დააჯილდოვა...
— ამოირჩია გამგედ
— მთლიანი კოოპერატივის განყოფილებისა.
— უკეთესს ვის იშოვიდნენ,
— ვის ენდობოდნენ?

—:—

2

— გამართლდა სოფლის იმედები.
— ჩაიწვა საქმეში.
— მოსვენება არ იცის რა არის.
— დარბის...
— დარბის კი არა დაფრინავს
— სოფლიდან ქალაქში
— ქალაქიდან სოფელში...
— ოფლი გადასდის. კვეხულობს.
— ყვირის. ლაპარაკობს
— საქონელიც უხვათაა კოოპერატივში:
— შაქარი, მარილი, საპონი
— და სხვა და სხვა.
— ბედნიერია სოფელი...
— ჭეშმარიტად!
— გაუმარჯოს სოფლის მოღვაწეს...

3

ორი ზამთარი გავიდა...
ორი გაზაფხული დაჭკნა...
დარდმა თუ მზრუნველობამ დააჭკნო მისი სახეც...
ვეღარ იცნობთ.
გამოიცვალა...
საქმეზე გული აიცრუა
სოფელი ხშირად რჩება
— უნავთოდ
— უშაქროდ
— უმარილოდ...
— რა ამბავია,
რათ გვიღალატა...
— რაღაცა დარდი კლავს
— შეყვარებული თუა?
ჩურჩულებენ სოფლის გოგოები
— მაშ რათ მოიყვანა ქალაქიდან
— მოლარე ქალი?!
— წითელთმიანი!
— შეყვარებულია?!..
ასე მიდიოდნენ დღეები..,
და ერთ მაისის დილას,
როცა კოოპერატივის მოლარე ქალს
სალაროში, ჭიქით ვარდის თაიგული დადგა
და გამვეს
— ვარდის ღიმილით გადმოხედა—
უკანასკნელმა რატომღაც იგრძნო—
— სიკვდილის სიახლოვე. წარმოიდგინა თავი კუბოში
— და ვარდებიც მის კუბოზე დასაყრელად...
— საღამოზე სევდიანი წავიდა სახლში...

4

როცა მთელ სოფელს ეძინა
და მამალი სადღაც ყიოდა
ის ცხარედ ებრძოდა საანგარიშო ჩოთქს
და ჩოთქთან ერთად სინდისს.
— საშინელი, ოფლის მწურავი იყო ეს ბრძოლა..
როცა შუაღამე გათავდა
და ცაზედ გათენება გამოირევა.
— ჩოთქზედაც გამოირევა:
რომ მან:
— მთლიანი კოოპერატივი, მთლიანად შეჭამა!.
მეტად ულმობელი გამოდგა
— ჩოთქი და სინდისი!
ჩოთქი გადისროლა ვაბრაზებით
(სინდისი ხომ ადრევ გადისროლა!)
შემოიკრა თავში ხელი და ჩაფიქრდა...
— ერთ წუთში თვალწინ გაირბინა მთელმა სიცოცხლემ...
— ბავშვობა.. ოქროს დღეები.. ჩანჩქერები, მინდორი..
ოთხკლასიანი სასწავლებელი.. სიყვარული ქეიფები..
მოღვაწეობა. კაზინო თბილისში.. წითელთმიანი მოლარე ქალი...
— რა მალე გასულა ყველაფერი..
— ეხლა მის წინ სიკვდილი წამდგარა და იცინის..
სიკვდილის კბილებმა გაანათა მთელი ოთახი სითეთრით..
მერე წამში დაბნელდა—
და მის წინ აიმართა:
— მაღალი, შავი აჩრდილი ციხისა..

....

— ციხევ, მოგიკვდეს ამშენებელი.
— შენ ხარ ვაჟკაცის დამლონებელი...
ეჰ...

5

მზის ამოსვლამდე ლესავდა სამართებელს
და სწერდა წერილებს.
სამართებელი გალესა, როგორც ალმასი.
— წერილი დასწერა 40.
— აღმასკომის თავმჯდომარეს
— მის მოადგილეს
— მთლიანი კოოპერატივის თავმჯდომარეს
— მის თანაშემწეს
— პრეზიდიუმს.
— სავაჭრო განყოფილების უფროსს
— საქმეთა მმართველს
— გლეხკომის ვამგეს
— რაიონის მილიციას.
— ნოქრებს
— წყეულს წითელთმიან მოლარე ქალს
— უბედურ მშობლებს
— მეზობლებო, მეგობრებო, კეთილისმყოფლებო
— ნაამაგარ სოფელს
— და სხვებს...
ყველა წერილები თითქმის ერთი შინაარსისა იყო
დაახლოვებით:
— ცა და ქვეყანა მოწმეა, რომ ის იყო პატიოსანი დარაჯი სოფლისა... ერთგული..
მშრომელი და თავდადებული..
— არას დროს არ უფიქრია ქურდობაზე ყაჩაღობაზე...
და ეხლა თითონაც უკვირს, როგორ მოხდა..
(რომ მთლიანი კოოპერატივი მთლიანად შეჭამა.)
მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ერთი შეგნება მაინც შერჩა სიკვდილის კარამდე
— ის ყოველთვის ებრძოდა უსინდისობას და ეხლაც ღირსეულად უსწორდება
თავის უსინდისო თავს. ღირსეული სასჯელით
— მწარე სიკვდილით.
— მშვიდობით... პირშავად სიცოცხლე აღარ მინდა ამ ქვეყნად...
— ავად ნუ მომიგონებთ...
... და მზემ თავის მკრთალი სხივები წყვდიადს გამოუსვა თუ არა,
— მან, სრულიად უყოყმანოდ და სრულიად ვაჟკაცურად
— გამოისვა ყელში
— სამართებელი
— სამჯერ...

ტარტარენ ტარასკონელი.

ქრონიკა

ამხ. დოგადოვის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა სრულიად საკავშირო პროფესიონალურ კავშირების საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი ამხ. დოგადოვი, რომელიც იმ დღესვე გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში.

შრომის დაცვის საქმის გამორკვევა

თბილისში ჩამოვიდა რ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ვინკოვი, რომლის მიზანია შრომის დაცვის მდგომარეობის გაცნობა საქართველოში. მან უკვე დაათვალიერა „26 კომუნართა“ სახელობის ლითონის ქარხანა და ზაჰესი. ამჟამად აწარმოებს შრომის დაცვის პირობების შესწავლას სასაკლაოზე და ტრამვაის სახელოსნოებში რის შემდეგ გაეცნობა თუ როგორ არის დაყენებული მუშაობა შრომის დაცვის კამერებში ასერთოდ. ამავე მიზნით ის გაემგზავრება ქიათურაში და ტყიბულში. საქართველოდან ამხ. ვინნიკოვი გაემგზავრება სომხეთში და აზერბეიჯანში.

თანამშრომელთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის

ამ.-კავკ. სოც. დაზღვევის სამმართველომ რესპუბლიკანურ განყოფილებებს შორის გაანაწილა თანამშრომელთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდი—4.060 მანეთი. ეს თანხა დაიხარჯება მხოლოდ თანამშრომელთა საკურორტო მკურნალობისათვის და დასასვენებელი სახლების მოსაწყობად.

საქონლის შემოტანის გეგმის შემმუშავებელი კომისია

— მებამბეობის რაიონში საქონლის შემოტანის გეგმის შემუშავებისა და ამ წლის ბამბის მოსავლის ფასების გამოსაკვლევად ამიერ-კავკ. სახ. კომ. საბჭომ დაარსა განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც შედიან: ამხ. **ელიავა**, **ნაზარეტიანი** და **ტერ-გაბრიელიანი**.

ამ.-კავკ. წყალთა მეურნეობა

— ამ.-კავკ. სახ. კომ. საბჭომ დაადგინა, რომ არსებული დებულება ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის შესახებ, სავსებით დარჩეს ძალაში, რის შესახებაც ეცნობოს რესპუბლიკანურ სახ. კომ. საბჭოებს.

გადაწყდა, რომ ამ.-კავკ. წყალთა მეურნეობასთან დაარსდეს მუშათა კოლეგია. კომისიას, რომელშიაც შედიან ამხ. **ლუკაშინი**, **ელიავა** და **ნაზარეტიანი**, მინდობილი აქვს დაამუშაოს სტრუქტურის საკითხი და შეადგინოს დებულება ამ კოლეგიის შესახებ.

სარეწაო გადასახადი

— სარეწაო გადასახადის საკითხის დასამუშავებლად ამ.-კავკ. სახ. კომ. საბჭომ შეადგინა კომისია, რომელშიაც შედიან: ამხ. **ლუკაშინი**, **ირქომაიშვილი**, **გაჯინსკი**, **ტერ-გაბრიელიანი** და **პუკრეევი**.

ამ კომისიის გარდაწყვეტილებანი საბოლოოა.

თბ. აღმასკომში

კომუნარების ბაღის საზეიმო გახსნა. დღეს 15 აგვისტოს მოხდება კომუნარების (ყოფილი ალექსანდროვის) ბაღის საზეიმო გახსნა.

აბანოებში. ივნისის და ივლისის განმავლობაში თბილისის აბანოებში უბანავნია 268.074 კაცს.

— **წინადადება.** ალბულახში ბინების — სივიწროვის გამო, თბილისის აღმასკომმა წინადადება მისცა ალბულახის აღმასკომს, რათა ადგილობრივ მოსამსახურეებს უფასო ბინები არ ეძლეოდეს.

შრომის სახალხო კომისარიატში

— **თათბირი.** ამა წლის სექტემბრის 27 მოსკოვში შესდგება სრულიად საკავშირო რესპუბლიკების შრომის დაცვის ორგანოების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც საქართველოდან დაესწრება ერთი წარმომადგენელი.

— **სპეცტანისამოსების ახალი წესები.** შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებას სანიტარული სექციის მიერ გამომუშავებულია ბორჯომის მიწის და გაზის ქარხნების მუშებისათვის სპეცტანსაცმელის მიცემის ახალი წესები.

— **მუშა ახალგაზრდობის აღრიცხვა.** ამ დღეებში შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილება ჩაატარებს შინა მრეწველობაში ჩაბმულ მუშა ახალგაზრდობის აღრიცხვას.

კრებები და მოხსენებები

— **სამშაბათს 17 აგვისტოს.** საღ. 7 საათზე გან. მუშ. სახლში (კოლუბნის ქ. № 3) მოწვეულია ადგილკომების თავმჯდომარეებისა და მდივნების საერთო კრება.

— **ოთხშაბათს, 18 აგვისტოს** საღამოს 5 საათზე რ.-ვ. მუშ-ფაკის შენობაში დანიშნულია მუშფაკის სტუდენტთა საერთო კრება.

სხვადასხვა

ინტერვენციის მსხვერპლთა დამხმარე საზოგადოების სრულიად საქართველოს კომიტეტი ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმისა, იღებს საბჭოთა მოქალაქეებისაგან საპრეტენზიო განცხადებებს იმ ზარალის შესახებ, რომელიც მათ, საქართველოს გასაბჭოებამდე, მიაყენეს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ჯარებმა, აგენტებმა და ქვეშევრდომებმა.

განცხადებები მიიღება კეცხოველის ქუჩაზე (ყოფ. ლორის-მელიქოვის ქუჩაზე), № 7 (საქ. ფინსახკომი), ოთახი № 8. დღით 12 საათიდან 2 საათამდე და საღამოობით 7 საათიდან 9 საათამდე.

— **სპორტინტერნის 5 წლის თავი.** ბაქოში გაემგზავრა თბილისის ბასკეტბოლის გუნდი, რომელიც მიიღებს მონაწილეობას 15 აგვისტოს, წითელი სპორტინტერნის 5 წლის თავის აღსანიშნავად გამართულ შეჯიბრში.

— **გლეხთა სასადილო.** ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტმა გლეხთა სახლთან გახსნა იაფ-ფასიანი სასადილო.

ხელოვნების ქრონიკა

— **ახალი თეატრი.** აღმასკომი ამთავრებს ამხ. ნარიმანოვის სახელობის თეატრის (მაიდანზე) შენობის აგებას; თეატრი დაიტევს 700 მაყურებელს.

— **დიდი სეირნობა-კონცერტი.** დღეს 15 აგვისტოს მუშათა ახალ კლუბში შესდგება დიდი სეირნობა-კონცერტი. მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო ოპერის მსახიობნი: ქუმსიაშვილი და ვენაძე. სახელმწიფო ოპერის ბალეტის მსახიობი—თ. ჭაბუკიანი და სხ.

— **საქართველოს ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების ორკესტრი**, რომელიც შარშან ზაფხულს ბორჯომში უკრავდა, წელს აბასთუმანშია მოწვეული. ეს ორკესტრი, რომელიც თითქმის სულ ახალგაზრდებისაგანაა შემდგარი, ერთად-ერთი კულტურული გასართობია აბასთუმნის მცხოვრებთათვის. მოკლე ხნის განმავლობაში ორკესტრმა არაჩვეულებრივი სიმპატია მოიხვეჭა, ყოველ კონცერტს დიდძალი ხალხი ესწრება. ლოტბარობს ორკესტრს ახალგაზრდა კომპოზიტორი და დირიჟორი შალვა თაქთაქიშვილი. საორკესტრო რეპერტუარი შევსებულია ცალკე სოლისტების გამოსვლით, რომელთა შორის ყურადღებას იქცევენ თავისუფალი ხელოვანი ვახტანგ ნეიმანი და ვიოლონჩელისტი გიორგი გველესიანი.

აბასთუმნელი.

საბინაო მშენებლობა

ახალი სახლები

ამჟამად საბინაო-საამშენებლო ამხანაგობათა კავშირი „საბინაო კავშირი“ თბილისში აგებს სახლებს შემდეგ რაიონებში:

ნაძალადევში—7 სახლს, რომელიც შესდგება 13 ორ ოთახიანი ბინისაგან, **დიდუბეში** 7 სახლს—22 ბინისაგან, **ვაკეში**—ერთს ორსართულიან სახლს 4 ბინით, გარდა ამისა ქალაქის სხვა უბნებში შენდება კიდევ 13 სახლი სხვადასხვა კოოპერატიული ამხანაგობებისათვის.

მოკლე ხანში დაიწყება მუშაობა „მელითონეთა ამხანაგობის“ სახლის ასაგებათ დიდუბეში. საამშენებლო ამხანაგობები უზრუნველყოფილი არიან მასალით და მუშა ხელით.

მუშათა სახლი, რომელიც შენდება მუშტაიდის და პლეხანოვის ქუჩების კუთხეში, დამთავრდება ოქტომბრის პირველ რიცხვებისათვის. სახლს ექნება 160 ოთახი. დამტკიცებულ გეგმით მეორე მუშათა სახლს დამტკიცებულიისთაგიდ მეორე მუშათა სახლი იქნება 80 ოთახიანი. მიმდინარე წლის დამლევამდე აგებული იქნება 6 კორპუსი.

ექსკურსიები

15 და 16 აგვისტოს შესდგება მთელი რიგი ექსკურსიები:

1) ექსკურსია ბორჯომ-ბაკურიანში, რომელსაც აწყობს მელითონეთა, ფეიქართა და საბჭოთა და სავაჭროთა მოსამსახურეების კავშირები; ექსკურსიას ხელმძღვანელობს პროფესორი ვინოგრადოვ-ნიკიტინი.

2) ბათომში მიდის ექსკურსია ადგილობრივ ტრანსპორტის და საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურეების.

3) 14 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე საქ. პროფკავშირის მიერ მოწყობილი ექსკურსია გაემგზავრა კარაკლისში.

საგანგებო დაზღვევა

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა: 1926—27 საოპერაციო წელში შემოღებულ იქნას სავალდებულო საგანგებო დაზღვევა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დასეტყვისაგან და სას.-სამეურნეო ცხოველებისა სიკვდილისაგან მთელს აღმოსავლეთ საქართველოში (ახალქალაქის, ახალციხის, დუშეთის, გორის, თბილისის, თიანეთის და სიღნაღის მაზრებში) და სამხრეთ-ოსეთში.

თბილისის აღმასკომი და მისი მუშაობა

1920 წელში თბილისის აღმასკომის (მაშინდელი სახელწოდებით თვითმართველობის) მუშა-მოსამსახურენი შესდგებოდა 575 კაცისაგან.

გასაბჭოების შემდეგ აღმასკომის მუშაობა თანდათან გაფართოვდა, წამოიჭრენ სხვადასხვა კულტურულ-სოციალურ ხასიათის მოთხოვნილებანი, რომელთაც დაკმაყოფილება აუცილებელი შეიქნა.

ამ საქმიანობის გაფართოებას ბუნებრივად თან მოჰყვა აღმასკომის პირადი შემადგენლობის საგრძნობლად გადიდება. ამ გაფართოების და შტატების გადიდების დროს ხელმძღვანელები მუდამ ითვალისწინებდენ ნაციონალიზაციის პრინციპს და 1926 წლის პირველ იანვრისათვის ჩვენ შემდეგი სურათი მივიღეთ:

აღმასკომის მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი განყოფილებებისა და ეროვნების მიხედვით:

განყოფილებანი	ქართვ.	სომეხი	რუსი	ადერბეჯ.	დანარ.	საერ.
1. სამდივნო	35	3	—	—	—	38
2. საგეგმო კომისია	9	—	—	—	—	9
3. სამნეო განყოფილება.	21	7	5	—	—	33
4. ადმინისტრატ. „	713	138	44	22	59	976
5. ჯანმრთელობ. „	893	286	325	13	130	1.647
6. განათლების „	1359	777	537	71	288	3.039
7. საფინანსო „	360	44	17	1	12	433
8. სტატისტიკური „	42	3	2	—	—	47
9. საკონტროლო „	18	2	3	—	—	23
10. კომუნალური „	1.744	1.038	558	59	251	3.650
11. კომუნალური ბანკი	105	8	10	—	3	126
12. ლომბარდი.	34	1	1	—	2	38
13. ზაჰესი	370	59	57	3	20	509
14. თემალმასკ. და სოფ. საბჭ.	124	25	12	7	28	196
	5.827	2.391	1.570	175	793	10.757

ასეთი სურათის გადაშლა არ ესიამოვნებათ ქართველი ემიგრაციის სულის ჩამდგმელებს. არ ესიამოვნებათ იმიტომ, რომ მოყვანილი ცხრილი სრულიად არღვევს იმათ დემაგოგიურ გამოსვლებს დაწესებულებების „გასომხების“ და „გარუსების“ შესახებ. თბილისის მცხოვრებნი ეროვნების მიხედვით ასე განიყოფებიან.

1926 წლის 1 იანვრისათვის

ქართველები	107.865—37,1 %
სომხები	103.419—35,7 “
რუსები	44.780—15,4 „
თურქები	2.867—0,9 „
ებრაელები	10.462—3,6
დანარჩენნი	20.769—7, „
გამოურკვეველი	142—0,1 „
სულ	289.805—100%

თუ თბილისის მცხოვრებთა ეროვნული შემადგენლობის მიხედვით გავარჩევთ ჩვენ მიერ მოყვანილ პირველ ცხრილს დიდ „უკანონობას“ დავინახავთ იმ მხრივ, რომ შედარებით ქართველებთან სომხები და რუსები ქალაქის მეურნეობაში ძალიან პატარა პროცენტი არის ჩაბმული. ეს შედეგია ნაციონალიზაციისა, რომლის გატარებას კომპარტიამ მტკიცედ მოჰკიდა ხელი და რომელიც ვერ იქნა გატარებული 20%-ითაც კი იმ კაცთა [illegible] შოვინისტურ სახელმწიფოს დროს, როდესაც მენშევიკები ბატონობდენ.

ეხლა გადავალთ აღმასკომის მეურნეობის მთავარი დარგების პროდუქციის ზრდა-განვითარების [illegible].

მაგალითისათვის მოვიყვანთ სამ მთავარ წამოწყებას: წყალსადენს, ტრამვაის და სასაკლაოს.

წყალსადენი

წყლის მოდენა ავჭალიდან

მაგალითისათვის მოვიყვანთ სამ მთავარ წამოწყებას წყალსადენს, ტრამვაის და სასაკლაოს.

1920 წელი	425.244.055	ვედრო
1924 „	457.479.272	„
1925 „	476.416.716	„

წყლის აღრიცხვა ქალაქში

1920 წელი	321.040.882	ვედრო
1924	347.468.388	„
1925	361.840.294	„

წყლის დაქცევა

1920 წელი	104.203.123	ვედრო
1924 „	110.010.734	„
1925 „	734.576.422	„

ამ ციფრებიდან მკითხველს თვალში ეცემა ის მდგომარეობა, რომ 1925 წელში წყლის მოდენა 1924 წელთან შედარებით შემცირებულია 21.062.556 ვედროთი, მაგრამ წარმოების პროდუქციისათვის ამ შემთხვევაში გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს წყლის აღრიცხვას და დაქცევას. წყალსადენმა ამ წლების განმავლობაში გააუმჯობესა თუ არა წყლის აღრიცხვის საქმე, მიღებული იქნა თუ არა ზომები წყლის დაქცევის შესამცირებლად, და თუ მიღებული იქნა რა შედეგი მივიღეთ? 1920 წელში მენშევიკური ხელისუფლება ახერხებს 321.040.882 ვედროს აღრიცხვას და 1925 წელში კი აღრიცხული [illegible] 361.860.294 ე. ი. მთელი მოდენილი [illegible] 64,7%. 1920 წელში წყალი იქცევა, რომელსაც აღმასკომისათვის საგრძნობი ზარალი [illegible] 104.203.123 რაოდენობით, მაშინ, როცა 1925 წელში წყლის დაქცევა შემცირდა 74.573.422 ვედრომდე. მაშასადამე გასაბჭოების 5 წლის განმავლობაში წყლის აღრიცხვას სათანადო ყურადღება მიექცევა და დაქცევაც საგრძნობლად შემცირებულა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში მიიღო სრულიად განადგურებული და გაძარცვული. კერძოთ თბილისის წარმოებები სრული შიმშილის კარამდე იყვნენ მიყვანილნი. ამას ჩვენ ქვემოთ დავამტკიცებთ ციფრების საშუალებით. როგორი იყო წყალსადენის მაგისტრალის სიგრძე 1920 წელში და რა გაკეთდა საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ.

მაგისტრალის სიგრძე

1920 წელში	113	ვერსი
1924 „	124,1	„
1925	132,2	„
1926 წლ. თებერვლისათვის	133,7	„

ამ ციფრებიდან ჩვენ ვღებულობთ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ შეაკეთა 118 ვერსის მანძილზე დაზიანებული მაგისტრალი, საიდანაც რამდენიმე ათასი ვედრო წყალი ტყუილ-უბრალოდ ილვრებოდა და ამას გარდა შესძლო ახალი მაგისტრალის გაყვანა მთელი 20,7 ვერსის მანძილზე. სად არის ახალი მაგისტრალი გაყვანილი? უმეტეს შემთხვევაში მუშათა რაიონებში.

ეხლა ჩვენ გვინდა შევეხოთ წყალსაზომების მდგომარეობას. მენშევიკურმა ხელისუფლებამ დატოვა რვა საათ. წყალსაზომი, რომლის 50 მეტი უვარგის მდგომარეობაში იმყოფებოდა ამას ისიც ადასტურებს, რომ 1920 წელში აღურიცხავი რჩებოდა მთელი მოდენილი წყლის 36%-მდე.

წყალსაზომების რიცხვი

1921 წლის ბოლო	844
1924 „	2.735
1925 „	3.798

აქედან მკითხველი ხედავს, რომ გასაბჭოების შემდეგ წყალსადენს უვარგისი წყალსაზომები შეუკეთებია და კიდევ ახალი შეუძენია 2.954. ამგვარად წყალსაზომების რიცხვი 450% გაზრდილა, რასაც წყალსადენის მუშაობის პროდუქციისათვის დიდი მთავარი მნიშვნელობა აქვს.

როგორია წყალსადენის მომავალი პერსპექტივები?

ავჭალის წყალსადენს 35 წელიწადია რაც მუშაობს, მაგრამ მის არსებობას ჯერ კიდევ სამი წლის თავზე დაისვა საკითხი ახალი წყლის გამოყვანის შესახებ. ავჭალის წყალსადენი ეხლაც კი არ აკმაყოფილებს თბილისის მცხოვრებთა მოთხოვნილებას და შემდეგ, როცა თბილისი საგრძნობლად გადიდდება, რისი უტყუარი პერსპექტივები ჩვენს თვალწინ არის, წყლის ნაკლებობა, გაცილებით საგრძნობი შეიქნება. ამ მოსაზრებით არის, რომ რამდენიმე ათეული წლიწადი სწარმოებს მუშაობა იმის გარშემო, თუ საიდან უფრო მიზანშეწონილი და სასარგებლო იქნება ახალი წყლის გამოყვანა. ამჟამად წყლის გამოყვანის ორი ვარიანტი არსებობს: ბულაჩაურის და ნატახტარის. ზაჰესის დამთავრების შემდეგ აღმასკომის გადაუდებელ ამოცანას ახალი წყლის გამოყვანა შეადგენს, მანამდე კი გამომკვლევი კომისია საბოლოოდ გადაწყვეტს თუ რომელი ვარიანტი უფრო მისაღებია: ბულაჩაურის თუ ნატახტარის.

ამის შემდეგ ჩვენ გადავალთ თბილისის ტრამვაის განვითარებაზე და მის პროდუქციის რაოდენობაზე.

რონოდების საშუალო რიცხვი ხაზზე დღეში

1920 წელი	64	რონოდა
1924 „	62	„
1925 „	105	„
1926 წლ. (22 ივლ.)	155	„

1921 წლის მარტში, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების დროს თბილისში ძლივს დაღოღავდა 33 დანჯღრეული რონოდა, რომელნიც კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვდენ.

მკითხველს ალბათ ემახსოვრება ანტი-საბჭოთა პარტიების დემაგოგიური ქაქანი ტრამვაის რონოდების მოსკოვში „გადაგზავნის“ შესახებ. საბრალო მოსკოვი, იმდენად იყო მოსკოვის ტრამვაი შელახული, რომ საჭირო შეიქნა თბილისის „ულევილი“ მარაგიდან დახმარება. თუ როგორ იზიდებოდა რონოდები თბილისიდან, ამისი ცოცხალი მოწმენი დღესაც ცხოვრობენ რამიშვილის ლიოვილში, მაგრამ ამ ციფრების გამოქვეყნება იმათ ძალიან ცუდ გუნებაზე დააყენებს.

რონოდებისაგან განვლილი მანძილი

1920 წელში	2.310.629	კილ.
1924 „	2.509.335	„
1925 „	3.985.060	„

რონოდების ბრუნვა

1920 წელში	341.216
1924 „	339.266
1925 „	585.043

აქ მკითხველი შეამჩნევს, რომ 1924 წელში რონოდების ბრუნვა ორი ათასით ნაკლებია ვიდრე 1920 წელში. ტრამვაის ცხოვრებაში გასაბჭოების სამი წელიწადი ეკუთვნის დანგრეულის და გაჩანაკებულის აღდგენას და ფეხზე დაყენებას. გასაბჭოების შემდეგ ჩვენ განგებ გვაქვს აღებული 1924 წ., რადგანაც მხოლოდ ამ წელიწადში მოხერხდა ნორმალური მსვლელობის აღდგენა და ამ წლიდან იწყება ტრამვაის პროდუქციის ზრდაც.

ერთმაგი ხაზის სიგრძე

1921 წელში	39	ვერსი
1924 „	44	„
1925 „	47	„
1926 წელში (1 თებერ).	51	„

როგორც ხედავთ გასაბჭოების შემდეგ აღმასკომი ახერხებს როგორც რონოდების გამრავლებას და არსებულის შეკეთებას, ისე ერთმაგი ხაზის გაგრძელებას 12 ვერსით.

გადაყვანილ მგზავრთა რიცხვი

1920 წელი	27.266.331
1924 „	22.598.368
1925 „	36.044.893

ამის შემდეგ საინტერესო იქნება თუ რამდენჯერ უმგზავრია საშუალო ერთ სულს ტრამვაით თბილისში, რუსეთში და ევროპის ზოგიერთ ქალაქებში.

თბილისში

1920 წლ.	118	ჯერ
1924 „	83	„
1925 „	129	„

საშუალოთ ერთ სულს უმგზავრიათ (ომის წინ)

პეტროგრადში	46	ჯერ
მოსკოვში	49	„
ბერლინში	153	„
ვენაში	101	„
გლაზგოში	264	„

როგორია ტრამვაის პერსპექტივები?

როგორც აღვნიშნეთ, დღეს მომუშავეთ ითვლება 155 რონოდა, მაგრამ აღმასკომმა უკვე დადო, სახელმწიფო მექანიკურ ქარხნების გაერთიანებასთან ხელშეკრულება, რომლითაც ისინი ვალდებულნი არიან თბილისის ტრამვაის საჭიროებისათვის დაამზადონ 54 ახალი სისტემის ვაგონი ვესტინგაუზის პლევრატიული მუხრუჭებით. აქედან 50 იქნება დახურული (მოსკოვის ტიპისა) და 4 კი ღია ვაგონი. ამ ვაგონების აღმასკომზე ჩაბარება უნდა მოხდეს შემდეგნაირად: 6 ვაგონი 1927 წლის ოქტომბრისათვის, 6 ვაგონი ნოემბრისათვის, 7 ვაგონი დეკემბრისათვის, 10 ვაგონი 1928 წლის თებერვლისათვის, 10 ვაგონი ამავე წლის მარტისათვის, 10 ვაგონი ამავე წლის აპრილისათვის და 5 ვაგონიც მაისისთვის. ამგვარად 1928 წლის 1 მაისისათვის თბილისს ეყოლება 309 მომუშავე ვაგონი.

სასაკლაო

საქონლის საშუალო თვიური მორეკა და დაკვლა

	მორეკა	დაკვლა
1920 წელ	10.029	7.437
1924 „	12.386	10.323
1925 „	13.037	12.590

თბილისის სასაკლაოს მგონი მეორე ადგილი უჭირავს მთელ საბჭოთა კავშირში, ის ევროპიულად არის მოწყობილი და საკმაო მოგებასაც იძლევა. როგორც ციფრებიდან სჩანს სასაკლაოს პროდუქცია ყოველ წლიურად საგრძნობლად მატულობს.

ამით მოკლეთ ვათავებთ ჩვენ წერილს აღმასკომის მთავარ წამოწყებათა ზრდის შესახებ.

შალვა გომართელი.

შემთხვევები

ხულიგნები

— ქალაქის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებაში მეტად საინტერესო ცნობებია შეკრებილი ხულიგან მამაკაცებისა და ქალების შესახებ. საერთოდ ხულიგან მამაკაცების რიცხვი დიდათ სჭარბობს ხულიგან ქალების რიცხვს, მაგრამ მამაკაცთა შორის იშვიათია ხულიგნობისათვის განმეორებით პასუხისგებაში მიცემის შემთხვევები. ქალთა შორის კი ხშირია ისეთები, რომელნიც 9-10-ჯერ არიან შეპყრობილნი ასეთ საქმეზე. მათ შორის ცნობილია: მარია ტომსკაია, თამარა ჩერნიკოვი, ზარბალე ტურჩენკო და სხვა, რომელნიც ხულიგნობისათვის 9-10-ჯერ არიან დაპატიმრებულნი. შემდეგ—ვ. კლოპკოვა, მ. კოლჩინსკაია, და ჩ. ბერიშვილი, რომლებიც შეპყრობილნი არიან 7-8-ჯერ.

ხულიგან ქალთა ერთი ჯგუფის შესახებ აღძრულია შუამდგომლობა საქართველოს ფარგლებიდან გადასახლების შესახებ.

— **მცირეწლოვანის გაუპატიურება.** 13 აგვისტოს ტატიანოვის ქ. № 8-ში მცხოვრებს გრ. ორბელოვს გაუპატიურებია, ამავე ბინაზე მცხოვრები 5 წლის ქალი ზ. ტ-ცი.

— **ქურდობა.** 13 აგვისტოს გაქურდეს თ. პლეშანიკოვას ბინა (ანასტასიევის ქ. № 13), საიდანაც წაღებულია 100 მან. სხვადასხვა ნივთები.

— **დაპატიმრება.** 13 აგვისტოს გაქურდეს ნინო კლიმიაშვილის ბინა (ყიფიანის ქ. № 21), საიდანაც წაღებულია 70 მან. სხვადასხვა ნივთები, ქურდი აღმოჩნდა გ. კლიმიაშვილი, რომელიც დაპატიმრებულია.

— **25 მან. მოპარვა.** თბ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების მოსამსახურე სალუქვაძეს, სამუშაო მაგიდის უჯრიდან მოჰპარეს 25 მან.

— **კარების გამოჩრის საშუალებით.** 13 აგვისტოს გაქურდეს გ. ღამბაშიძის ბინა (პასტეროვის ქ. 5), საიდანაც წაღებულია ტანსაცმლები.

— **შეპყრობა.** მილიციამ შეიპყრო ალი-აბაზოღლი, რომელსაც ბრალდება კომუნალურ ქუჩაზე მამედ ამრასტან-ოღლის მოკვლა.

— **ფულების გაფლანგვისათვის.** მილიციამ დააპატიმრა ვლ. გვენცაძე, რომელსაც ბრალათ ედება, ის რომ სისტემატიურად ართმევდა მე-2 საბჭოთა სასტუმროს მდგმურებს ფულებს და ფლანგავდა.

— **ქურდობისათვის.** მილიციამ დააპატიმრა გ. იზვიაკოვი, რომელსაც ბრალდება „ტუესის" საწყობიდან მავთულების მოპარვა.

— **ქურდი ნათესავი.** ი. დანელ-ოღლის ბინიდან (კონსტანტინოვის ქუჩა № 4), მისი სახლში არ ყოფნის დროს მისავე ნათესავს მ. ათანელოვს მოუპარავს 50 მან. ღირებული სხვადასხვა ნივთები, ქურდი მილიციამ დააპატიმრა.

სასამართლო

თავდამსხმელების საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ მათე და იპატო **ფერაძეებს** და შალვა **ჯავახიძეს**, როგორც გაძარცვის მიზნით შეიარაღებულ თავდასხმის მოწყობის ხელმძღვანელებს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა, ხოლო პავლე **თოფურიანს** და შალვა **სამსონაძეს** აღნიშნულ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობის მიღებისათვის 8 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

მსჯავრდადებულებმა საკასაციო საჩივარი შეიტანეს უზენაეს სასამართლოში, სადაც ეს საქმე გაირჩა გუშინ ამხ. **მეგრელიშვილის** თავმჯდომარეობით და პროკურორ **გაბუნიას** მონაწილეობით.

უზენაესმა სასამართლომ 4 საათის თათბირის შემდეგ დაადგინა: მათე და იპატო ფერაძეებს და შალვა ჯავახიძეს უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა შეეცვალოს 10 წლით თავისუფლების აღკვეთით—სასტიკი იზოლიაციით, ხოლო თოფურიანის და სამსონაძის საკასაციო საჩივარი დატოვებულ იქნას უშედეგოთ.

სახაზინო ქონების გაფლანგვისათვის

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. **შ. ოდილავაძის** თავმჯდომარეობით და პროკურორ **გრიგოლიას** მონაწილეობით გაარჩია კარდანახის სახალხო მამულების ყოფილ გამგის მათე **ხუჭუას** და ამავე უწყების თანამშრომლის **ყარალაშვილის** საქმე.

ხუჭუას ბრალდებოდა 1980 მანეთის მითვისება, ძალაუფლების გადამეტება და ყალბი საბუთების შედგენა, ხოლო ყარალაშვილს კი ხუჭუას მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობის მიღება.

მოწმეების დაკითხვით და სასამართლოს კვლევა-ძიებით ხუჭუას მიერ სახაზინო ქონების გაფლანგვის ფაქტი დადასტურდა.

სასამართლომ ხუჭუას მიუსაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, ხოლო ყარალაშვილს კი ერთი წლით.

იურიდიული დახმარება

კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის მოქმედება

კ ი თ ხ ვ ა

მე ვმსახურობ ასურეთის თემის პოლიტგანის საბჭოს თავ-რედ 1925 წ. 1 ოქტომბრიდან, ვარ კავშირის წევრი და ჩემს მოვალეობას ვასრულებ პირნათლად. დღეს კი ავადმყოფობის გამო ადგილ. ექიმის მიერ ვიქენი განთავისუფლებული სამსახურიდან 3 დღით (ე. ი. 28 ივლისიდან 1 აგვისტომდის) და პირველიდან კი უნდა გავტარებულიყავი დამზღვევ სალარის საკონტროლო - საექიმო კომისიაში, რისთვისაც წავიღე აღმასკომის და ექიმის მიერ შევსებული ბიულეტენი. მაგრამ საკონტროლო კომისიამ არ მიმიღო. არ ვიქენი განთავისუფლებული სამუშაოდან და დავბრუნდი ჩემს ადგილას 3 აგვისტოს. მაგრამ 1 აგვისტოდან თემაღმასკომს აქ დაუნიშნავს ვიღაც ქალი. ამის გამო აღმასკომი დღის სამკითხველოს არ მაბარებს და ამბობს, რომ ამ ქალმა ერთი თვე იმუშაოს და შემდეგ მოდი, რადგანაც მე ქალი ერთი თვით დავნიშნე. და ყოვლად შეუძლებელია მისი დათხოვნაო.

გთხოვთ განმიმარტოთ როგორ მოვიქცე. აქვს თუ არა თემ-აღმასკომს უფლება იმ დროს, როცა მოსამსახურე მიდის საექიმო - საკონტროლო კომისიაში და არ-იცის დაწესებულებამ, მას მისცემენ თუ არა შვებულებას, ამ დროს მან სხვა პირი დანიშნოს განსაზღვრული დროით.

ალ. კერესელიძე.

პ ა ს უ ხ ი

ადმინისტრაციას აქვს უფლება, თუ ამას საჭიროებ მოითხოვს, შვებულებაში მყოფ (ავადმყოფის გამო, თუ მორიგი შვებულებით) მუშა-მოსამსახურის ნაცვლად, მის უკან დაბრუნებამდის მოიწვიოს დროებით მომუშავე,— შვებულებიდან დაბრუნებისას დაუყოვნებლივ მას უნდა მიეცეს თავისი სამუშაო, თუ მისი ავადმყოფობა არ გაგრძელებულა ორ თვეზე მეტ ხნის განმავლობაში, ან და მისი სამსახურზე გამოუცხადებლობა არასაპატიო მიზეზების გამო ერთდროულად არ აღემატება სამ დღეს (იხ. შრომის კანონთა კოდექსი მუხ. 47-ის აბზ. „ვ" და „ზ".).

ვალის გადახდის შესახებ

კ ი თ ხ ვ ა

ვარ უკიდურესი ღარიბი, მიდგას ერთი სახლი, მიგ ვცხოვრობთ ექვსი (6) სული მოხუცი და მცირე წლოვანები. რაღაცა მიზეზებისა გამო დამედო ვალი კერძო მოქალაქესი. გთხოვთ ახსნა - განმარტებას უფლება აქვს თუ არა „სასამართლოს აღმასრულებელს" გაგვიყიდოს ეს ერთი სახლი და დაგვყარონ მინდვრად თუ დრო უნდა მოგვცენ.

გაჭირვებული.

პ ა ს უ ხ ი

უფლება ის ქონება, რომელზედაც არ მიიქცევა ვალის გადახდევინება (ე. ი. რომლის საჯაროდ გაყიდვა ვალის გასასტუმრებლად არ დაიშვება) ჩამოთვლილია სამოქ. სამართლის საპროცესო კოდექსის მუხ. 271-ში, სადაც სახლზე და სხ. ნაგებობაზე არაფერია ნათქვამი. მაშასადამე, მისი საჯაროდ გაყიდვა ვალის გასასტუმრებლად დაიშვება. თქვენ გაქვთ უფლება იმავე კოდექსის მუხ. 274-ის თანახმად მოითხოვოთ, რათა ვალის გადახდა მოხდეს სხვა ქონების ანგარიშზე, თუ კი ამ უკანასკნელის ღირებულება საკმარისია გადასახდელის გასასტუმრებლად.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებათა შესახებ

1. საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების საორგანიზაციო ღონისძიებათა წინასწარი შემუშავებისათვის და განხორციელებისათვის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსდება საორგანიზაციო განყოფილება.

2. საორგანიზაციო განყოფილებას დაეკისრება:

ა) შეიმუშაოს ცირკულიარებისა, ინსტრუქციებისა, განმარტებებისა და განკარგულებების პროექტები სათემო და ქალაქის საბჭოებისა და სათემო აღმასრულებელი კომიტეტების საორგანიზაციო მოქმედების საკითხების გამო, აგრეთვე დასკვნა გამოიტანოს სათემო და ქალაქის საბჭოების სავალდებულო დადგენილებათა პროექტებზე შესახებ.

ბ) ცოცხალი კავშირი იქონიოს სათემო და ქალაქის საბჭოებსა და სათემო აღმასრულებელ კომიტეტებთან მით, რომ მოწყობილ იქნეს სისტემატიური მათი ადგილობრივ დათვალიერება და გამოკვლევა და აგრეთვე მათთვის ინსტრუქტორობის გაწევა.

გ) შეათანხმოს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სხვა განყოფილებათა საორგანიზაციო-ინსტრუქტიული საქმიანობა სათემო და ქალაქის საბჭოებისა და სათემო აღმასრულებელი კომიტეტების მიმართ.

დ) შეიმუშაოს საორგანიზაციო ღონისძიებანი არსებული კანონმდებლობის საფუძველზე საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობებისათვის.

ე) მიაწოდოს ცნობები სათემო და ქალაქის საბჭოებსა და სათემო აღმასრულებელ კომიტეტებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედების შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია გაუწიოს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს ქვემდებარე საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობის მდგომარეობის შესახებ ამ უკანასკნელების საანგარიშო მოხსენებათა და საინსტრუქციო კვლევის მასალების მიხედვით.

ვ) მიიღოს და შეიმუშაოს ანგარიშები, მოხსენებები, ჟურნალები და სხვა მასალები ადგილობრივი საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობის შესახებ; შეადგინოს მიღებული მასალების მიხედვით სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ანგარიში და მოხსენება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში წარსადგენად.

ზ) მეთვალყურეობა გაუწიოს სათემო და ქალაქის საბჭოებისა და სათემო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ ზემდგომი საბჭოთა ორგანოების დადგენილებათა სისწორით ასრულებას და მოახსენოს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ქვემდებარე საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების უკანონო და მიზანშეუწონელ დადგენილებათა და განკარგულებათა გაუქმების საჭიროების შესახებ.

თ) შეიმუშაოს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დავალებით ღონისძიებანი საბჭოების მუშაობის განმტკიცებისა და გაცხოველებისათვის.

ი) დაამზადოს მასალა საბჭოთა სამაზრო ყრილობისათვის და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებისათვის.

კ) შეადგინოს და გამოსცეს საბჭოთა სამაზრო ყრილობისა და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ანგარიშები და სხვა მასალები, რაც უნდა წარედგინოს ცენტრალურ დაწესებულებებს ან დაეგზავნოს მაზრის ტერიტორიაზე მყოფ თემებს; მიაწოდოს ქვემდებარე სათემო და ქალაქის საბჭოებისა და სათემო აღმასრულებელ კომიტეტებს საკანონმდებლო ლიტერატურა, აგრეთვე შეაგროვოს და შეინახოს ყველა საკანონმდებლო მასალა, რასაც კლასიფიკაცია უნდა გაუკეთდეს.

ლ) აღნუსხოს საბჭოთა აღმშენებლობის აქტიური მონაწილენი, აგრეთვე საბჭოთა აპარატის კვალიფიკაციური მომუშავენი მაზრაში, იმ ფორმების მიხედვით, რაც დადგენილი იქნება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ.

3. საორგანიზაციო განყოფილებასთან არსებობს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი სამაზრო ბიურო, რომელიც მოქმედებს სათანადო კანონდებულებათა საფუძველზე განყოფილების უშუალო ხელმძღვანელობით.

4. საორგანიზაციო განყოფილება თავის მუშაობაში ექვემდებარება სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმსა და მოქმედებს მისი ხელმძღვანელობით.

ცენტრალურ დაწესებულებებთან და სათემო და ქალაქის საბჭოებსა და სათემო აღმასრულებელ კომიტეტებთან საორგანიზაციო განყოფილება ურთიერთ მიმართვას იქონიებს მარტოოდენ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მეშვეობით.

5. საორგანიზაციო განყოფილების სათავეში სდგას გამგე, რომელსაც აარჩევს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი აუცილებლად აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთაგან.

6. საორგანიზაციო განყოფილების შტატს დაამტკიცებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებ. კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

თბილისი—სასახლე.
1926 წ. ივლისის 20.

პარტიული კალენდარი

— საქართველოს ახალგ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტის სააგიტ.-საპროპაგ. განყოფილება იუწყება, რომ ოთხშაბათს 18 აგვისტოს, მუშათა ახალ კლუბის შენობაში სასახლის ქ. 5, გაიმართება კომკავშირის პოლიტსკოლების ხელმძღვანელების გადასამზადებელ კურსების პირველი საორგანიზაციო კრება. თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს კურსებზე წამოყენებულ ყველა ამხანაგებს გამოცხადდენ აღნიშნულ ადგილას დაუგვიანებლად.

ახალგ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტის სააგიტ. საპროპ. განყ. გამგე—**ბახტაძე.**

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იუწყება, რომ სამშაბათს ა.-წ. 17 აგვისტოს დილის 10 საათზე რაიკომის ბინაზე გაიმართება მე-3 რაიკომის საორგანიზაციო თათბირი.

საორგანიზაციო თათბირის ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს უჯრედების №№ 1, 6, 9, 12, 24, 27 და 29 მდივნებს გამოცხადდენ რაიკომის სააგიტ.-საპრ. განყოფილებაში მეცადინეობის საათებში 16 და 17 აგვისტოს.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს ა. წ. 18 აგვისტომდე გამოცხადდენ რაიკომის სააღრიცხვო განყოფილებაში ამხ. ჭიჭინაძესთან. ის ამხანაგები, რომელნიც არ გამოცხადდებიან მექანიკურად გამოირიცხებიან რაიონიდან.

1. ვართანიან მ. ა., 2. მელიქ-ცატუროვი ს. ს., 3) მჭედლიშვილი ა. ი., 4. მელიქსეტოვი ა. მ., 5. მაროზოვი ა. ი., 6. ნაზარეთიანი ს. მ., 7. ლასკუტოვა მ. პ., 8. მგალობლიშვილი გ. მ., 9. მეჩიტოვი ა. ი., 10. მამულაშვილი ა. გ., 11. მურადიან პ. ო., 12. ხოჯამირიანი ლ. ა., 13. წიქაძე ლ. ა., 14. ოსტროვსკი ა. ლ., 15. ოკუჯავა ი. ლ., 16. ოდილავაძე შ. ი., 17. ფოცხიშვილი ა. ს., 18. პეტროსიან მ. ხ., 19. პერკანი ვ. ვ., 20. პოპოვი მ. ვ., 21. პერცოვი ი. მ., 22. რატიხან ა. მ., 23. რედკოზუბოვი ნ. ე., 24. ტაერივარ ხ. ს., 25. ტერ-ბარსეგოვი მ. ა., 26. უშაკოვი ზ. ი., 27. ქამიშვილი ვ. ი., 28. ჩერნიევი ნ. გ., 29. ჩიტიშვილი ზ. გ., 30. ჩაბინიშვილი გ. ი., 31. იუდან კ. ი., 32. პოგორელოვი ვ. ვ., 33. პავლოვი მ. ე., 34. როტტე ა. რ., 35. სერგეევი კარპენკო ა. ი., 36. თაქთაქიშვილი ვ. დ., 37. თუმანოვი რ. პ., 38. ხერხეულიძე ა. ე., 39. ცაგარელი გ. ა., 40. ციტოხცევი ა. მ., 41. ჩიხლაძე ზ. ვ., (გაევსკაია), 42. ჩერნიევი ნ. მ., 43. ჩაჩალაშვილი ა. ს., 44. ჩხარტიშვილი კ. ბ., 45. შეკელევი ს. ფ.

ღრმად დამწუხრებული მამა გიორგი სოლომონის-ძე, [illegible] ტატეს ასული, დები და ძმები ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ მეგობრებს და იმ ამხანაგებს, რომლებმაც მასთან ერთად წელს დაამთავრეს 9 წლედი მე-9-ე სკოლა, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 12 აგვისტოს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

ვალია (ბარბარე) გიორგის ასული
კუბატაშვილი

გამოსვენება მოხდება ა. წ. 15 აგვისტოს დილის 11 საათზე, საკუთარ ბინიდან ლოტკინის ქ. № 32, დაკრძალვა მოხდება წმინდა ნინოს სასაფლაოზე.
3268

გულდათუთქული მეუღლე მარია დავითის ასული შვილებით: ალექსანდრე, ბიქტორი, ვანო და მედეია ლორთქიფანიძეები, ბიცოლა: ცუცუ ტარიელის ასული ლორთქიფანიძისა, ბიძაშვილები: ნინა და ლონგინოზ ლორთქიფანიძეები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ყველა ნაცნობ-ნათესავებს და მეგობრებს, რომ დღეს მიწას ვაბარებთ ჩვენს უსაყვარლეს პირველის ძვირფას მეუღლეს, მეორეების დაუვიწყარ მამიკოს, მესამეს საყვარელ მაზლისწულს და მეოთხეების ტკბილს მამის [illegible] ბიძაშვილს

დავით ალექსანდრეს-ძე
ლორთქიფანიძეს

გამოსვენება დღეს, სრულ 4 საათზე, ს. ბ. გონჩარის ქ. № 18. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.
3077

ღრმად დამწუხრებული და თამარა ალექსანდრეს ასული ლორთქიფანიძე-არდიშვილისა და სიძე არკადი ლეონტის-ძე არდიშვილი, შვილი ნანა ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 12 აგვისტოს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და მარად დაუვიწყარი

დავით ალექსანდრეს-ძე
ლორთქიფანიძე

დაკრძალვა მოხდება დღეს, 15 აგვისტოს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, გამოსვენება ნაშუადღევის 4 საათზე, საკუთარ ბინიდან გონჩარის ქ. № 18.
3269

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო", პლეხ. № 105).

საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

სოლეი

ნ. 1613 0—10

დ ღ ე ს,
ამერიკის პოპულიარული მსახიობები დოროტეა დალტონ და მილტონ სილსი
სურათში **„ველური კატა"** მხატვრ. დრამა 7 ნაწილად.
ანონსი: ორშაბათიდან—„ზეინაბ და რამლიკა"
ჩქარა—„მანდრენ"

დღეს კინო ეთერში და სოლეიში
ერთდროულად
ШАХ и МАТ
ამერიკის საუკეთესო კინო-მსახიობების მონაწილეობით
პრისცილა დინ („მათხოვარი სტამბოლიდან")
უოლეს ბირი („რობინ გუდ")
რაიმონდ გრიფფიტ (ავტომობილი № 13)

მოკლე ხანში გამოსვლას იწყებს

საქართ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ყოველთვიურ პერიოდული ჟურნალი

საქართველოს ეკონომისტი

განახლებული რედაქციით

ჟურნალს თავის ძირითად მიზნად აქვს დასახული ადგილობრივი სახელმწიფო შინამრეწველობის და კერძო მრეწველობის მუშაობისა და საერთოდ საქართველოს ეკონომიკის ყოველმხრივ გაშუქება, ეკონომიური პოლიტიკის მორიგ საკითხების გამორკვევა, სამეურნეო აღმშენებლობის პრობლემების განხილვა.

ჟურნალში ფართო ადგილი დაეთმობა დაწვრილებით ინფორმაციას საქ. სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს და სხვა ეკონომსახკომისარიატების მუშაობას.

ჟურნალში იქნება შემდეგი განყოფილებანი:

I სასოფლო-სამეურნეო
II სამრეწველო
III საფინანსო
IV სავაჭრო
V კოოპერატიული
VI სატრანსპორტო
VII პრესის მიმოხილვა
VIII უცხოეთი
IX საქართველოს ეკონომიური ინფორმაცია
X საქართველოს სახალხო მეურნეობის კონიუნქტურა
XI ბიბლიოგრაფია
XII ოფიციალური განყოფილება

ჟურნალში სათანამშრომლოდ მოწვეულია საუკეთესო ძალები. თანამშრომელთა საერთო სია ამ დღეებში გამოქვეყნდება.

პასუხისმგებელი რედაქტორი: **ვ. ავაქოვი.**

მისამართი: თბილისი. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო „საქართველოს ეკონომისტის" რედაქციას.

თბილისის ელექტრო-ანაგებათა სამმართველო
„ტელას"-ი

ამით აცხადებს, რომ 20 აგვისტოს 1926 წელს დანიშნულია

საჯარო შეჯიბრება

ქ. თბილისის ფარგლებში ქვე-მიწის ჯავშნიან ჯირგინის დაახლოვებით 28 კილომეტრ-ს თხრილებში ჩალაგებაზე.

ყველა სამუშაოები უნდა სწარმოებდეს მონარდის მასალით. იარაღით და მოწყობილობით, გარდა ჯირგინის, აგურის და ჯირგინის დასაცველი მოწყობილობისა, რომელნიც გაცემულ იქნება „ტელას"-ის მიერ

მთელი სამუშაოს შესრულების ვადა სამი თვე ნაწილობრივად ვადებათ დანაწილებით. იმ პირთ, ვისაც სურთ აილონ მთელი სამუშაოები, უნდა შემოიტანონ განსაკუთრებულ ბლანკზე დაწერილი განცხადება დახურულ კონვერტებით შემდეგი წარწერით: „ტელას"-ის გამგეს 20 აგვისტოს 1926 წელს. ჯირგინის ჩალაგების საჯარო შეჯიბრებისათვის, იმავე დღეს დღისით 12 საათზე კონვერტები იქნება გახსნილი.

დაწვრილებით პირობების, ნახაზების და სამუშაოს რაოდენობის და ტექნიკური პირობების გაგება შეიძლება „ტელას"-ის მაღალი ძინვის განყოფილებაში ყოველ დღე 10 საათიდან 12 ს. **(ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი, ყოფ. თამამშევის ქარვასლა მე-2 სართული) იქვე გაიცემა განცხადების ბლანკები.**

„ტელას"-ის გამგე **ცანავა.**
საქმეთა მმართველი **გრომაშვილი.**

მიწადმოქმედთა სასოფლო-სამეურნეო შრომის არტელის

„ბაღის შრომა"-ს
საზოგადო კრება

დანიშნულია არტელის ერთ-ერთ კოლექტივის ბაღში კორლანოვის ქ. № 7 (ამხ. მიხა ჩადარიეშვილთან), გამგეობის ბინაზე კვირას 15 მარიობისთვეს, დილას 9 საათიდან. **დღის წესრიგია შემდეგი:** 1. გამგეობის მოხსენება, 2. საბჭოს და მისი პრეზიდიუმის არჩევნები; 3. არტელის საბჭოს მომავალი მუშაობა და ბრძოლა მებაღე-მებოსტნეების რიგებში მყოფ, კულაკებს და მათი ორგანიზაციების წინააღმდეგ, 4. სესხის საკითხი და ბანკის წარმომადგენელის განცხადება კრებაზე, 5. ახალი წევრების მიღება, 6. მიმდინარე კითხვები. კრებას შეუძლიათ დაესწრონ არა არტელის წევრები—მებაღე-მებოსტნენი, თვით მშრომელნი. არტელის წევრების დასწრება სავალდებულოა და ვინც მათში არ დაესწრება, გაფრთხილების თანახმად, ჩაითვლებიან რა გარიცხულათ, სია მათი, სახელი და გვარით გამოქვეყნებული იქნება გაზეთში.

გამგეობის თავმჯდომარე **მურავიოვი.**
ნ. 1667 2—1. მდივანი **რუხაძე.**

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ე ქ ი მ ი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის
სნეულებანი

ციების სავანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან **გარაკ მანგლისში.** 25—1

გაზ. „კომუნისტი"-ს
მთავარი კანტორა

წინადადებას აძლევს ქვემო აღნიშნულ განცხადებების შემკრებ აგენტებს:

1) **სერგეი ივ. კროტკოვს,**
2) **მიხეილ კრივორუჩკოვს,**
3) **ხალათოვს,**

გაასწორონ მთავარ კანტორასთან ყოველგვარი ანგარიშები, ამა აგვისტოს 20-მდე, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხსნილი იქნებიან სამუშაოდან და მათი საქმე გადაეცემა სათანადო ორგანოს.

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.
3—2

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს ტიპო-ლიტოგრაფიაში (შეკვეთის ბარათი № 0394)

უკვე იბეჭდება ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის

ანტოლოგია-კრებული

ტომი პირველი.

ვსთხოვთ ძველი ხელისმომწერლებს დააჩქარონ ხვედრი ფულის შეტანა, ხოლო ახლებს—გამოწერა. ხელისმოწერით თითოეული ტომი ღირს ოთხი მანეთი. (ანტოლოგია გამოდის ორ ტომად).

გამოსვლის შემდეგ თითო წიგნი ეღირება **6 მანეთი.**

რედაქტორ-გამომცემელი ია ეკალაძე.

მისამართი: თბილისი, ყიფიანის ქუჩა № 11.
ნ. 1669 3—1

თბილ. აღმასკომის ადმინისტრატიული

განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ა | წ. 18 აგვისტოდან დაიწყება ქ. თბილისის ფარგლებში მდებარე ყველა საცხოვრებელ სახლებისათვის 1926 წ. 27—28 წლის საბინაო დავთრების გაყიდვა. გასული წლის დავთრები გამოცვლილ უნდა იქნეს ახლით, მიუხედავათ იმისა, დარჩენილია თუ არა გასული წლის დავთარში თავისუფალი გაუხმარებელი ფურცლები. საბინაო დავთრები შეძენილ უნდა იქნეს თანახმად თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის დამტკიცებულ დებულებისა სამისამართო ბიუროს ორგანიზაცია—მუშაობის § 11 1-ლ შენიშვნის ძალით, საცხოვრებელ სახლების მეპატრონეების, გამგეების ან მმართველების ხარჯზე.

საბინაო დავთრების გაყიდვა იწარმოებს ხაზინის ქუჩა № 5 (ხაზინის გვერდით) დილის 8 საათიდან 1 ნახ. საათამდე შემდეგი განაწილებით: აგვისტოს 18-დან სექტემბრის 5-მდე: 1, 2, 3, 4, 5 სამილ. რაიონებში მდებარე სახლებისათვის.

სექტემბრის 5-დან 30-მდე 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, სამ. რაიონ. მდებარე სახლებისათვის.

საბინაო დავთრების ფ ა ს ე ბ ი:

20	ფურცლიანი . . .	35 კ.
30	„ . . .	60 კ.
60	„ . . .	70 კ.
100	„ . . .	1 მ.
200	„ . . .	1 მ. 80 კ.

ყველა საცხოვრებელ სახლის მეპატრონე, მმართველი ან გამგე—კომენდანტი ვალდებულია ზემოხსენებულ რიცხვში აღნიშნული განაწილებით გამოცხადდეს დანიშნულ ადგილას ძველი საბინაო დავთრით ახლის შესაძენად და თან წარმოადგინოს ცნობა შემდეგი ფორმით:

ც ნ ო ბ ა

სამისამართო ბიუროს გ ა მ გ ე ს

№№	სახლის პატრონის, გამგის ან მმართ. გვარი სახელი და მამის სახელი (ვრცლად და გარკვ.)	სამილიციო უბანი	ქუჩის სახელი		სახლის №-რი	შენობის აწერილობა		სულ რამდენი ცხოვრობს სახლში	შენიშვნა.
			ახალი	ძველი		რამდენი სართულ.	ოთახების რაოდენობა.		

სახლის პატრონის ან გამგის ხელის მოწერა

ვინც ამ განცხადებით განსაზღვრულ ვადაში არ შეიძენს ასეთ საბინაო დავთარს და დღიდან შეძენისა ორი კვირის ვადაში გასული წლის საბინაო დავთრებიდან ახალში არ გადმოსწერს სახლში ფაქტიურად მცხოვრებ მდგმურებს და არ შეამოწმებს სათანადო სამილიციო რაიონთან არსებულ სამისამართო მაგიდაში ასეთებს, თანახმად თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის სავალდებულო დადგენილებისა № 24 დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით იძულებითი მუშაობით ან დაპატიმრებით ორ თვემდე ან დაჯარიმებით 100 მანეთამდე.

აღმასკომის ადმინისტრატიულ
განყოფილების უფროსის მაგიერ **მკურნალი**
სამისამართო ბიუროს გამგე: [illegible]

2—1 ნ. 1677

თბილისის სასაკლაოზე
უკვე მუშაობს
ყინულის ქარხანა

და მსურველებს შეუძლიათ ყოველდღე დილიდან საღამომდის მიიღონ ხოლმე ყინული თვით ყინულის ქარხანაშივე შემდეგ ფასებში: სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებს—40 კ. ფუთი, კერძო პირებს კი—55 კ. ყველა საჭირო ცნობების მიღება ყინულის შეძენის შესახებ შეიძლება თვით სასაკლაოში დირექტორთან, აგრეთვე ტელეფონით № 8—66.

ნ. 1678 3—1 სასაკლაოების დირექტორი: ბოკერია.

აჭარის-წყალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის

სააღმშენებლო კომიტეტი
იწვევს გამოცდილ ბუღალტერს

„აწჰესის" მთავარ ბუღალტერის თანაშემწის თანამდებობაზე.

ჯამაგირი 200—300 მანეთამდე სტავკის მიხედვით.

განცხადება და დოკუმენტები წინანდელ სამსახურის ადგილის შესახებ უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: ბათომი, „ა წ ჰ ე ს ი ს" სააღმშენებლო კომიტეტი, სასაფლაოს ქუჩა № 9. ნ. 1675 3—1

საქობოს (სიღნაღის მაზრა) სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა

„წნორი" ამზადებს

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას:

თაფლს, ღვინოს, არაყს, ხის მასალას, ერბოს, ტყავეულობას, მატყლს, თამბაქოს და სხვას სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადო დაწესებულებათა დავალებით.

მ ი ს ა მ ა რ თ ი: სადგ. წნორის-წყალი
3075 სას. სამ. ამხ. „წნორის" გამგეობა.

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი გ. გ. ბარუტჩევი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 20 აგვისტოს, საათის 1, ყიფიანის ქ. № 10, გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით** ორ სართულიანი სახლი, რომელიც ეკუთვნის ივანე დედაბრიშვილს და შესდგება 15 ოთახიდან. ეს სახლი შეფასებულია 6600 მან., მხოლოთ საჯარო ვაჭრობა დაიწყება შემოძლეულ ფასიდან, როგორც განმეორებული ვაჭრობა. გაყიდვა დანიშნულია აბხაზეთის თამბაქოს ტრესტის, სავაჭრო სამრეწველო ბანკის და თამბაქოს ტრესტის პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად საერთო ჯამით 5319 მან. და 56 კ. რაოდენობით. აღნიშნული სახლი დაგირავებულია კომუნალურ ბანკში და გადასახადი ირიცხება 491 მ. 37 კ. ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს გათვალისწინებული სამ. საპ. კოდ. მე-311 მუხ. ცნობები გარდა ამისა, უნდა ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს საწინდარი შეფასებული ჯამის 10 პროც. ე. ი. 660 მანეთი.

ქვ. 3076

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არლუთინსკი

ამით აცხადებს, რომ 21 აგვისტოს 1926 წ. დღის 10 საათზე ყოფ. სასოფლ. სამეურნეო გამოფენის რესტორანის პავილიონში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ხსენებული რესტორანის მოძრავ ქონებას: მაგიდებს, 350 ვენურ სკამებს (ცოტა ნახმარი) სხვადასხვა სასმილებს, ფაიფურის და ფრაჟეულობის ჭურჭელს შეფასებულს 3333 მანეთად, სახალხო კვების და ხელოვნების კავშირების და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 12 აგვისტოს 1926 წ. თარიღით, № 3297 და სხვ. გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

ქ. 3280

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ქამოევი

ამით აცხადებს, რომ 19 აგვისტოს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 31 დესიმონოვის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ვანო და ილიკო გუდუშაურის მოძრავ ქონებას: ძროხებს შეფასებულს 600 მანეთად, არშაკ ხეჩუევის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 10 აგვისტოს 1926 წ. თარიღით, № 4438 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა

ქვ. 3264

ქ. თბილისის მეოთხე რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ქ. პოტემკოვსკი

ამით აცხადებს, რომ 19 აგვისტოს დღის 9 საათზე, მეორე **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება მე-8 სამილიციო რაიონში, გონჩარის ქუჩაზე მოთავსებული 3 სართულიანი ქვის სახლი, 27 ოთახით, 13 სამზარეულოთი, 2 აივნით, 5 საკუჭნაო სარდაფით. გაყვანილია წყალი და კანალიზაცია. ეს სახლი ეკუთვნის სერგი გრიგორისძე ხაჩატურიანცს, აწერილია „ცეკავშირის"-ადმი დავალიანების გამო და შეფასებულია 3.500 მანეთად. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ ან წარდგენილ თანხიდან. ვაჭრობა გაიმართება ამ სახლის მდებარეობის ადგილას და დაცული იქნება სამოქალაქო პროცესუალურ კოდექსის 301, 311, 312, 313, 314 და 316 მუხლში აღნიშნული მოთხოვნილებანი. ნ. 1676

გა-ე-უბნის სასამართ. აღმასრულ. ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ 20 აგვისტოს 1926 წ. საათის 12, დიდუბის ქუჩაზე № 19 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ალექსანდრე ძიძიგურის უძრავ ქონებას—ორ სართულიან აგურის სახლს კრამიტით დახურულს, შემდგარს 26 ოთახისაგან, 11 სამზარეულოსაგან და შვიდი სარდაფისაგან არა სავაჭრო ხასიათისა. შეფასებულს ათას მან. დასაკმაყოფილებლად ცეკავშირისა. ვაჭრობა დაიწყება თავისუფალი ფასიდან. ვაჭრობა მოხდება დაცვით 310, 311, 312, 313, და 314 მუხ. სამოქ. სამართ. საპროც. კოდექ.

გორის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი გ. ი. ტლაშაძე

ამით აცხადებს, რომ 19 აგვისტოს 1926 წ. დღის 10 საათზე ადგილობრივ დ. წითელ ქალაქში დანიშნულია ძცხოვ. დაბა წითელ ქალაქში იოსებ გაბრიელისძე გოზალოვის ქონებას **საჯარო ვაჭრობა** ქონება შეიცავს: მაგიდებს, ამბრებს, ხის ტახტებს, დიდ ტუალეტის სარკეს, ვენურ ძველ სკამებს, რკინის კრაოტს და სხვ. სულ შეფასებულ 97 მან. რიფსიმე ქულოევის ვალის სანაზღაუროდ მისი ბავშვის სამი წლის საზრდოსი თანახმად წითელ ქალაქის უბნის სახ. სასამ. აღმასრულებელ ფურცლისა 16 აპრილს 1926 წ. № 359.

ქვ. 3073

ლანჩხუთის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ჩხიკვიშვილი

აცხადებს რომ 31 აგვისტოს 1926 წელს დილის 10 საათზე, ლანჩხუთის სახალხო სასამართლოს შენობის დარბაზში ის გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** კუთვნილი სამუელ მევარკეცისძის ხუხუნაიშვილის ქონებას, სახელდობრ: ოთხთვალ აგურის სახლს კარიდორით, კერამიდით დახურულს, აგებულს ლანჩხუთის თემში და აწერილს მიხაილ თომასძის წიკურაძის და ვანო სამსონისძის ხუნდაძის ვალის დასაკმაყოფილებლად. აწერილი ქონება შეფასებულია ორიათას მანეთად და ამ თანხიდან დაიწყება ვაჭრობა. ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში უნდა წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს ცნობები აღნიშნული 311 მუხლში სამოქალაქო სამ. საპრ. კოდ. და იმავე კოდექსის 312 მუხ. თანახმად შეფასების 10 პროც. საწინდარით.

ნ. 1675

საქართველოს ს. ს. რ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი
ბალანსი

ა ქ ტ ი ვ ი. 1926 წლ. 1-ლ აგვისტოსთვის. **პ ა ს ი ვ ი.**

ა ქ ტ ი ვ ი.	
1. კასა და სახელდახელო ანგ—შები	356.554—26
2. საფასენი	65.862—69
3. საქონელი	102.518—85
4. განაღდება და სპეც. სახელდახ. ანგ. თამას.	400.724—07
5. სესხები საქონლის დაგირავებით	758.877—36
6. სამიზნო სესხები	3.714.498—50
7. კორესპონდენტები	461.192—55
8. კლიენტები და კომიტენტები საქონლის ოპერაც. და სხვადასხვა პირნი	1.360.888—96
9. მონაწილეობა წარმოებაში	491.131—00
10. ანგარიშები განყოფილებასთან	1.772.455—74
11. ანგ. ცენტრ. სასოფლო-სამ. ბანკთან	15.298—15
12. გაპროტესტებული თამასუქები და საეჭვო ვალები	117.665—80
13. პროცენტები და კომისია დარიცხული და გადახდილი	140.151—91
14. მიმდინარე ხარჯები	139.524—59
სხვადასხვა აქტივი	120.968—41
ბალანსი .	10.018.312—84

პ ა ს ი ვ ი.	
1. ძირითადი კაპიტალი	1.577.541—70
2. სხვა კაპიტალი	83.490—33
3. სპეც. თანხ. სამიზნო კრედიტ.	1.740.807—27
4. სესხები	2.586.620—00
5. განაღდება და გადაგირავება	332.701—77
6. ანაბარები და სახელდ. ანგარიშები	166.953—32
7. კორესპონდენტები	122.997—56
8. კლიენტები და კომიტენტები საქონლის ოპერაც. და სხ. და სხვ. პირნი	1.253.248—58
9. ანგარიში გამგეობასთან	1.769.430—91
10. სარგებელი და კომისია მიღებული და დარიცხული და სხვა შემოსავალი	384.521—40
11. სხვადასხვა პასივი	— —
ბალანსი .	10.018.312—84

საქართველოს სას.-სამ. ბანკის გამგეობა [illegible] **ლორთქიფანიძე, ი. მენაბდე.**
მთავარი ბუღალტერი **ბ. ტოლონიძე** ნ. 1674

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

წყლებით სამკურნალო

(ხაზინის ქ. № 1)

ახლად შეკეთებულია და მუშაობს ყოველდღე, დილის 6 საათიდან საღამოს 7 საათამდე.

წყლის მკურნალობის ყველა მეთოდები ტარდება გამოცდილი ექიმი-სპეციალისტის ხელმძღვანელობით

ავადმყოფობანი: ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის მოშლა, ნიკრისის ქარები, რევმატიზმი, ნევრასტენია, ნევრალგია, ნევრიტები, გულის და სახსრების ავადმყოფობა

პირველად მოსულ ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე.

25—3 ნ. 1650

ე ქ ი მ ი
გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპირის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—2

ექიმი ჯალალოვი

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეშხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე ქალები 12—2 საათ. დღის. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—

ექიმი შ უ ხ მ ა ნ ი

სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები. მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ს. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 89

25—1

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
საზაფხულოდ გაემგზავრა ქალ. ბორჯომში 13—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 929, სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების მოწმობა ფორმა **№ 54,** გაცემული ლანჩხუთის სარაიონო აღმასკომის მიერ ივლიანე ჯვაჭაძის სახელზე, ჩ. გ. 3278

დავკარგე თბილისის კომუნალური ბანკის აქციის დროებითი მოწმობა № 556, დავით გიორგის-ძე ყურელის სახელზე, მოცემული ხსენებულ ბანკის გორის განყოფილების მიერ 1924 წელს 2 აგვისტოს. 3279

დავკარგე შრომის სკოლის დამთავრების მოწმობა № 522, გაცემული თბილისის მე-10 შრომის სკოლის მიერ, ნაჟექდა ხოჰოლავას სახელზე, ჩ. გ. 3072

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 3088, გიორგი ივანის-ძე ელისბარიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3074

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68